

საქართველო

მაისი 2011 №71
ფასი 5 ლარი

ლაშა როსტობაია ისფორია მარიამ სამადაზვილი

სახაროების
ფილათიროვის კულტურა
ნინო ჩაძირილი

ქართული ავანგარდი 1910–20
ნინო ჩილაკაძე

კომენტარი
„სტუდენტური პოლოკოსტი“
ლაშა ეკვთარაძე

Hate Speech-ის დასაცავად
ვაჟაშვილი მარადე

კიბ-მოვლენის კიბ-ანალიზი
გიორგი ხასიათიძე

ეს
ველური ხილი
მარაკა ლაგიაზვილი

ბოლშევიზმი და კონფორმიზმი
ლაშა გაფრინდაზვილი

სავები
თომ სამიაზვილი



06032001

აქტიურად ებრძვის კანქვეშა ცხიმგროვებს,
დიეტის შედეგად მიუღწევად პრობლემურ ზონებშიც

CELLUDESTOCK

7 დღის შედეგ მიღწევად მათიც
“ფორმოლის კანის ეფექტი”

28 დღის შედეგ მიღწევად მათიც
გარევამცემის გარემონტი

* კლინიკურ გამოკვლევებში მონაცენებას
დაბულობდა 49 ქალბატონი

** ინსტრუმენტული ტესტი გავარა 47 ქალბატონმა.



CelluDestock-ის ეფექტურობის გამომსახველი
ილუსტრაცია “ფორმოლის კანის” ნინაალდებ

28 დღის განმავლობაში კლინიკურ გამოკვლევებში
მონაცენებას დაბულობდა 49 ქალბატონი, რომელსაც
არიანულია გამოყენების შემთხვევაში
“ფორმოლის კანის” მიღწევებულების შემთხვევაში.



აკადემიური კონფერენცია

VICHY
LABORATOIRES

PSP სამსახურის სამსახური: (8 22) 911 101

www.psp.ge

PSP №1

როგორ შევინარჩუნოთ ილეალური სხეული?

როგორ დავიცვათ სხეული ზელულიტის განვითარებისაგან?

ცელულიტი - სამედიცინო ტერმინოლოგიით ცხიმოვანი ლიპოდისტროფია, დაავადება, რომელსაც ახასიათებს ცხიმის არაერთგვაროვანი ჩალაგება სხეულის სხვადასხვა უბანზე, მუცელზე, თეძოსა და დუნდულებზე. არსებობს ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენს მის ჩამოყალიბებაზე: არასწორი კვება, ჰიპოდინამია, სტრესი, ჰორმონური ცვლილებები და ა.შ. როგორ ავიცილოთ თავიდან არასასურველი დეფექტის “ფორთოხლის კანის” განვითარება და რა ღონისძიებებს უნდა მიემართოთ სხეულის ნორმალური წონის შესანარჩუნებლად?



სხეულის იდეალური ფორმის შესანარჩუნებლად აუცილებელია უპირველესად კვების რაციონის მოწესრიგება და განსაკუთრებით კი მიღებული ცხიმის რაოდენობის გაკონტროლება, რაშიც შეუცვლელ დახმარებას გავიწევთ გერმანული კომპანია “BEURER”-ის სამზარეულოს სასწორი, რომელიც გვაწვდის ინფორმაციას ამა თუ იმ პროდუქტის კალორიულობასა და მასში ქოლესტერინის რაოდენობის შესახებ. სხეულის წონის გაკონტროლებაში დაგეხმარებათ “BEURER”-ის მექანიკური და ელექტრო სასწორები, რომელიც ცალკე განსაზღვრავს წყლის, ცხიმის, კუნთოვანი და ძვლოვანი მასის რაოდენობას. ელექტრო სასწორებს გააჩნიათ დამატებითი ფუნქცია “სასურველი წონა”, რომელიც სასუალებას იძლევა ყოველი გაზომვისას მიიღოთ ინფორმაცია არსებულ და სასურველ წონათა სხვაობის შესახებ.

ანტიცელულიტურ საშუალებებს მიეკუთვნება ციტრუსოვანი ზეთები, კოფეინის შემცველი ნატურალური ექსტრაქტები, წყალმცენარეები, თერმული წყალი, რეტინოლი, კოფეინი, რომელიც უზვად არის ნარმოდგენილი კოსმეტიკურ საშუალებებში: ROC, ZIAJA.





ცელულიტის მკურნალობის ორიგინალურ გადაწყვეტას გვთავაზობს VICHY-Cellu-Metric შრატისა და გელის სახით. მის უპირატესობას ნარმოადგენს ორგვარი მოქმედება დღისა და ღამის საათებში. დღის ეფუძნებულია შებიჭილი ცხიმოვანი უჯრედების განთავისუფლებაზე. კოფეინი და მანგანუმი კი ინვევენ ცხიმოვანი გროვების განშრევებას. ღამის საათებში აქტიურია ლიპიდების წვა და მცირდება მათი რაოდენობა. გელის განმეორებითი გამოყენებისას ფერხდება ლიპიდების დაგროვება. დღისთვის დაიტანება დღის შრატი, საღამოს საათებში ღამის გელი. მკურნალობის კურსი შეადგენს 14 დღეს.

სხეულის მოვლისთვის ძალზედ სასრგებლოა არომატული ზეთებითა და “BIO-ROM”-ის ზღვის მარილით (ევეალიპტის, ლავანდის, ოკეანე) შეზავებული აბაზანები და მასაუი. მკვდარი ზღვის მარილი დიდი რაოდენობით შეიცავს იოდს, მაგნიტს, რკინას, კალციუმს. ეხმარება ორგანიზმს შლაკებისგან განთავისუფლებაში და ასტიმულირებს ნივთიერებათა ცვლას.



აბაზანის მიღების შემდგომ აუცილებელია გამოყენოთ LA-ROCHE, ROC, VICHY-ს ტანის კრემი, ZIAJA-ს ტანის მოვლის საშუალებები მარწყვის, მოცხარისა და მსხლის ექსტრაქტით დაეხმარება თქვენს კანს დიდი ხნის განმავლობაში შეინარჩუნოს ტენიანობა და დაიცავს მას ნაადრევი ნაოჭების განვითარებისაგან. დროის გარკვეული ინტერვალებით მიზანშენილია სხეულის სკრაბის გამოყენება, რაც ხელს შეუწყობს მკვდარი უჯრედების მოცილებას და კანის განახლების პროცესს.





სახლი მოქმედებ

N71, მაისი 2011

6 ჩვენი აგტორები

10 აფშა ნინო ჩიმაკაძე

კრიტიკა 16 „უდროო დროის „ბახმარო“ დავით ბუხრიკიძე

18 „ვარდისფერი“ ცოდვების თეატრი დავით ბუხრიკიძე

20 მხიარული „ჰამლეტი“ დავით ბუხრიკიძე

22 „ათასი მეცვე“, ანუ ერთი ფილმი დავით ბუხრიკიძე

კულინარია 24 ტკბილი, მწარე და ძვირფასი დიანა ანჭიმიადი

კომენტარები 26 „სტუდენტური პოლოკოსტი“ კრიტიკის გამო ლაშა ქავთარაძე

28 Hate Speech-ის დასაცავად ვახუშტი მენაბდე

32 იყო და მისი ძმები. კიჩ-მოვლენის კიჩ-ანალიზი გიორგი ხასია

წერილი 34 უნგრული სიმბოლოები ნინო ლომაძე

ისტორიები 38 ერთი ღამის ამბავი მარიამ სამადაშვილი

44 მომხიბულელი ჩიხჩხი და ტერფსიქორას ტაძარი დავით ჩიხლაძე

სპეციალურექტები 48 ფილანთობის კულტურა ნინო ბექიშვილი

64 ქართული ავანგარდი 1910-20 ნინო ჩიმაკაძე

პირადი ბიბლიოთეკა 58 ასულთა ქეცეყანა

ერთი ქალაქის ქალების ამბები

ტბა

ანა კორძაია-სამადაშვილი

ესე 78 ველური ხილი მამუკა ლევაიაშვილი

82 ბოლშევიზმი და კონფორმიზმი ლელა გაფრინდაშვილი


86 სხვები თეორ ხატიაშვილი

88 ჩანაწერები ლანა ლოლობერიძე

გარეკანზე: ლაშა როსტომაია
ფოტო: მარიკა ქოჩიაშვილი

სითი ფარმა!

„სითი ფარმა“ საქართველოში ყველაზე დიდი ფარმაცევტული სუპერმარკეტია, სადაც მომხმარებელი ჯანმრთელობის, ჰიგიენისა და სილამაზის ყველა პროდუქციას კომფორტულ გარემოში, პროფესიონალი პერსონალის დახმარებით, ეკონომიურ ფასად იყიდის.



სითი ფარმა

გახსენი გული და მიღება საჩუქრები
„სითი ფარმაში“!

15 აპრილიდან „სითი ფარმაში“ მოსულ ნებისმიერ მყიდველს გადაეცემა სპეციალური „გულის“ კუპონი, რომლის გახსნის შემდეგაც სხვადასხვა საჩუქრებს მიიღებს!

ას.: 50სტანა ქ.75
(მორეინალის გერიტონია)
Facebook: city pharma – სითი ფარმა

სითი ფარმა

ჩვენი აცტორები

მთავარი რედაქტორი:

ნინო ლომაძე

არტ-რედაქტორი:

გიორგი ნადირაძე

რედაქტორ-სტილისტი:

პაატა შამუგაძე

კორექტორი: თამარ ლონლაძე

ცოდნისა მუშაობენის:

დავით ბუხრივიძე, ლანა ლოლობერიძე,
დავით ჩიხლაძე, დაანა ანფომიაძი,
ნინო ბექიშვილი, ვახუშტი მენაბეგე,
ნინო ჩიმაკაძე, მარიმ სამადაშვილი,
ლაშა ქავთარაძე, ნინო ლომაძე, ნინო
ჩიმაკაძე, ანა კორძაია-სამადაშვილი,
მამუკა ლევაიშვილი, ლელა
გაფრინდაშვილი, თეო ხატიაშვილი,
გიორგი ხასაძა

ფოტო:

მარიკა ქოჩიაშვილი, ლევან ხერხეულიძე,
სერგი ბარისაშვილი

ილუსტრაცია:

მაია სუმბაძე

დიზაინი:

თორნიკე ლორთქიფანიძე

განვითარები:

რუსულან ფურცელაძე

საზოგადოებრივი უთითოობა:

ლელა შებითიძე

კლიკონთა მომსახურების განვითარები:

ნათა რუსაძე

სარეკლამო გაყიდვები:

თინა რსეფრაშვილი

ეისტრიბუცია:

ზვად შენგალია

გამომცემელი:

შორენა შავერდაშვილი

გამომცემლობა:

შპს „ქმ ფაბლიშინგი“, თბილისი 0105,
ფალიაშვილის ქ. 108, ტელ.: 912326

ელ-ფოსტა: mpublishing@caucasus.net

სერვისები:

ლიბერალი, ბიზნესი-ადამიანები,
მეთოდები, სტრატეგიები, დიალოგი.

სტამპა:

„ფავორიტი“, თბილისი, წუბინაშვილის ქ.
50, ტელ.: 951952

ფურნალი გამოიდნ 2004 წლის 25 დეკემბრიდან
© "M Publishing" სავატორო უფლებები დაცულია.

ფურნალში გამოქვეყნებული მასალების ნაწილობრივი
ან მთლიანი გამოყენება გამოიცემლობის ნებარივის
გარეშე აკრძალულია.



ნინო ბეკიშვილი

— „რა დროს მანანნალა ძალლებია, ქვეყანა მანანნალა ბავშვებითაა სავსე!“ — ამ ფრაზას რომ გავიგონებ, და რატომდაც, ხშირად მესმის, სულ რაღაცნაირი ულონობა და უიმედობა მიპყრობს, ხმამაღლა კი, მიუხედავად იმისა, რომ პასუხი მზად მაქვს, უმეტესწილად ვერაფერს ვამბობ, იმიტომ, რომ მგონია, სულ პაერში დაიკარგება ჩემი სიტყვები.

ეს თითქოს უწყინარი ფრაზა ბევრს მიყვება მთემელზე — სუსტსა და დაუცველს, ავადმყოფსა და მიტოვებულს, ქუჩაში გამომგდებულს და მშიერს ყველას სჭირდება თანადგომა. რატომდაც დარწმუნებული ვარ, ვინც ამ ფრაზას ხშირად იმეორებს, იმას ბავშვებიც ნაცლებად ადარდებს. ისე, „ადარდებს“ ერთია და რას ვაკეთებთ თითოეული ჩვენგანი და მთლიანად საზოგადოება — მეორე. ჩვენში ხომ ბევრი რამ სპონტანურად ხდება, დინებას ვართ მიყოლილი და საზოგადოებრივი შეთანხმება ბევრ რამეზე, მათ შორის იმაზეც, არ არსებობს, როგორ უნდა ვაკეთოთ ქველმოქმედება. ამის მთქმელს იმ ფოტოებს ვაჩვენებდი, რომლებიც, სამწეხაროდ, არ მაქვს. წლების წინ თბილისის ფორუმზე ვნახე და კომპიუტერში აღარ გადმომინერია. ვაკის პარკში ერთი ათიოდე წლის გოგონა, რომელიც ქუჩაში მათხოვრობით ირჩენდა თავს, თავის ულუფას ასევე ქუჩაში გამოდგებულ ლეკვს უყოფდა. ფოტოებზე მათი მეგობრობის ამბავი იყო აღნერილი. ძალიან მწყდება გული, რატომ არ შევინახე!

ჩვენ ჯერ ფილანთორობიაზე საჯაროდ მსჯელობაც არ დაგვიწყია. ტელემედიაც გვერდს უვლის ამ საკითხების თეორიულ განხილვას და ხშირ-ხშირად გვთავაზობს, ფული გადავრიცხოთ ავადმყოფი ბავშვების დასახმარებლად ან რომელიმე დიდი ან პატარა ეკლესის მშენებლობისთვის, კათოლიკოს-პატრიარქის ღოცვა-კურთხევით რომ შენდება. არადა, ქველმოქმედებაზე ღია და საჯარო საუბრები აუცილებელია, რადგან საზოგადოების სახე, ალბათ, ყველაზე უკეთ იმის მიხედვით ჩანს, თუ როგორია ჩვენი დამოკიდებულება იმ სივრცესთან, სადაც ვცხოვრობთ და იმათთან, ვისაც თანადგომა და დაცვა სჭირდება.

ჩვენ დავიწყეთ. იმედი მაქვს, სხვებიც შემოგვიერთდებიან.

**სახელი
მოწოდები**



SINCE 1884

SARAJISHVILI

სარაჯიშვილი

Lactacyd®

ინტიმური ჰიგიენის ყოველდღიური
განვითარებული დაცვა



Lactac-

Hygiène Inti
Feminine Hyg

Emulsion lavante d
Gentle cleansing e



Féminin
Milk
Extract

Lactacyd®
Hygiène Intime
Feminine Hygiene

- Assure une p naturelle qui
- Procure fraîcheur et
- Offers daily natural p
- Provides freshness and v

Teste sous certifié géne
Tested under gynaecolog

ფრანგული
ხარისხი



ას. მსბ 177cm 25ml ცისფრავი



ჰიგიენა ბერძნული სიტყვაა და, ზოგადად, გულისხმობს ჯანმრთელობასთან და მის პრევენციასთან დაკავშირებულ ღონისძიებათა ერთობლიობას და სისტემას. ადამიანები ცდილობენ სისუფთავესთან დაკავშირებული ღონისძიებები ბავშვებს თავიდანვე ჩაუნერგონ პირადი ჰიგიენის უნარების სახით. ინტიმური ჰიგიენა სისუფთავის ნორმატივების მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია, თუმცა მასზე ლია საუბარს, საკითხის დელიკატურობიდან გამომდინარე, გარდა ექიმთა საზოგადოებისა, აშკარად გაურბიან. ამ თვალსაზრისით, უფრო მეტ ყურადღებას იმსახურებს ქალის ინტიმური ჰიგიენა – ქალის გენიტალიების ანატომიურად ინფექციების მიმართ მიდრეკილების გამო. და არა მარტო... ქალს ფუნქციურად რეპროდუქციული სისტემა უფრო დატვირთული აქვს – ქალს აქვს მენსტრუალური ციკლი, ის ორსულდება, მშობიარობს, ქალი მელოგინეა და ბოლოს და ბოლოს ქალი ქალია – მომხიბლელი, ლამაზი, მიმზიდველი, სასურველი.

რატომ გახდა ინტიმური ჰიგიენა დღეს განსაკუთრებით აქტუალური? შეიცვალა სქესობრივი ქცევა – მომატებული სქესობრივი აქტიურობა, სქესობრივი პარტნიორის ცვლა, ის თავისებურებებია, რომლებიც ცხოვრებამ მოიტანა. ასევე „დამნამავე“ მოდის გარკვეული გამოძახილი, მჭიდრო, მოუხერხებელი და სინთეტური ტანსაცმელი. ექიმ-გინეკოლოგებს შორის გამოკითხვამ წარმოაჩინა არასაკმარისი ჰიგიენის პრობლემაც. ქალების უმრავლესობამ არც კი იცის გენიტალიების სწორად მოვლის წესები, უმეტესობა დღემდე ჩვეულებრივი საპნის მოშნარებელია. დადგენილია, რომ საპნი ინტიმური ტერიტორიების მტერია! ამას მისი ქიმიური შემადგენლობა და ქსოვილებზე ზეგავლენა განაპირობებს.

ლაქტაციდი არის მსოფლიოში ქალის უპირველესი დასაბანი საშუალება, რომელიც შეიცავს რძის ექსტრაქტებს და ჩვეულებრივი საპნისგან განსხვავებით ინარჩუნებს ბუნებრივ ინტიმურ ბალანსს და უზრუნველყოფს არა მხოლოდ სისუფთავეს, არამედ დაცვას გალიზინებისგან, უსიამოვნო სუნისგან და ტოვებს სისუფთავის, თვითდაჯერებულობის, სიახლის შეგრძნებას. ლაქტაციდი არის ქალის გარეგანი დასაბანი საშუალება ფრანგული ფარმაცევტული კომპანია Sanofi Aventis-ისგან, რომელიც შეიცავს რძის მჟავას და რძის შრატს (lactoserum), გამოიყენება ყოველდღიურა ინტიმური ჰიგიენისთვის. ასევე გამოიყენება როგორც დამხმარე საშუალება გარეთა სასქესო ორგანოების ინფექციების დროს.

ლაქტაციდით ყოველდღიური ჰიგიენა აქტუალურია ქალის ცხოვრების ყველა ეტაპზე. პირველ რიგში აღსანიშნავია ჰიგიენა მენსტრუაციის დროს – რამოდენიმე დღის განმავლობაში ქალის სხეულიდან სისხლნარევი ქსოვილების გამოდენა ხშირ ჰიგიენუ

რარევას მოითხოვს, მით უმეტეს, რომ ჰიგიენური საფენებისა და სპეციალური ტამპონების მიმართ საკმაოდ ბევრი ქალი ალერგიულობას ამჟღავნებს. ქალისთვის მეტად მნიშვნელოვანი პერიოდია ორსულობა. იმის გათვალისწინებით, რომ ნაყოფის სხვადასხვა ინფექციით „დაჯილდოება“ ყველაზე ხშირად სწორედ მშობიარობის დროს არის შესაძლებელი, ჰიგიენის ნორმატივების როლი კიდევ უფრო მნიშვნელოვანი ხდება. ორსულობის შემდგომ პერიოდში, დაახლოებით 5-6 კვირის განმავლობაში კლებადი ინტენსივობით საშვილოსნოდან გამოიყოფა ე.წ. ლოხიები – ორსულობის პროცესის „ნარჩენი“ ქსოვილები, სისხლი. შესაბამისად, ჰიგიენას „დაზარალებული“ შორისის მიდამოში დიდი მნიშვნელობა ენიჭება. ე.წ. გარდატეხის ასაკში მეტად გამოხატულია ზრდის პროცესი, გაძლიერებულია ჯირკვლოვანი სტრუქტურების სეკრეცია, მომატებულია კანის ცხიმიანობა, ოფლის ინტენსიური გამოყიფა, ხშირად არასასიამოვნო სუნით, გაძლიერებულია ინტერესი სასქესო ტერიტორიების მიმართ. ამ შემთხვევაშიც ჰიგიენური პროცედურების საკითხი მეტად აქტუალურია. მენოპაუზის, ანუ კომიმაქსის პერიოდში ქსოვილები, განსაკუთრებით კი სასქესო სფერო, მყიფე, ადგილად ტრავმირებადი და ინფექციების მიმართ მეტად ლაბილურია, ყალიბდება ატროფიული კოლბიტი. ამდენად, ჰიგიენა ისეთი საშუალებით, რომელიც ამ ასაკის ქალისთვის დეფიციტურ, თუმცა მეტად მნიშვნელოვან კომპონენტებს შეიცავს, პრაქტიკულად, სიმშრალისა და ინფექციების პრევენციის აუცილებელი კომპონენტია. ზემოთქმულიდან შეიძლება ჩამოვაყალობოთ შემდეგ:

ლაქტაციდი არის:

- ▶ ქალის ყოველდღიური ჰიგიენა
- ▶ უზრუნველყოფს სისუფთავის ხანგრძლივ შეგრძნებას
- ▶ თავიდან აცილებს გაღიზიანებას, წვის შეგრძნებას, უსიამოვნო სუნს, ინფექციების, მენსტრუალური ციკლის, ორსულობის, მშობიარობის შემდეგ
- ▶ ხელს უშლის და არ ინვევს სიმშრალეს
- ▶ არის პიპოალერგიული
- ▶ მონოგენებულია გინეკოლოგების მიერ
- ▶ მოსახერხებელია ორსულებისათვის
- ▶ შეიძლება გამოვიყენოთ ჩვილებში, ბავშვებში
- ▶ იკითხეთ აფთიაქტებში

ააკა გეგეთპორი

მედიცინის დოქტორი, ექიმი-რეპროდუქტოლოგი ი.ქორდანიას სახ. ადამიანის რეპროდუქციის ს/კ ინსტიტუტი



კინო

ლაპალებულები საქართველოში

რეალისტი: თამარ შავგულიძე

„რუსთაველი“ / „ამირანი“

კინოსტუდია „სანგუოს“ ახალი ფილმი 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შემდგომ პერიოდს ასახავს. ესაა ოთხი ახალგაზრდის ისტორია, რომელთაც „საქართველოში დაბადება“ საბედისნერო განაჩენად ექცათ. თინა, გიორგი, თამრი და ნიკა ბავშვობის მეგობრები არიან. არსებული რეალობით დათორგუნული, იმედგაცრუებული ახალგაზრდები ცდილობენ ოპტიმიზმი ბოლომდე არ დაკარგონ.

31 წლის რეჟისორის, თამარ შავგულიძის სადებიუტო ნამუშევარი ბევრად განსხვავდება ქართულ კინოში ასე მომრავლებული ტელესერიალის ესთეტიკით გაჯერებული კომედიებისგან. ძალიან რეალური და ბუნებრივი პერსონაჟები, ეფექტური ვიზუალური მხარე, თხრობის ორიგინალური სტილი და არაპათეტიკურად გადმოცემული ომის მტკავნეული თემა საშუალებას გვაძლევს ფილმი სხვა ჭრილში განვიხილოთ.

არაერთი ნაკლის მიუხედავად (დასახვენი დიალოგები, განელილი ეპიზოდები, არც ისე გამართული დრამატურგია...) ძალიან ზუსტი და გადამდება ფილმის განწყობა, რომელიც ეკრანის წინ გატარებული 80 წუთის შემდეგ კიდევ რამდენიმე საათის განმავლობაშიც აქტიურად გახსენებს თავს.

„დაბადებულები საქართველოში“ „სანგუოს“ პროექტი 5-ის ფარგლებში გადაღებული ერთ-ერთი ფილმია. ის 2010 წელს კონკრეტურის მიერ გამოცხადებულ კონკურსის გამარჯვებულიც გახდა და მთლიანობაში 2 400 000 ლარიანი დაფინანსება მიიღო. ფილმის მუსიკა გიორგი ცინცაძეს ეკუთვნის. ოპერატორი გიორგი შევლიძეა. როლებს კი თამრი ბიზავა, ვანიკო თარხნიშვილი, ნუცა კუხიანიძე და გიორგი გიორგანაშვილი ასრულებენ.

„უცხო“

გოეთეს ინსტიტუტი ფერ

ალადაგის მხატვრული

ფილმი (გერმანია 2010)

გერმანულ ენაზე ქართული

სუბტიტრებით

18. მაისი. 20:00

ზანდუკელის ქ. 16

ქ. 27. სანაპიროს 4

25 მარტი, გახსნა 19:00

გარმაცილები არის არასამართლის

ფილმის კინოული

გოეთეს ინსტიტუტი

სემინარი გერმანული

ანიმაციური ფილმების

შესახებ და ფილმების

ჩვენება

რეჟისურები: ულრიხ

ვეგენასტი (კინომცოდნე,

შტუდგარტის ანიმაციური

ფილმების ფესტივალის

ხელმძღვანელი,

DVD ანთოლოგიის

„გერმანული ანიმაციური

ფილმის ისტორიის“

გამომცემელი/2008-2011)

31 მაისი - 2 ივნისი

>



>

საპა

ლიტერატურის მუზეუმი
რეჟისორი: მიხეილ ჭაურელი
ოპერატორი: ანტონ ბოლიკევიჩი მხა-
ტგრები: ლადო გუდაშვილი, დავით
კაკაბაძე
მუსიკალური გახმოვანებით
გამოშვების წელი: 1929
ხანგრძლივობა: 76 წუთი
12 მაისი, 18:00
ჭანტურიას ქ.8

„ორშეალთებელი სილამაზე“


კინოს სახლი
რეჟისორი: ბერნარდო ბერტოლუჩი;
როლები: ლივ ტაილერი, ჯერე-
მი აირონს, რეიჩელ ვაზი,
დედის თვითმკვლელობის შემდეგ 19
წლის ამერიკული გოგონა იტალიაში,
ტოსკანაში ჩადის, სადაც დედის მეგო-
ბრების წრეში ნამდვილი მამის პოვნას
ცდილობს. მას აქ თავისი პირველი
სიყვარულის, ნიკოლოს ნახვის იმედიც
აქვს.
8 მაისი, 18:00

ჩამი გაგია

ლიტერატურის მუზეუმი
რეჟისორი: კოტე მიქაელიძე
ოპერატორები: ანტონ ბოლიკევიჩი,
ვლადიმერ პოზნანი
მუსიკალური გახმოვანებით
გამოშვების წელი: 1929
ხანგრძლივობა: 67 წუთი
5 მაისი, 18:00, ჭანტურიას ქ.8



ავტორი: ნონო ჩიხაკაძე



თეატრები

„ნორა, ანუ თოჯინების სახლი“ „თავისუფალ თეატრში“

რეჟისორი: ვანო ხუციშვილი

„თავისუფალ თეატრში“ ნორვე-
გელი კლასიკოსის, პენრიკ იბსე-
ნის ცნობილი პიესის, „ნორა, ანუ
თოჯინების სახლის“ პრემიერა გაი-
მართება. 15 მაისიდან თეატრალებს
შეეძლებათ ახალი სპექტაკლის სო-
ციალურობა ოდესაც პოპულარულ
თემებს შეადარონ და ერთმანეთს
დაუკავშირონ.

კინოსა და თეატრში ნაკლებად გა-
მოცდილი ახალგაზრდა რეჟისორი,
ვანო ხუციშვილი, ცოტა არ იყოს,
რთული გამოცდის წინაშე აღმოჩნ-
და: მან უნდა დაგვაჯეროს, რომ
პიესების დადგმაც ემარჯვება და
იბსენის რთული ჟერსონაჟების ფსი-
ქოლოგიურ სამყაროსაც იცნობს.

ნორა პელმერის როლს სატელევი-
ზიო „ვარსკვლავი“ თამუნა ნიკოლა-
ძე ასრულებს, რომელიც ამავე დროს
„თავისუფალი თეატრის“ თითქმის
ყველა სპექტაკლში მონაწილეობს.
მისი ბოლოდროინდელი ნადვანი
შეგიძლიათ შეაფასოთ ავთანდილ
ვარსიმაშვილის სპექტაკლით „მშვე-
ნიერი ქართველი ქალი“, რომელიც
ორიოდე თვის წინ დაიდგა (კარლო

გოლდონის პიესის მიხდევით) და
უკვე პოპულარულია ახალგაზრდე-
ბს შორის. ნორას მეუღლეს, ადვოკატ
პელმერს გიორგი ზანგური განასა-
ხიერებს, ხოლო ექიმ რანქს – ბაჩო
ჩაჩიბაია.

სპექტაკლის მხატვრობა და სცენო-
გრაფია თეო კუხიანიძეს ეკუთვნის,
ხოლო ქორეოგრაფია – გიორგი ჯი-
ქიას.

„ნიგბი“ – პრემიარა

მარჯანიშვილის თეატრი
პიესის ავტორი აკა მორჩილაძე
რეჟისორი: დავით საყვარელიძე
5, 8, 19 მაისი
დასაწყისი 20:00

„დაკამარონი“

მარჯანიშვილის თეატრი
პიესის ავტორი ჯოვანი ბოკაჩიო
რეჟისორი ლევან წელაძე
6, 7, 4 მაისი
დასაწყისი 20:00



კაზაპ პარისაში. სტანდარტის მხარე. რუსთა 1997

გამოფენები

თომას დორჩაკის ფოტოგამოფენა

თბილისის ფოტოფესტივალი 2011-ის ფარგლებში ლიტერატურის მუზეუმში გერმანელი ფოტოგრაფის, თომას დორჩაკის გამოფენა გაიხსნება, სადაც ბოლო ათწლეულების მანძილზე მისი კავკასიაში გადაღებული ფოტოები იქნება წარმოდგენილი.

ასეთი სრულყოფილი სახით მისი ნამუშევრები საქართველოში პირველად იფინება: კონფლიქტის ზონები, ომი, ტრადიციული რიტუალები და ყოველდღიური ყოფა – 80 ფოტოში ასახული ისტორიები კავკასიელ ხალხს არაერთი კუთხით წარმოაჩენს.

დორჩაკი დამოუკიდებელი საქართველოს ერთ-ერთი მემატიანე და შეიძლება ჩაითვალოს. საქართველოში ის პირველად 1993 წელს ჩამოვიდა და აქ 5 წელი დარჩა. ამ პერიოდის განმავლობაში კავკასიის ყველაზე ცხელ წერტილებში მუშაობდა: იღებდა აფხაზეთის, ჩეჩენეთის, ყარაბაღის კონფლიქტებს. ასახავდა ადამიანების ყოველდღიურ ყოფას და სხვადასხვა

ტრადიციულ დღესასწაულსა და რიტუალს.

90-იანი წლების ბოლოდან დვორქაუ უკვე მაკედონის, ისრაელის, კოსოვოს და პაკისტანის კონფლიქტებს აშუქებს. 2000 წლიდან ცნობილი ფოტოსა-აგენტოს, „მაგნუმის“ ნომინირებული, ხოლო 2004-ში უკვე სრულფასოვანი წევრი ხდება. ბოლო წლებში თანამშრომლობს The New Yorker, Newsweek, Time, Paris Match და სხვა გამოცემებთან.

ამ წლების მანძილზე დვორქაუ საქართველოს ხშირად სტუმრობდა. მან 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომიც გადაიღო. 2010 წელს მისი ფოტოაღმომი, „კავკასია“ გამოიცა. აღბომის პირველ გვერდზე ავტორი კავკასიელ ხალხს მიმართავს: „უღრმესი მადლობა სტუმართმოყვარეობისთვის. მადლობა იმისთვის, რომ საშუალება მომეცა შევხებოდი თქვენს ისტორიას, კულტურას, ყოველდღიურობას. მადლობა იმისთვის, რომ მიმიღეთ,

თქვენიად მიგულეთ და უფლება მომეცით თქვენს გვერდით მეცხოვრა სიყვარულსა და სიშმაგეში.“

გახსნა: 25 მაისი, 18:00

გამოფენა 3 კვირის მანძილზე გაგრძელდება

თავაზ ჰაკაპარის ნამუშევრების გამოფენა

„ბაია“ გალერეა

10-16 მაისი; გახსნა: 18:00

შარდენის ქ. 10


გამოფენა „ხელოვნება საზოგადოებრივ სიცრცეში“

გოეთეს ინსტიტუტი

ამავე სახელწოდების ღია კონკურსის შედეგების ჩვენება და კონკურსში გამარჯვებულთა დაჯილდოება

27 მაისი, 18:00; ზანდუკელის ქ. 16

ავტორი: ნინო ჩიხაკაძე



დისკუსია

თანამედროვე ხელოვნება

კლუბი „ფრონტლაინ ჯორჯია“

ყველა ცოცხალი არსების ფორმას, კანის ფერს, განვითარებას და ა.შ. თავის საფუძვლებში განაპირობებს მისი პირადი, უნიკალური გენეტიკური კოდი.

კოდი, რომლის ავტორი უცნობია და რომელიც ხელშეუხებელი სიწმინდეების რაგძის არსებობდა აქამდე.

მაგრამ თუ გენეტიკური კოდი დიდი ქიმიური ტექსტია, თუ ის გენეტიკური „ასოებისგან“ შემდგარი უნიკალური კომბინაციაა – შეგვიძლია თუ არა ის შევა-დაროთ ევოლუციურ რომანს? შეიძლება თუ არა ცოცხალი არსების გენეტიკური კოდი წავიკითხოთ როგორც ლიტერატურული ტექსტი?

შეიძლება თუ არალიტერატურული ტექსტის მსგავსად დაინტეროს და კომპი-ნირდეს ახალი გენეტიკური კოდი? რაც, თავის მხრივ, ნიშნავს ხელოვანის ჩა-რევას ევოლუციის პროცესში. თუ დნმ-ი პროგრამირების მორიგი ენაა, ხოლო უჯრედები ინფორმაციული პროცესორებია – ჩვენ შეგვიძლია ვისწავლოთ ეს ენა და გავხდეთ სიცოცხლის პროგრამისტები. ხომ არ უძრუნდება სიტყვა „შე-მოქმედი“ ამ შემთხვევაში თავის რეალურ საფუძვლებს?

ხომ არ გამოიწვევს „ბუნებაში ჩარევა“ კატასტროფას?

სინთეტიკური ბიოლოგიის არტისტული ექო.

ბიო არტი – თანამედროვე ხელოვნება როგორც ცნობიერი ევოლუციის დი-ზაინი.

არტისტი როგორც მეცნიერი, მეცნიერი როგორც არტისტი.

**მომხსენებელი – ზურა ჯიშვარიანი – მუსიკოსი, პოეტი
მოდერატორი – გიორგი კეკელიძე, პოეტი
10 მაისი, 18:30
ბროსეს ქუჩა 6**

ფილმის ჩვენება და დისკუსია თამაზი
„მედ ყოფილი ფილმის პროექტისათვის
გარემოში.“

„ფრონტლაინ ჯორჯია“
პომოფილიასთან და ტრანსფორმიასთან
ბრძოლის საერთაშორისო დღესთან
დაკავშირებით გაიმართება ლია ჯაყე-
ლის ახალი დოკუმენტური ფილმის
„მედ ყოფილი ფილმი“ (13:55 / 2011)
პრემიერა.
პრეზენტაციას წარმოადგენს ჰანს
გუტბროდი, CRRC-ის რეგიონული
დირექტორი.
17 მაისი, 18:30
ბროსეს ქუჩა 6.

დისკუსია თამაზი „რაზერთი და
რახერვესთავი“

„ფრონტლაინ ჯორჯია“
თავდაცვის სამინისტროს წარმომად-
გენები, რეზერვის სისტემის ხედვას
წარმოადგენწ. მოწვეული იქნებან
სხვადასხვა პატრიოტული კაუფების
წევრები, რომლებიც თავიანთი საქმია-
ნობის ფარგლებში რეზერვის ერთგვარ
„ალტერნატივას“ ქმნიან. მოდერატორი
– გიორგი ცეკვიტავა

პერვალ ზაზა გურჯულაძესთან

ლიტერატურის მუზეუმი
ავტორთან შეხვედრების ფარგლებში,
ლიტერატურის მუზეუმის სტუმარი
იქნება ზაზა ბურჭულაძე. ავტორ
წაიკითხა ფრაგმენტებს მისი ბოლო
წიგნიდან „გასაბერი ანგელოზი“.

13 მაისი. 18:00

ჭანტურიას ქ.8



ავტორი: ნინო ჩიმაკაძე



გონიერი პილის პასტები



„ალუმინის რტო“ — უნიკალური პილის პასტა — დამზადებული პოლივანოლით
მდიდარი ალუმინის ყვავილის ექსტრაქტის საფუძველზე.

- ✿ ნაზად აცილებს ნადებს პილზე
- ✿ იცავს კარიესისგან
- ✿ ხელს უშლის ჰაეტერიტის ფილმის პილის ზედაპირზე
- ✿ აქვს ანტიოქსიდანტური მოქმედება

ულრომ დროის „ბახმარო“

სალომე ჯაშის ახალი დოკუმენტური ფილმი
გამოსავიზიზე და არა მხოლოდ...
დავით ბუხრიძე

მოუხედავად იმისა, რომ ჭამაზე, სექსზე და „გამჭვირვალე“ პოლიციის შენობებზე გადაღებული ფილმები (სხვა მცირე პოლიტიკურ „უბედურებებთან“ ერთად) ჩვენი კინემატოგრაფის მთავარ გასართობად ითვლება, დოკუმენტური ფილმები გაცილებით უფრო სასარგებლო და საშიშია. ისინი თუნდაც არაფიზლად მოდარაჯე არასამთავრობო ორგანიზაციებს ვერ შეცვლიან, მაგრამ მამხილებელ ჰაოსასა და რეალობის გრძნობას მაინც შეინარჩუნებენ. მაგალითად, ტელეუზურნალისტისა და რეჟისორის, სალომე ჯაშის 2009 წელს გადაღებულ დოკუმენტურ-რეპორტაჟულ ფილმს „ლიდერი ყოველთვის მართალია“ მცირე პოლიტიკური აჟიოტაჟიც კი მოჰყვა.

რეჟისორის ახალი, ერთსაათიანი დოკუმენტური ფილმის პრემიერას „რუსთაველში“ არ მოჰყოლია ხმაურიანი რეაქცია, როგორც, ვთქვათ, ნინო კირთაძის ფილმის შემთხვევაში, მაგრამ მაინც დიდი რეზონანსი გამოიინვია. ფილმის სათაური „ბახმარო“, არც გეოგრაფიული ადგილის სახელწოდებაა და არც ცნობილი კურორტის. იგი უდრობაში ჩაკარგულ, უფრო ზუსტად, საბჭოთა დროითა და რეზლექსით „მცხოვრებ“ სამსართულიან შენობას ნიშანავს. ოდესაც აქ ხალხმრავალი რესტორანი და აყვავებული სასტუმრო იყო, ამჟამად კი თითქმის გაპარტახებული სიცარიელეა. ყველაფერი წარსულითაა დაღდასმული – შიგნიდან არეული და დანგრეული, გარედან კი მშვიდი და აგურით მოპირკეთებული.

ფილმი დროისა და სტაგნაციის უცნაურ ბურუსს ასახავს, რომელშიც შენობაა გახვეული და რომელიც უცნაურად ირევლაგს კომუნიზმის შემდგომი დროის დრამებს. 90 იანი წლების ნერევიდან, წითელი და მწვანე პლასტიკატით მოპირკეთებული რესტორნის კიჩურ ესთეტიკამდე. სამსართულიან შენობაში ლტოლვილები, პარტიული ლიდერები, უფრენქიო რესტორნის მომსახურე პერსონალი და კომპიუტერული ცენტრის თანამშრომლები მშვიდად, მაგრამ აბსურდულად თანაარსებობენ. ისევე როგორც, მთლიანად



ფილმი „ბახმარო“ დროისაც სტაგნაციის უცნაურ ბურუსს ასახავს, რომელიც შენობას გახვეული და რეზლექსით მოპირკეთებას მომდევნობა. 5“ არაფრით მაგრდება, არც სკოჩით, არც წებოთი. სამაგიეროდ, ლიდერი „ნომერი 10“ კამერის წინ ჩინდება, ხალხს დაპირებასაც აძლევს და დეპრესიულ გარემოს მხოლოდ ირონიულ თანაგრძნობას უტოვებს.

დოკუმენტური თხრობის მანერას რეჟისორი რამდენ-ჯერმე მხატვრული მიგნებით არღვევს. მაგალითად, კონტრაურით იღებს პერსონაჟთა სახეებს, ან გამჭვირვალე ფარდის მიღმა ცხენის მომავალ სილუეტს გვიჩვენებს, რომელიც მოჩვენებას უფრო ჰგავს. ფინალში „ბახმარო“ ჩაძირულ გემს ემსგავსება, რომელსაც პირველები „ვირთხები“ – ჩინელები ტოვებენ. ისინი მოახლოებულ კატასტროფას ინტუიციით გრძნობენ, ბარგს ალაგებენ და მაღაზიას კეტვენ...

შენობა, ანუ სამყარო სახელად „ბახმარო“ ცარიელდება და ამას ვერც წინასაარჩევნო დაპირებები შევლის და ვერც ცნობისმოყვარე ბავშვების ურიამული, რომლებიც დაცარიელდებული ჩინური მაღაზიის ფანჯრებში იჭვრიტებიან. იქ უკვე რომელიდაც პარტიის ახალი, მაგრამ დროებითი ოფისი იხსნება.

„ბახმაროს“ გზა საერთაშორისო კინოფესტივალებზეც გაეხსნა, რადგან ფილმით ევროპული ტელევიზიებიც დაინტერესდნენ. ეს პირველ რიგში გერმანელი პროდიუსერის დამსახურებაა. პარტიინორებს შორისაა ასევე ცნობილი ფრანგულ-გერმანული ტელეარხი „Arte“, რომელიც ფილმის ჩვენებას უახლოეს მომავალში აპირებს.

ააგენტი

ნიმუში 100გგ

იდეალური გამოსავალი ტკივილისა და ათების დროს

შეიძლება თუ არა ერთდროულად დავამარცხოთ ტკივილი და ანთება?

თანამედროვე მედიცინა მიმართულია ისეთი მედიკამენტების შექმნისკენ, რომლებიც მცირე დროში უფექტურად ახდენ დავადების ამა თუ იმ სიმპტომის კუპირებას. განსაკუთრებული მოთხოვნა დღეს ნაეყნება ტკივილგამაყუჩებელ და ანთების საწინააღმდეგო საშუალებებს. ტკივილის დროს ძირითადი მოთხოვნაა მისი სწრაფი მოხსნა, ხოლო ანთების მკურნალობისას მნიშვნელოვანია, რომ პრეპარატს პქონდეს მინიმალური გვერდითი მოვლენები, ანთების საწინააღმდეგო თერაპია ხომ გაცილებით ხანგრძლივ დროს მოითხოვს.

პრეპარატი, რომელიც ერთდროულად აკმაყოფილებს როგორც ტკივილის, ასევე ანთების საწინააღმდეგო მკურნალობის მოთხოვნებს არის უნიკალური ტექნოლოგით დამზადებული მედიკამენტი - "ააგენტი".

"ააგენტი" ტაბლეტი პირის ღრუში მოხვედრისთანავე წყლის გარეშეც ისსნება. მისი შენოვა პირის ღრუდან იწყება, რის გამოც ტკივილგამაყუჩებელი უმოკლეს დროში დგება. მაღალსელექტიური მოქმედების გამო, მინიმუმადეა შემცირებული მისი გვერდითი უფექტები ხანგრძლივი გამოყენების შემთხვევაშიც (მათ შორის კუჭ-ნაწლავის ტრაქტის შრივ). ზოგიერთ ადამიანს ჩვევად აქც ტკივილგამაყუჩებელი საშუალების წყალში გახსნა და ისე მიღება, რაც "ააგენტის" შემთხვევაშიც შესაძლებელია. თუმცა მისი მოელი უპირატესობა ის არის, რომ "ააგენტის" მიღება შეიძლება ნებისმიერ სიტუაციაში და არ არის საჭირო ჭიქა წყლის ძებნა.



დავით აღმაშენებლის 148/2
საბიზნესო მიმდევარი 967 227
პრეპარატის მოძღვა ნონ გავერა მისტერიული
გავერა მოყვანის შესაბამის დაზიანება
მდგრადი მოვლენის შესაბამის გრძელება!



გისერვაჲთ ჯანრთაღობას და სეღიარ სიმუშავეს!

"ვარდისფერი" ცოდვების თეატრი

როცა თეატრი ჩალევიზის თან ბაჩავს და თან ეჯიბრება

დავით ბუხრიკიძე

მრავალჯერ გადადებული რეპეტიციების შემდეგ, რეჟისორმა ლევან წულაძემ მარჯანიშვილის თეატრში, ჯოვანი ბოკაჩის მიხედვით შეთხზული „დეკამერონი“ დასრულა. პრემიერიდან კარგა ხნის შემდეგ უკვე არსებობს აზრთა სხვადასხვაობა, რაც დიალექტიკის კანონების თანახმად, მხოლოდ უკეთესია: ურთიერთსაწინააღმდეგო აზრი რაიმეს შესახებ, განვითარებას მხოლოდ ხელს უწყობს. თანაც „დეკამერონი“ რატომდაც ისევ აკრძალული ხილის მითოლოგიას უკავშირდება, რომელიც უკვე დიდი ხანია ყველამ გასინჯა. როგორც ჩანს, მითები მაინც ინარჩუნებენ არქეტიპულ მნიშვნელობას, მაშინაც კი, როცა ისინი ძალიან გაცვეთილად გვეჩვენება.

როდესაც ლევან წულაძის ინსცენირებით შეთხულ ამ ფერად (უფრო მკვეთრი სიტყვა „ქაოსური“ რომ არ ვიხმაროთ) და ტრაგი-კომიკურ ფრესკას უყურებთ, აღორძინების ხანის ლიტერატურულ პირველწყაროში მოთხოვილ ცოდვებზე ნაკლებად ფიქრობთ. ალბათ, იმიტომ, რომ რეჟისორმა იმედი მოგვცა, რომ შევი ჭირი, რომელიც ფლორენციას „დეკამერონში“ თავს „ცოდვებისა და პლანეტების განლაგების გამო ატყდება“, მთლად აპოკალიფსი არ არის. ის რაღაც საშუალოა ჩვენ მიერ გადატანილ ომებსა და სხვის თავს მოულოდნელად თავსდამტყდარ ცუნამს შორის. რაც სპექტაკლის ბოლოს დაახლოებით ცოდვასა და მიტევებას შორის ბალანსის აღდგენას ნიშნავს.

როცა ფინალში დარბაზს ადამიანთა ურიცხვი და წვრილმანი ცოდვებისგან „შეკერილი“ ცისფერი ქსოვილი-ცუნამი გადაულის, ეს თთქმის გამოფეხზლებისთვისაა. ასე ვთქვათ, მცირე „არტისტული თერაპია“, რომელიც გახმოვანებულია ვატო კახიძის მსუბუქი კრიმანქული-



**კუპლიკა „ფოლასგან“
მინიატურა გასართობ და
მუსიკოლოგ სპექტაკლების ითხოვდა
და მაქსიმუმ „ფიგაროს ეროტიკულის“.
ამგვარი დამოკიდებულება კი თავად
რეჟისორს სერიოზული არჩევნის საშუალებას
ნაკლებად უზოვებდა.**

თა და საცეკვაო გურული მოტივებით; მხატვარ ნინო სურგულაძის ოცდათამდე ჭრელი კოსტიუმი. სცენოგრაფიას თავად ლევან წულაძე ითავსებს, ტექსტის „მოთვინიერებასა“ და პუბლიკისთვის უკვე ნაცნობ რეჟისორულ ილეთებთან ერთად. ამ ილეთებს ქორეოგრაფიულ ენაზე გია მარღანია „თარგმნის“, რომელიც კარგა ხანია წულაძის თითქმის ყველა სპექტაკლის თანაავტორია.

შესაძლოა, პაზოლინის მიერ 70-იანი წლების დასაწყისში გადაღებული „დეკამერონიც“ გაგახსენდეთ – ნაივური პოეზიისა და კოსტიუმირებული ეროტიზმის ნაზავი. თუმცა ეს მხოლოდ გეხმარებათ ერთგვარი დისტანცირება მოახდინოთ წულაძის მუსკომედიურ

ენასთან, რომელშიც (თუ კინემატოგრაფიულ ასოციაციებზე მიდგება საქმე) გაცილებით მეტია ფელინის „სატირიკონის“ აპოკალიპსური მოტივები და ფერადოვნება, ვიდრე პაზოლინის ფილმის სადა გამომსახველობა.

ყველაზე საინტერესო, რაც სპექტაკლშია, მარჯანიშვილის სცენის სილრმე და რამდენიმე პლანია, რომელიც რეჟისორს სცენოგრაფიულადაც უგრძვნია. თუმცა წლების წლის იყო გამონაკლისიც – თუმცა ჩხეიძის შესანიშნავი სპექტაკლი „ჰავი აძბა“, რომელშიც ცარიელი სცენის სილრმეში სახანძრო რეინის კიბეც კი ჩანდა და მოქმედება ამ სიცარიელიდან მოზომილად, დახვეწილად გადადიოდა დრამატულ განზომილებაში... მაგრამ ეს უკვე შორეული დიდების უამს, დაახლოებით 30 წლის წინ იყო!

რეჟისორი სცენაზე სამ შრეს ქმნის: უკანა უფრო ეფექტური „სტოპ-კადრებისა“ და დეკორაციული მიზნების-თვისაა; შუა ნაწილში ძირითადი ეპიზოდები თამაშდება, ხოლო ავანსცენაზე ცოდვები და სიყვარული მსხვილი ხედითა აქცენტირებული. ამგვარი მონაცემებია რეჟისორს მოქმედების დინამიკისკენაც უბიძგებს და ურიცხვი

პერსონაჟების სხვადასხვა სივრცეში განაწილების საშუალებასაც აძლევს.

ჭრელი და, ამავდროულად, დროში გაპნეული კოსტიუმები, დაუფარავი ეროტიზმი და ლამის ბრეიგელ-ბოსხის აპოკალიქსური მოტივებით შთაგონებული დეტალები ერთმანეთშია აღრეული და უწესრიგო ხმაურს უფრო ემსგავსება, ვიდრე კონცეფციას. განსახვავებული თაობისა და სტილის მქონე მსახიობები შედარებით „მშენდობიანად“ თანარსებობენ. მაგალითად, მარლენ უგუტიასა (ნიკოსტრატო) და გივი ჩუგუაშვილის (ტანკრედი) ხელშესახები დრამატული თამაში სრულიად განსახვავდება ქეთი ცხაკაისა (კალანდრინა) და ბესო ბარათაშვილის (კალანდრინო) მსუყე იუმორისგან; ხოლო ხმაურიანი და ლამის საკონცერტო მსახიობთა ქორო უფრო სიცარიელის შევსებას ემსახურება.

თითქოს შეუმჩნეველი, მაგრამ საინტერესოა ბაია დვალიშვილი (ბერნანდრეტა). გასაგებია სცენაზე მხოლოდ თვალისოვის საამო ეკა ნიუარაძის (ლიდია) გამოჩენა და მოულოდნელია მალხაზ აბულაძის თვითირონიული დრამატულობა, რომელიც გაიძვერა დეზერტირსა და ქალების გულთა მპყრობელის, ჩაპალეტოს როლს რომანტიულ ელფერს სძენს; თითქოს სირანო დე ბერეჟერაკს თამშობდეს. მით უმეტეს, რომ სპექტაკლში პერსონაჟები სწორედ თე-თრი ლექსითი მეტყველებენ.

კიდევ ერთი დეტალი: რეპეტიციებს თავიდან კახა აბუაშვილი გადიოდა, რომელიც სწორედ ჩაპალეტოს როლს ასრულებდა და ის მოულოდნელად შეცვალა მალხაზ აბულაძემ. მიზეზებზე ვერაფერს გეტყვით, რომელი უკეთესი იქნებოდა, ძნელი სათქმელია...

იმის გამო რომ ბოკაჩიოს „დეკამერონში“ ძირითადი სიუჟეტური ხაზი, ანუ ლინეარული თხრობა არ არსებობს, ეს სპექტაკლის ხარისხზეც აისახება. გამოკვეთილი ნოველები ისე გადადის ერთმანეთში, რომ სცენაზე ზოგჯერ გაუგებრობა იქმნება. მაყურებელს უჭირს ამბის ბოლომდე გაგება და მსახიობების პერსონაჟებთან იდენტიფიცირება. გარდა ამისა, მოქმედი პირების მუდმივად სცენაზე ყოფნა და მათი მრავალრიცხვნება განაპირობებს ქაოსს, რომლის გამოსწორებას მსახიობები გარკვეული „თვითშემოქმედებით“ ცდილობენ. ეს აღქმისას კიდევ უფრო ხელისშემსლელია და უფრო თვალსაჩინოს ხდის წულაძის „დეკამერონის“ სტრუქტურის მოუნესრიგებელ მხარეს.

დღევანდელი თეატრი მკაცრად კონცეფტუალურია და იქ

არაფერია შემთხვევითი: საგნები, დეტალები, განათების ინტენსივობა, პერსონაჟთა გადაადგილება სცენაზე ...ყოველი ჟესტიც კი გასაგები და სიმბოლური დატვირთვის მატარებელია. ამის იდეალურ მაგალითად სახელოვანი რობერტ ვილსონი გამოდგება, თუმცა გასაგებია, რომ ეს სულ სხვა დროის, რიტმისა და ხედვის თეატრია.

ნებისმიერ შემთხვევაში, როგორი მრავალრიცხვობანი პერსონაჟებითაც უნდა იყოს სპექტაკლი „განსახლებული“, რა რთულიც უნდა იყოს პოლიფონიური თხრობა, სცენური ამბის გადმოცემისას, სიცხადე აუცილებელია. ამ ყველაფერს კი ნაირგვარი ტელე-მოდელირებითა და „შაბათის შოუთი“ საამოდ „მოწამლული“ პუბლიკა ძნელად თუ გაიგებს.

სამწუხაროა, რომ რეჟისორებიც და თეატრებიც არაც-ნობიერად ტელევიზიას თან ბაძავენ და თან ჩუმად ეჯობრებიან! და რაც მთავარია, ისინი ხელოვნებისკენ კი არ „ექაჩებიან“ მაყურებელს, პირიქით – თეატრს აქცევენ სანახაობად და სერიალებად. ამიტომ არის, რომ სოციალური, ან მემარცხენე თეატრი საქართველოში საერთოდ არ არსებობს. მაშინ როცა, თითქმის ყველა ცნობილი და-სავლური თეატრალური ფესტივალი თუ აკადემიური დასი საკუთარ მნიშვნელობას სწორედ შოუს, ტელევიზიისა და გართობის წინააღმდეგ, ან მის მიღმა მოიაზრებს...

იქნებ, საქართველოში სწორედ პირიქითა? პუბლიკა „ქოლასგან“ მინიმუმ გასართობ და მუსკომედიურ სპექტაკლებს ითხოვდა და მაქსიმუმ „ფიგაროს ქორნინებას“. ამგვარი დამოკიდებულება კი თავად რეჟისორს სერიოზული არჩევნის საშუალებას ნაკლებად უტოვებდა. თუმცა ალაგ-ალაგ, პიეზის სამყოფი სივრცე ახალ სპექტაკლში „უანგბადის ბალიშებივით“ მაინც არის განხეული. მაგალითად, როცა ერთ-ერთ ეპიზოდში გულუბრყვილო და სულელი მრეცხავი გოგო (მაკა შალიკაშვილი) იჯერებს, რომ მეფისათვის პანჩურის ამორტყმა შეიძლება; ან მაშინ, როცა ომისა და შიმშილის შედეგ სცენაზე თოვს და რომელიაც კარგი მეხსიერების თეატრალს ჯორჯო სტრელერის მიერ დადგმული კარლო გოლდონი ახსენდება...

ეს ისე; ვინმეს რომ არ ეგონოს, რომ ჭოლა დიდი რეჟისორების სპექტაკლებს არ უყურებს და პირქუშ სოციალურ-თეატრალურ პროზას ისევ „კეოსტარული“ უანრის მსუბუქი ესტრადა ურჩევნია.



მხეიარული „ჰამლეტი“

რუსთაველის თეატრის ექსპერი- მენტულ სცენაზე რობერტ სტურუას მაგისტრანტმა, ახალგაზრდა რეჟისორმა ლევან ხვიჩიამ გადაწყვიტა, „ჰამლეტი“ მოკლე და სხარტ კომიქსად წარმოედგინა.

რუსთაველის თეატრში, უფრო სწორად ექსპერი- მენტულ სცენაზე რობერტ სტურუას მაგისტრანტმა, ახალგაზრდა რეჟისორმა ლევან ხვიჩიამ გადაწყვიტა, „ჰამლეტი“ მოკლე და სხარტ კომიქსად წარმოედგინა. ამისთვის მას სულ რაღაც ერთი საათი, შავი ხის კუბი და ოდნავ დაქანებული შავი საგარმელი დასჭირდა. კონ- ცენტრულისა და იუმორისტუ- ლი გრადუსის შესაბამისად, რეჟისორმა სპექტაკლს „ჰა- მლეტი com.X“ უწოდა.

შექსპირის ხუთმოქმედე- ბიანი ტრაგედია რეჟისორმა ჩვენს თვალწინ ჰატარა და საკმაოდ მახვილგონივრულ კომედიად გარდაიქმნა, რო- მელშიც გრძელი მონოლო- გები ჰატარა ფრაზებადა დაჩქინდი. პიესის ირგვლივ შეთხული სქელტანიანი მითო- ლოგიიდან კი „რქები და ჩლიქებიდა“ დარჩა, რაც მცირე- მეტრაჟიან გასართობს და სასაცილო ეპიზოდების კასკადს გულისხმობს.

„ჰამლეტი.comX“ სხარტი და სრულიად არამოსაწყენი სპექტაკლია, რაც უკვე კომპლიმენტად შეიძლება ჩავთვა- ლოთ. მრავალრიცხვანი პერსონაჟებიდან თითქმის ცა- რიელ სცენას მხოლოდ რვა შემორჩია. პარადოქსულად მო- გერჩენებათ, მაგრამ ყველა მათგანს თანაბარი დატვირთვა აქვს. ასე რომ, ლევან ხვიჩიას სპექტაკლში არ არსებობენ მთავარი და მეორებარისხოვანი პერსონაჟები.

სწორედ რეჟისორის მდიდარ ფანტაზიას, ან ჭაბუკურ „თაგებედიბას“ შეიძლება მივაწეროთ, რომ შექსპირის ტე- ქსტი „ქირურგიული ჩარევის“ შედეგად კომიქსად იქცა. მიუხედავად რამდენიმე უულგარული გადაკეთებისა, მას მაინც არ ღალატობს ზომიერება, რაც ხშირად გადაულახავ ბარიერად იქცევა ხოლმე ახალგაზრდა და ამბიციური რე- უსიორებისთვის.

თითქმის მარტივ და პლასტიკურად კარგად აწყობილ სპექტაკლში ყველა ახალგაზრდაა. სათვალიან ჰამლეტს, რომელსაც უფრო მეცნიერი-ბოტანიკოსის პრეტენზია აქვს, ედმონდ მინაშვილი თამაშობს, რატომლაც შავენიან ჰო-



„ჰამლეტის“ კომედიურ ჩანრში დაღმგა რეჟისორის ჩეკვასთისაღი ჩამოყალიბებულება სტერეოტიკულება და ყალბება დამოკიდებულება გადასცვებისა. ბალანსის გადასცვებისა.

რაციოს – კახა კუპატაძე, მეფისტოფელის იმიჯის მქონე კლავდიუსს – ბექა სონდულაშვილი, სექსუა- ლურად დაუკმაყოფილე- ბელ გერტრუდას – მანანა აბრამიშვილი. სასაცილოა ვითომ უკარება ოფელიაც, რომელსაც ქეთი სვანიძე ლამის ლედი გაგას იმიჯით ასახიერებს.

მამის აჩრდილი (გელა თაგბერიძე) შავი ქოლგით, გროტესკული გრიმით და პატარა ჩემოდნით ხელ- ში, უფრო მისტერ ფეი- ჯინს ჩამოჰგავს ფილმიდან „ლივერ ტვისტი“, რო- მელსაც მწვანეშარვლიანი და დიდსათვალიანი ლარ- ტი (ირაკლი სანაია) სასა- ცილოდ ერითმება. თუმცა პუბლიკას მაინც ტელე-

გიზით პოპულარული პაატა გულიაშვილის პოლონიუსი ხიბლავს, რომლის ნებისმიერი ფრაზა თუ უკავად მატებს წარმოდგენას „კომიკურ გრადუსს“.


გაშარებულია ყველა ცნობილი მონოლოგი თუ სცენა: ჰამლეტის „რად არ მეშლება ეს სხეული“ და „ყოფნა-არყო- ფნა“, კლავდიუსის „უფიქროდ სიტყვა ვერ მისწვდება ცას ვერასოდეს“ და. ა.შ. ჰამლეტისა და ოფელის შეხვედრის ცონბილ სცენაში „სახსოვრებად და წერილებად“ რეჟისორი პრეზერვატივებს იყენებს. რაც შეეხება „ყოფნა-არყოფნის“ წერილად ქცეულ მონოლოგს, რეჟისორი მას სტურუას „ჰა- მლეტიდან“ პაროდიად აქცევს, რაც ერთ-ერთი საინტერესო ეპიზოდია.

ერთ-ერთ ინტერვიუში რეჟისორი ამბობს, რომ „ჰამლე- ტის“ კომედიურ უანრში დადგმა ტექსტისადმი ჩამოყალი- ბებულმა სტერეოტიკულმა და ყალბმა დამოკიდებულებამ გადააწყვეტინა. ისევე როგორც, ახალგაზრდა მაყურებლის დღევანდელმა რეაქციამ ზოგადად კლასიკურ პიესებზე. თუმცა ამ სასაცილო და არცთუ უგემოვნოდ დადგმული სპექტაკლის ფონზე, უფრო საშიშია იმ ახალგაზრდების რე- აქცია, რომელთაც შექსპირის „ჰამლეტი“ არ წაუკითხავთ და სპექტაკლის შემდეგ ჩათვლიან, რომ ის მართლა კომი- ქსია.

გაზაფხული აღების გახეშე



ას ინვეცს ძირიანობას და მოთენიტილობას



ოთხებია სწავლაზე და კურსებზე მოგიხსნით აღებით გამოწვევი შემძებელ სიმპუსიმებს:

- ცემონებას
- ცხვირიდან გამონაღენს და ცხვირის გაცობას
- ცხვირისა და თვალების ქავიღს, ცხემდღენას
- გამონაყაჩს, ქანის ქავიღს და სინითლეს

ღოზისა: მხოლოდ 1 ქაბდელი ღლეში

თბილისი, სანაზის ქ. № 6

„ათასი მეოთე“, ანუ ერთი ფილმი ბერლინში გიძინა ყაჩაველის ახალი ფილმის პრემიერა გაიმართება

დავით ბახერიძები

შორეულ მომავალში კაცობრიობა მხოლოდ ინტე-ლექტურული მუტანტებით და სიყვარულგამოცლილი არსებებით იქნება დასახლებული. ადამიანები თავიანთი ფუჭი ვნებებითა და ასატანი ცოდვებით აღარ იარსებები. არც წარმტაცი ბუნება და არც არქიტექტურულ ურჩეულებად ქცეული მეგაპოლისები იქნება. დარჩება გაუკაცრიელებული პლანეტა, რომელსაც ყოვლისშემძლე, გიგანტური დედა-არსება მართავს თუ ასულდგმულებს. მითიური იუპიტერის მსაგავსად, ის ჯერ შობს და შემდეგ ჭამს საკუთარ შვილებს...

ეს არის ბერლინში მცხოვრები ქართველი რეჟისორის, ბიძინა ყანჩაველის ახალი და სრულიად განსხვავებული ტექნილოგიით გადაღებული ფილმის მოკლე ანოტაცია. სათაური „ათასი მეოთე“ გაცილებით ირონიულად და უფრო დამაინტრიგიზებლად ჟლერს, ვიდრე „თეთრი ქალაქი“ (როგორ თავდაპირველად იყო ჩაფიქრებული). ვიდეო-არტის, კომპიუტერული ტექნილოგიისა და ბერლინის ისტორიულ კინოსტუდია „უფაში“ გადაღებული ეპიზოდების შთამბეჭდავი კომპილაცია აღბათ, კარგი მიზეზია თავად რეჟისორის შემოქმედების შესახებ სასაუბროდ.

გახსოვთ, ორიგინალობით გამორჩეული, ახალგაზრდა დრამატურგი ტერეპლიოვი უცნაურ ბიესას რომ წერს ჩეხოვის „თოლაში“, გამქრალ ცხოველებზე, სიცივესა და სიცარიელეზე... დაახლოებით მსგავსი ასოციაციები გამიჩნდა, როცა რეჟისორმა ბერლინში ჯერ კიდევ დაუმონტაჟებელი მასალა და რამდენიმე ეპიზოდი მაჩვენა. რეჟისორის წარმოსახვა სამყაროს შესახებ მომავალ, შთამბეჭდავ და საზარელ ხილვას უფრო ჰგავს, ვიდრე დღევანდელი რეალობის ნატურალისტურ გააზრებას.

„ათასი მეოთე“ თითქმის დასრულებულია და მაისის ბოლოს ბერლინური პრემიერაც გაიმართება. საინტერესოა, როგორ იქნება მაყურებლისა და პროფესიონალების რეაქცია. მით უმეტეს, არტ-ჰაუზით არც ისე „დამშეული“ პუბლი-



ვიდეო-არტის, კომპიუტერული ცეკვოლოგისა და შთამბეჭდავი ეპიზოდების კომპილაცია, კარგი მიზეზია თავად გიძინა ყაჩაველის შემოქმედების შესახებ სასაუბროდ.

ეს ბერლინში საკმოდ მეტა-ცრი, მაგრამ ობიექტურია. ფრანგი პროდიუსერი პიერ დუსტი, რომელთანაც ბიძინა ყანჩაველს უკვე დიდი ხნის თანამშრომლობა აკავშირებს, ფიქრობს, რომ დაახლოებით ორწლიანი მუშაობის შედეგი (ფილმზე მუშაობა რეჟისორმა 2009 წელს დაიწყო), „უფრო მეტი იქნება, ვიდრე ბანალური სიტყვა „საინტერესო“ დაიტევს“. ბიძინა ყანჩაველთან ერთად იგი მუშაობდა ფილმებზე „შვიდნახევარი ქალი“, „ექვსი სურათი სამყაროზე“ და „პეპლების მილენიუმი“.

36 წლის კინორეჟისორს ბერლინის კინოსამყაროში კარგად იცნობენ, თუმცა საქართველოში მისი ფილმების შესახებ გაცილებით ნაცლებად წერენ. სამი წლის წინათ მისი ნაცევარსათაიანი ფილმი „ექვსი სურათი სამყაროზე“ თბილისის საერთაშორისო კინოფესტივალ „პრომეთეს“ არასაკონკურსო პროგრამაში უჩვენეს, ხოლო გოეთეს გერმანული კულტურის ინსტიტუტმა მოაწყო მისი ადრეული და ყველაზე ცნობილი მოკლემეტრაჟიანი ფილმის „შვიდნახევარი ქალის“ ჩვენება. რეჟისორის შესახებ მრავალფეროვან ინფორმაციას დასავლურ მედიაშიც გაეცნობთ.

2007 წელს ბერლინში, დავიდ გალოს ცნობილ კერძო გალერეაში, „შვიდნახევარ ქალს“ რამდენიმე კვირის განმავლობაში უჩვენებდნენ. ათწუთაიანი ფილმი ფრანგულ-გერმანული ტელეარხის, „არტეს“ დაკვეთა იყო, რომელიც ახალგაზრდა დასავლეთ ევროპელ რეჟისორებთან ერთად, ბიძინა ყანჩაველმაც გადაიღო. პირველივე ფრაზა - „მე გასაღები დავკარგე“, უნდა გამხდარიყო ყველა ფილმ-ნოველის დასაწყისი.

არტ-ჰაუზის მფარველმა „არტემ“ 2008 წელს ეს პროექტი სამჯერ უჩვენა. ქართველი რეჟისორი კი ერთადერთი აღმოსავლეთ ევროპელი აღმოჩნდა დასავლელი კოლეგების გვერდით. იმდენა, ბიძინა ყანჩაველის ექსპერიმენტული ძიებებით გამორჩეულ „ათას მეოთეს“ კარგი გამოხმაურება ექნება გერმანიაში და მას ქართველი მაყურებელიც ნახავს.



ჯი.მარტ
G Mart

www.gmart.ge

როცა ყიდვა გსიამოვნებს

სუპერმარკეტი ჯი.მარტი ქახვასია

ცოტნე ღამიანის ქ.7 ტელ. 242 314

სუპერმარკეტი ჯი.მარტი ცენტრი

ვაგზალის მოედანი 2 ტელ. 200 314



ტქმილი, მნარე და ძვირფასი

ავტორი: დიანა აფიშიაშვილი

როგორ შეიძლება შოკოლადზე არ დავწერო – ვთქვი ამ დილით და საბინებელი ოთახიდან ფეხაკრეფით გამოვიპარე, რომ ჩემს ოთხი თვის შეიღლს არ გალეიძებოდა. გასვლამდე მის პატარა სანოლს შევხედე, ჯერჯერობით სიმშვიდეა, სძინავს, სიზმრის ანგელოზებთან ერთად თამაშობს – სახე ხან გაეძადრება, ხან კობებს შეკრავს – შემიძლია საათობით ვუყურო.

რა კავშირია შოკოლადსა და ჩემს პატარა ბიჭს შორის – რა თქმა უნდა, ლოგიკური კითხვა გაუზინდება მკითხველს. – ბევრი, ძალიან ბევრი, სიტყბოც და სიმწარეც ერთნაირი აქვთ, უძილობასაც ერთნაირად იწვევენ, არცერთი არასდროს არ არის ბევრი, ჩემს პირველ წიგნს „შოკოლადი“ ჰქვია და ჩემს პირველ შეიღლს თხილიანი შოკოლადივით მრგვალი და პრიალა

თვალები აქვს. თანაც ორივე საახალწლო საჩუქარია.

პირველ იანვარს გაჩნდა ჩემი ბიჭი და პირველი იანვარი ჩემს პირად სადღესასწაულო კალენდარში შოკოლადის დღეა. არასდროს ამდენი შოკოლადი არ არის ირგვლივ, როგორც ახალი წლის დილას. ასე რომ, დღეს შოკოლადის დესერტებზე და ჩემს ლოყებგაბერილ პატარაზე მინდა მოგიყვეთ.

1. ტქმილი

ყველაზე ტქმილი ახალგალვიძებულია, შეწითლებული ლოყები აქვს და ძალიან გემრილი სუნი კისერში, ამ დროს ყველაზე კეთილგანწყობილია და საკუთარი ჩემილური ენის მწირ და კეთილხმოვან ლექსიკას უხვად იყენებს.

რეცეპტი:

ცხელი შოკოლადი მარწყვით მასალა:

კაკაოს ფხვნილი – 1/3 ჭიქა

შაქარი - 6 სუფრის კოვზი

მწიკვით მარილი

მდუღარე წყალი – 1/3 ჭიქა

რძე – ნახევარი ჭიქა

ვანილი – დანის წვერით

ნაღები – ნახევარი ჭიქა

200 გრამი მარწყვი

რომი – 2 სუფრის კოვზი

ფორთოხლის ცედრა – მწიკვი

პატარა ქვაბში ავურიოთ კაკაო, შაქარი და მარილი, თან ნელ-ნელა და-ვუმატოთ მდუღარე წყალი, ვურიოთ, ვახარშით 2 წუთის განმავლობაში, და-ვუმატოთ რძე და გავაცხელოთ, ადუ-ღებამდე არ მივიყვანოთ, დავამატოთ

ვანილი და ათქვეფილი ნაღები, ისევ ავურიოთ და გავაგრილოთ.

მარწყვი გავარჩიოთ, დავაყაროთ სულ ცოტა შაქარი და დავნამოთ რომით, გავაჩეროთ ცოტა ხანს, შემდეგ გავანანილოთ ჭიქებში და მოვასხათ თბილ-თბილი შოკოლადი, მოვაყაროთ ფორთოხლის ცედრა.

2. მსუბუქი

მსუბუქი თავიდან იყო, სულ რაღაც 3 კილოგრამი და 200 გრამი დაიბადა, მოცუცქული, ხელისგულზე ეტეოდა, ახლა უკვე საგრძნობლად დამზიდა, დიდხანს ხელში ვერ დაიჭირ. სხმარტალებს და თამაშობს, ჩემი ყველაზე გემრიელი ბისკვიტი.

რეცეპტი

შოკოლადის ცხელ-ცხელი ქაფი

მასალა:

- 1 სუფრის კოვზი კაკაო
- 3 ცალი კვერცხი
- 2 ჭიქა რძე
- 3 სუფრის კოვზი შაქარი
- 1 სუფრის კოვზი ფევილი
- თეთრი შოკოლადის ფხვნილი

კვერცხის გულითა და შაქრით გავაკეთოთ გოგლი-მოგლი, დავუმატოთ კაკაო, ფევილი და რძე, დავდგათ ცეცხლზე, უკრიოთ და მოიყენოთ ადულებამდე, როდესაც ადულდება, დავუმატოთ ათქვეფილი კვერცხის ცილა და მოვაყაროთ თეთრი შოკოლადის ფხვნილი.

3. ალვილი

ყველაზე ადვილია, როცა სძინავს, ამ დროს შეიძლება სხვა რამებიც გაიხსნო, როგორ კითხულობდი, როგორ წერდი, როგორ ამზადებდი, როგორ უყურებდი ფილმებს და როგორ გყავდა მეგობრებიც და რა უცნაურია, რომ თუ ძილი ძალიან გაუგრძელდა, შეიძლება ისე მოგენატროს, რომ თითქოს შემთხვევით აახმაურო მისი ჩასრუნა სათამაშო და თითქოს შემთხვევით გააღვიძომ.

რეცეპტი:

ფორთოხალი ხაჭოთი და შოკოლადით

- 4 ცალი ფორთოხალი

700 გრამი ხაჭო

400 გრამი ნაღები

2 ფილა შავი შოკოლადი

შესქელებული რძე – 4 სუფრის კოვზი

შაქრის ფხვნილი – 4 სუფრის კოვზი
2 ჩას კოვზი კონიაკი ან ლიქიორი
ნახევარი ფორთოხლის კანი გავხესოთ, დავნამოთ კონიაკით და მოვაყაროთ შაქრის ფხვნილი.

დანარჩენი ფორთოხალი კანიანად დავჭრად თხელ რგოლებად. ხაჭოს ავურიოთ შესქელებული რძე და ნაღები და ავთქვითოთ ერთგვაროვანი, ჰაეროვანი კრემის მიღებამდე. შოკოლადი გავადნოთ, დავუმატოთ ცოტაონდენი მიხაკი და დარიჩინი.

ფორთოხლის ყოველ ნაჭერს დავადოთ ხაჭოს კრემი, მოვასხათ შოკოლადი და დავაყაროთ ქოქოსის ფხვნილი.

4. მნარე

ორო, ზოგჯერ როგორი მწარეა, როცა ერთდღოულად ბევრი რამე უნდა და შენ ვერ ხვდები, როგორ მოიქცე, რატომ ტირის, რატომ წუნუნებს, რატომ ვერაფრით ამშვიდებ, რატომ არ რეაგირებს შენს მოფერებაზე და დადიხარ ოთახ-ოთახ, არწევ, უმღერი, ცეკვავ, სისულელებს ლაპარაკობ, მოკლედ, მწარეა, ძალიან მწარე, მაგრამ მაინც გემრიელი.

რეცეპტი

შავი შოკოლადის კრემი დარიჩინით, ნუშით, ნინაკით

შავი შოკოლადის 2 ფილა

დარიჩინი

200 გრამი გახეხილი ნუში

ნინაკა

ფევილი – 4 სუფრის კოვზი

რძე – 2 ჩას ჭიქა

შოკოლადი გავადნოთ, დავუმატოთ რძე და მივიყვანოთ ადულებამდე, დაბალ ცეცხლზე ხარშვისას ცოტ-ცოტა ფევილი ჩავაყაროთ და ვურიოთ.

შევაზაფოთ ნინაკითა და დარიჩინით, ნუშის ნანილი ჩაგახარშოთ შოკოლადს, ნანილი კი უკვე ჭიქებში განაწილებულს მოვაყაროთ თაგზე.

5. უბრალოდ შოკოლადის ნამსხვარი

ასეთია, შოკოლადის ნამცხვარს და ცხელ ყავას რომ მიირთმევ და ყველაფერი გაცილებით ადვილი ხდება – დაუწერელი დისერტაცია, გაცდენილი ლექციიბი, შუა გზაზე მიტოვებული სამსახური, ნახევრად ნასწავლი პორტუგალიური ენა და ზედმეტი, ზედმეტი კილოგრამები.

რეცეპტი:

შოკოლადის ნამცხვარი მსხლით

მასალა:

ნაღების კარაქი – 150 გრამი

2 ცალი კვერცხი

300 გრამი უმაღლესი ხარისხის ფევილი

100 გრამი შოკოლადი

120 გრამი კეფირი

3 ცალი მომჟავო მსხალი

მიხაკი

დარიჩინი

ვანილი

კარაქი, შაქარი და კვერცხი ავთქვითოთ, დავუმატოთ ფევილი, ვანილი, წვრილად დამტკრეული შოკოლადი და კეფირი, კარგად ავურიოთ.

180 გრადუსზე გაცხელებულ ფორმას დავაფინოთ კარაქნასმული ქალალდი, დავასხათ ცომის ნაწილი, დავაყაროთ დაჭრილი მსხალი, მსხალს მოვასხათ ცოტა გამდნარი კარაქი, მოვაყაროთ მიხაკი და დარიჩინი, ვაცხოთ 45 ნუშის განმავლობაში და უკვე გამომცხვარს მოვასხათ გამდნარი შოკოლადი.

გემრიელად მიირთვით, მე კი უნდა გავიქცე, ისევ ტირის ჩემი ყველაზე გემრიელი შოკოლადი.



"სტულენტური პოლიტიკოსი" ქრისტიან გამო

„არა, ძმაო, დღეს კიდევ ერთხელ დავრჩნები, რომ ამ ქვეყანაში არ უნდა არსებობდეს სიტყვის თავისუფლება და დემოკრატია. ამ ქვეყანას ესაჭიროება ერთპიროვნული ლიდერი, დიქტატორი, რომ ჩაახრჩოს ისეთი პროვოკატორები, როგორებიც დღეს იყვნენ მე-5 კორპუსის 313-ე აუდიტორიაში შეკრებილები. მაგალითზე მოვიყვან ადოლფ ჰიტლერის ჩატარებულ ნმენდას 1938 წლის 22 აპრილს, როდესაც მან გემზე შეყარა ყველა ისეთი სამარცხვინო, ამორალური და შუბლგანყვეტილი არსება, როგორებიც დღეს ჩვენთან იყვნენ !!! ამ თავზე ხელის სმამ გამოიწვია ის, რომ განსხვავებული ორიენტაციის მამაკაცებიც და ქალებიც ცდილობენ, ჭურა გვასწავლონ ჩვენ, სრულებით საღ ჭურაზე მყოფ ხალხს...“ „გარანტიას ვიძლევი, ეს ხალხი და მათი სულიერი მიმდევრები ამოიკვეთებიან უნივერსიტეტიდან“



ავტორი: ლაშა ჩავთარაშვილი

**ფიზიკური
არეალის სერიება
ზელაზე ნაკლებადა
კროპლებური
ასეთ სიტუაციაში.
სუნივერსიტეტი
სივრცეში ქრისტიანის
გამო, შესაძლოა,
სასტიკად
გაგისაწორდენ. თავად
თსუ-ს სტულენტები,
ვიცხ დღეს და დახმა
ადმინისტრაციის,
თვითმმართველობისა
და კროპლებური
ასეთ სიტუაციაში.
საქმე ის გახსნა-
ვი, რომ ამ ჩანაწერს ზურგს უმაგრებდა
უკვე ოთხი კაცის ცემა. ფიზიკური დენა
დაწყებული იყო, როდესაც ეს წერილი
სუნივერსიტეტი გაჩინდა.**

16 აპრილს ორი სტუდენტი, მათ შორის მეც, გვცემეს იმის გამო, რომ ჩემი რეპლიკები ადმინისტრაციის წარმომადგენლის მიმართ „ცინიკური“ და „უზრდელური“ მოეჩენათ. არ ვიცი, რამდენად ამართლებს ფიზიკურ ანგარიშსწორებას ის, რომ „ცინიკური“ და „უზრდელური“ რეპლიკა წამოვისროლე. მით უმეტეს, „უზრდელური“ რეპლიკების ადრესატი აცხადებს, რომ თავს მუშარაცხვილიად არ თვლის. „საცემთა სია“ უკვე 15-ში საღამოს იყო ცნობილი. ამიტომ მგონია, რომ ჩემი და ჩემი მეგობრის, გიორგი გოგუას ცემა უკანასკნელი არ იქნება.

მოვლენებმა მიმახვდრა, რომ ფიზიკური ანგარიშსწორება ყველაზე ნაკლებადაა პრობლემური ასეთ სიტუაციაში. გაცილებით უფრო საგანგაში მგონია ის, რომ საუნივერსიტეტო სივრცეში კრიტიკის გამო, შესაძლოა, სასტიკად გაგისწორდნენ. ამავე დროს, თავად თსუ-ს

ალბათ, ახლა ფიქრობთ, რომ ეს პავლიკ მოროზოვის წერილია ან ჰიტლერის უგენდის ერთ-ერთი წევრის გამოსვლა. არა, ეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის თვითმმართველობის ერთ-ერთი წევრის ჩანაწერია ფეისბუქზე. მისი ასეთი გაღიზიანება 15 აპრილს სახელმძღვანელოების თარგმანისთან დაკავშირებული პრეზიდენტაციისას თსუ-ს ადმინისტრაციისა და თვითმმართველობის კრიტიკამ გამოიწვია.

თუმცა, მხოლოდ ასეთი ტექსტის გამოქვეყნების გამო არ გამოსულან სტუდენტები 18 აპრილს თსუ-ს მეორე კორპუსის ნინ გამართულ აქციაზე. საქმე ის გახსნავი, რომ ამ ჩანაწერს ზურგს უმაგრებდა უკვე ოთხი კაცის ცემა. ფიზიკური დენა დაწყებული იყო, როდესაც ეს წერილი

სტუდენტები, ვინც დღეს და ღამეს ადმინისტრაციის, თვითმმართველობისა და კონკრეტული ადამიანების ლანდღვაგინებაში ატარებენ, აქციაზე დასწრებით თავს არ იწუხებენ. მათ გასაგონად მინდა ვთქვა: მალე თქვენიანაც მოვლენ!

თუმცა თქვენ რისთვის უნდა გცემონ? თქვენ ხომ აზრს არასდროს არაფერზე აფიქსირებთ და თქვენი სოციალური აქტივობა მაქსიმუმ ძმაკაც-დაქალებთან წენურითა და ჭორაობით შემოიფარგლება. ძალიან კარგად მესმის ისიც, რომ შესაძლოა, გეშმინდეთ. მეც მეშინა, თუმცა შიში სულაც არ ნიშნავს უმოქმედობას. დარწმუნებული ვარ, ღირსეულ ადამიანებად თვლით თავს. ჰოდა, დღეს თქენს ლირსებას დაცვა სჭირდება, დროა იმოქმედოთ.

არც ლექტორების სიმრავლეს შევუწუხებივართ აქციაზე. მხოლოდ ორ მათგანს მოვარი თვალი. ლექტორებზე კი ხშირად გვიმეორებენ ხოლმე, რომ სიტყვა თავისუფალი უნდა იყოს, რათა ის მხოლოდ ლექსიკურ ერთეულად არ დარჩეს.

და ბოლოს, ქვეყანაში სადაც ნაგავს უწინასთან ვაგდებთ და არა ურნაში, სა-ადაც მინისქვემა გადასასვლელი ტულეტი გვიმონა, სადაც უმრავლესობა მშვიდად ხვდება „სტუდენტური პოლიკოსტის“ იდეას, სადაც უნივერსიტეტი მართავს სტუდენტებს და არა – პირიქით, ცოტა-თი ნაადრევი მგონია პორიზინტალურ პრიციპზე გადასვლა. პორიზონტალობას პასუხისმგებლობა სჭირდება, პასუხისმგებლობის გრძნობას კი ჩვენში, როგორც ჩანს, საღათას ძილით სძინავს.

ჩვენ არ ვითხოვთ ადმინისტრაციისა და თვითმმართველობის დაშლას, ჩვენ, უბრალოდ, აღარ გვინდა, გვცემდნენ თავისუფალი სიტყვის სანაცვლოდ.

სამხატვრო აკადემიის სტულენტების მანიფესტი

სამხატვრო აკადემიის თავისუფალი სახელოსნო სტუდენტთა რამდენიმე ჯგუფის ძალისხმევათა შეერთების შედეგია. ამ ჯგუფებმა, განსხვავებული ისტორიისა და მსოფლმხედველობის მიუხედავად, შეძლეს ახალი სტრატეგიის გარშემო შეკრება. ამ სტრატეგიის საფუძველია გაცნობიერება იმისა, რომ აღარაფერი უნდა ვთხოვთ სისტემას, რომელიც დიდი ხანია უარს ამბობს თანამშრომლობის ყველა შეთავაზებაზე, და საკუთარ ხელში უნდა ავიღოთ ის, რაც მხოლოდ ჩვენ – სტუდენტებსა და პედაგოგებს გვეკუთვნის – სასწავლო პროცესის თანამდებობაზე და მართვა!



სისტემასთან პირდაპირი კონფრონტაციის ნაცვლად (თუმცა კონკრეტულ უსამართლობათა აღმოფხვრა კვლავ რჩება ამოცანად) თავისუფალი სახელოსნო მიზნად სახავს პოზიტიურ პერსპექტივას – სრულფასოვანი, შედეგებზე ორიენტირებული საგანმანათლებლო პროცესის ფორმირებას. მუშაობა რამდენიმე საბაზისო პრინციპს ეფუძნება. ესენია: თვითორგანიზაცია, კონსენსუსი, თანასწორობა, ღიაობა, მაღალი პასუხისმგებლობა, ინდივიდუალური თავისუფლება... მნიშვნელოვანია ისიც, რომ „კეთილისმსურველთა“ რჩევების მიუხედავად, გადაწყვიტეთ სახელოსნო არა სადმე ნეიტრალურ სივრცეში, არამედ სწორედ აკადემიაში შეგვექმნა. ვფიქრობთ, რომ ჩვენ მიერ გადახდილი სწავლის გაუმართლებლად დიდი საფასური ამის სრულ უფლებას გვაძლევს. ამგვარად – ესაა რადიკა-

ლური ალტერნატივის შენება სისტემის ტიტალური სხეულის შიგნით.

სახელოსნოს დეკლარაციაზე 8 სტუდენტი აწერდა ხელს. დღეს, ორი თვის შემდეგ, სახელოსნოს წევრთა რიცხვი 40 კაცამდეა. მასთან თანამშრომლობას დათანხმდა მრავალი უფროსი თაობის პროფესიონალი – მხატვარი, კურატორი, კრიტიკოსი, სხვა საზოგადოებრივი პროფესიების ნარმობადგენლები.

კვირის განმავლობაში სახელოსნოში ინტენსიური სალექციო კურსები ტარდება. ამავე დროს, მიმდინარეობს მუშაობა რამდენიმე შემოქმედებით პროექტზე. მათში სახელოსნოს ის წევრებიც მონაწილეობენ, რომელთაც მანამდევიზუალურ ხელოვნებასთან შეხება არ ჰქონიათ. ნოვალისის მიერ ჩამოყალიბებული და შემდეგ მრავალგზის გამეორებული მაქსიმა: ყველა ადამიანი შემოქმედია – დღეს თავისუფალ სახე-

ლოსნოში ცდილობს ხორციელებას.

მიგვაჩნია, რომ სახელოსნო ორი მომენტის გამოა მნიშვნელოვანი – პირველი პროფესიული მნიშვნელობაა: ესაა ახალი მხატვრული პოზიციის, შემოქმედებითი პლატფორმის ფორმირებისათვის შრომა, რომელზე საუბარიც მხოლოდ პირველი შედეგების დადების შემდეგ იქნება შესაძლებელი. მეორე მომენტია თვითორგანიზების პრეცედენტის შექმნა, რომელსაც, ვფიქრობთ, რომ ქვეყანაში შექმნილი სიტუაციის გამო, განსაკუთრებული საზოგადოებრივი მნიშვნელობა აქვს. ბოლო დროს თსუ-ში განვითრებული მოვლენები განამტკიცებს ჩვენს რწმენას, რომ შემოქმედებითი თვითორგანიზაცია და პოზიტიურ პერსპექტივაზე სწორება, საკუთარი ბედისა და მომავლის ხელში აღება – დღეს ბრძოლის ერთადერთი გზაა.

HATE SPEECH-ის ლასაცავალ

ძველთაგანვე გამოცდილი აზრია: რაც არ გვასუსტებს, გვაძლიერებს - რაც გვასუსტებს, გვასუსტებს - ეს კი იმდენად ბანალური ჭეშმარიტებაა, რომ აზრად არავის მოსვლია მისი ვერბალიზაცია მოეხდინა.



ავთორი: ვახე მარიაშვილი

თუ იმაში
ვთანხმდებით,
რომ შემარიტება
კარათში იჩაღება,
ალპათ, ეს იმასაც
ნიშნავს, რომ
საკახათო თემაზის
შეზღუდვით ჩვენ
შემარიტებაში
ნებოს შესასვლელი
ვკარგდებით.

შეიძლება იმთავითვე ითქვას, რომ სიძლვილის ენის ზოგადი აკრძალვა და ადამიანების იძულება თავი შეიკავონ მადისკრიმინირებელი და სტერეოტიპული გამონათქვამებისგან, გვასუსტებს. არავინ დავობს იმაზე, რომ სიძლვილის ენა საზოგადოებრივ ცხოვრებაში ნეგატიური მოვლენაა და საჭიროა მისი მინიმალიზება, მაგრამ რა გზას ავირჩევთ ამ მიზნამდე მისასვლელად, იძულებას თუ დარწმუნებას? ეს არის მთავარი შეკითხვა, რომელსაც თანამედროვე სამყაროში უნდა უპასუხოს.

აქვე აღვრიშნავ, რომ ქვემოთ მოყვანილი არგუმენტები მხოლოდ იმ შემთხვევაში არის აქტუალური, როდესაც საქმე სიძლვილის ენის ზოგად აკრძალვას ეხება. იგი არ ვრცელდება ისეთ შემთხვევებზე, როდესაც ადამიანის უფლებათა დამცველი ორგანიზაციები, მედია საშუალებები და სხვა ინსტიტუტები საკუთარ მინაგანაწესში ან ქცევის კოდექსში ითვალისწინებან ამგვარ რეგულირებას, იგივე შეიძლება ითქვას საჯარო დაწესებულებაში დასაქმებულ ადამიანებზე.

სიძლვილის ენა და მისგან მომღერან საფრთხე

ადამიანის უფლებების დამცველები ხშირად საუბრობენ სიძლვილის ენისგან მომდინარე საფრთხეზე და სრულიად სამართლიანადაც. მართლაც სიძლვილის ენა ხომ სტერეოტიპების ტირაჟირებას ახდენს, მისი მეშვეობით ცრურწმენების კარგი დასაყრდენი იქმნება, მეტიც ხშირად სიძლვილის ენით აუიტირებული ბრბო ძალადობაზეც კი გადასულა. და ბოლოს და ბოლოს, სიძლვილის ენის გაგონებაზე ვინ არ აღმოფოთებულა, ვის არ მონდომებია საკადრისი პასუხი მიეგო მათი ავტორებისთვის. სიძლვილის ენა ხომ უარგუმენტო მოსაზრებების თავშესაფარია. ეს იმ ადამიანების იარაღია, რომელთაც გონებასთან ახლო

მყოფი არგუმენტი აღარ დარჩენია და ამ უსუსური იარაღით ცდილობს საკუთარი პოზიციის გამყარებას. სწორებ რომ უსუსურით, რადგან მიუხედავად ზემოთ აღნერილი საფრთხისა, სიძლვილის ენას არ გააჩნია საკმარისი სიმყარე და ლოგიკურობა გონიერი ადამიანის პოზიციებში კორექტირება შეიტანოს. აღტკინებულ ბრბოს რაც შეეხება: ამ დროს სახელმწიფომ უნდა შეასრულოს მისთვის მინიჭებული ფუნქცია და დაიცვას ადამიანები ძალადობისაგან, როდესაც საფრთხე აშკარა და მყისიერი შეიქნება. ერთადერთი, რაც სიძლვილის ენას შეუძლია, შეურაცყოფა და პატივმოყვარეობის შელახვაა. თუმცა სახელმწიფო მისთვის არ შეგვიძნია ჩვენ, ადამიანებს, მორალის დარაჯი შექნილიყო და ციხეში ეკრა თავი ყველასთვის, ვინც უბოდიშო სიტყვას გვეტყოდა. არის პოპლუმური საკითხები რომლებიც საზოგადოებრივ ცხოვრებაში იდეათა თავისუფალ ბაზარზე წარმოშობა და იქვე უნდა მოგვარდეს.

იდეათა თავისუფალი ბაზარი

იდეათა თავისუფალი ბაზრის თეორიას ფესვები შორეულ წარსულში აქვს, მე-17 საუკუნეში ჯონ მილტონმა ინგლისის პარლამენტში წაიკითხა თავისი ცნობილი სიტყვა, „არეოპაგიტიკა“, სადაც ამბობდა, რომ სიმართლეს იდეების შეუზღუდავი მოძრაობა წარმოშობას.

შემდეგ ეს მოსაზრება დოქტრინალურად ამერიკის შეერთებული შტატების უზენაეს სასამართლოში ჩამოყალიბდა. ამ მოძღვრების მიხედვით, არსებობს იდეათა ბაზარი, რომელიც რეალურად საზოგადოებრივი სივრცეა, სადაც იდეები თავისუფალ მიმოქცევაში არიან. სახელმწიფო არ ერევა მათ რეგულირებაში მანამ, სანამ იდეები არ მატერიალიზირდებან და უშუალო საფრთხეს არ წარმოშობენ. ამ თეორიის მიხედვით იდეები

ერთმანეთს ეპაექრებიან, საბოლოოდ ამ იდეის მართებულობაზეა დამოკიდებული რამდენად ბევრი ადამიანი იყიდის, ანუ გაიზიარებს მათ. სწორედ აქ იდეათა თავისუფალ ბაზარზე თანასწორ ბრძოლაში უნდა გამოიცადოს ყოველი აზრი, მწვავე დებატებში უნდა დაამტკიცოს საკუთარი უპირატესობა სხვებთან მიმართებაში. იმისათვის, რომ გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა თავიდნ ავიცილოთ, აქცენტი კონკურენციაზე უნდა გადავიტანოთ, რომელიც თავად დაამკვიდრებს ბალანსს „მართალ“ და „მცდარ“ აზრებს შორის.

ამავე მიდგომის შესაბამისად ჩამოყალიბდა აქადე უკვე რამდენჯერმე ნახსენები „მყისიერი საფრთხის“ დოქტრინა: რომლის მიხედვითაც გამოხატვა მხოლოდ მაშინ უნდა იყოს დასჯებდა, როდესაც სახეზეა ზიანის მიყენების ნათელი და მყისიერი საფრთხე. ამ მიდგომის მიხედვით გამოხატვის შინაარსის რეგულირება კი არ ხდება, არამედ იმის გარკვევა, რამდენად გამოიწვევს იგი რეალურ, მყისიერ და ადამიანის უფლებების შემლახავ შედეგებს. გამოხატვის თავისუფლება მხოლოდ მაშინ უნდა დაისავის, თუ ის გადააბიჯებს ზღვარს გამოხატვას და ფიზიკურ ძალადობას შორის.

გამოხატვის რეგულირება - ხელვა ალამიანის უფლებებიდან

სიძულვილის ენის კრიმინალზარის საწინააღმდეგოდ, იდეათა თავისუფალი ბაზრის კონცეფცია, იმ არგუმენტს კი არ ემყარება, რომ სიტყვის თავისუფლებას ზიანი არ მოაქვს, არამედ იმას, რომ ლიბერალური დემოკრატიისთვის გამოხატვის თავისუფლებას განსაკუთრებულ მნიშვნელობას გააჩნია, ხოლო სიძულვილის ენით მიყენებული ზიანი მინიმალური და რელატიურია, მართლაც როგორ უნდა განსაზღვრო კონკრეტულ პირი კონკრეტულ გამონათქვამს რამდენად მწვავედ მიიღებს. მართალია ადამიანის უფლებების დაცვა სახელმწიფოს ვალდებულებაა, თუმცა ისიც ცხადია, რომ ეს ამგვარი შეზღუდვის გარეშეც შესაძლებელია, ხოლო გამოხატვის თავისუფლების რეგულირება – არაპროპორციული.

ცვლილებებმა კომუნიკციების ინდუსტრიაში იდეათა ბაზრის მოწინა-

აღმდეგეთა არგუმენტები დაანგრია. ცხადია, რომ თანამედროვე მედიის, განსაკუთრებით კი ინტერნეტის რეგულირება შეუძლებელია და გამოხატვის მართვა უტოპია. „ცუდი იდეების“ ჩასახობად ეს, უპრალოდ, გამოუსადეგარი ხერხია.

გამოხატვის თავისუფლების მნიშვნელობა ლიბერალური დემოკრატიისთვის ნათელია. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ ადამიანის უფლებები ურთიერთდამოკიდებული და ურთიერთგანპირობებულია, მარტივ დასკვნასაც გამოვიტანთ: ნებისმიერი უფლების არაპროპორციული შეზღუდვა სხვა უფლებებით ეფუქტიან სარგებლობაზე ახდენს გავლენას. ეს გავლენა ორმაგია, ერთი მხრივ, იგი იმ კონკრეტულ პირს მიემართება, ვის უფლებაც შეიღას, ხოლო მეორე მხრივ – მთელ საზოგადოებას. რადგან თითოეულ ჩვენგანს, როგორც თავისუფალ საზოგადოების წევრებს, ერთმანეთთან უფლებები გვაკავშირებს და თითოეულ ჩვენგანის უფლების შეზღუდვა სხვის უფლებებზეც ახდენს გავლენას.

გამოხატვის რეგულირების უკავებები ასპექტები

თუ იმაში ვთანხმდებით, რომ ჭეშმარიტება კამათში იპადება, ალბათ, ეს იმასაც ნიშნავს, რომ საკამათო თემების შეზღუდვით ჩვენ ჭეშმარიტებაში წევრების და გვისპის უფლებების თავისუფლების შეზღუდვა სხვის უფლებებზეც ახდენს გავლენას.

შანსს ვკარგავთ.

ჯონ სტიუარტ მილი თავის ფუნდამენტალურ ნაშრომში „თავისუფლების შესახებ“ ამბობს, რომ კონკრეტული შეხედულების ჩახშობის, რა მოტივითაც არ უნდა იყოს განპირობებული ეს შეზღუდვა, განსაკუთრებული ბოროტება ის არის, რომ ის ადამიანების მთელ მოდგმას ძარცვაჟ – შთამომავლობასაც და ახლანდელ თაობასაც, კიდევ უფრო მეტად ძარცვაჟს მათ, ვინც ამ შეხედულებას არ ეთანხმება ვიდრე მათ, ვინც მას იზიარებს. თუ შეხედულება სწორია, მათ ერთმევათ შეცდომის ჭეშმარიტებით შეცვლის შესაძლებლობა; ხოლო თუ მცდარია, ისინი თითქმის ისეთივე დიდ სარგებელს კარგავენ; ესაა ჭეშმარიტების უფრო მკაფიოდ აღქმის და მისი უფრო ცხოველი შთაბეჭდოლების მოპოვების, რასაც გვიძლევს შეცდომასთან მისი შეჯახება – და ვინაიდან სიძულვილის ენა მცდარ განწყობებს ეფუქნება, შეგვიძლია ვთქვათ, რომ მისი აკრძალვით ჩვენ საკუთარ თავს, inter alia, ვართმევთ შანსს სხვა აზრზე მყოფ ადამიანებს დავანხოთ ჭეშმარიტება, რომელიც ასე ახლოს არის. ნინააღმდეგ შემთხვევაში სიძულვილის ენის არგუმენტების სისუსტე კრიმინალზარის ბურუსში იძირება და გვისპის უფლებებს თავად შევაფასოთ მისი ღირებულება რომელიც ყოველთვის ნულის ტოლია. ეს იმისათვის,



რომ არ მოხდეს მისი ჰეროიზაცია და იდეალიზება.

შესაძლოა იმას, ვისაც ხელი აქვს ჩავლებული ჭეშმარიტებაზე, არ სჭირდებოდეს ბევრი განსხვავებული მოსაზრების მოსმენა, მაგრამ ყველა აზრი თუნდაც ჩვენთვის არსებოთად მიუღებელი, იმას მაინც ახერხებს, რომ საკუთარი უსუსურობით კიდევ ერთხელ დაგვანახოს ჩვენი პოზიციის მართებულობა. მედალს ორი მხარე აქვს და თუ ჩვენ მის მხოლოდ ერთ მხარეს ვხედავთ, ეს არასრულყოფილი ხედვაა, ეს ნიშნავს რომ ჩვენ ყველაფერი არ ვიცით მის შესახებ.

ყველაზე დიდი გამოწვევა, რომლის წინაშეც ჩვენ სიძულვილის ენის აკრძალვის შემდეგ ვდგებით, ლიბერალური იდეების ჭერიბა და მისი დინამიზმის შეფერხებაა. სიძულვილის ენის აკრძალვით დისკუსიის სივრცე იზღუდება,

ტიული ინსტიტუტების მობილიზაციას ანტიდემოკრატიული ძალების მიერ ძალაუფლების ხელში აღებისთვის წინააღმდეგობის გასაწევად. თუმცა ამ გზის გავლის შემდეგ დემოკრატიული ინსტიტუტები არალიტრალური დემოკრატიის აღვირით შებოჭილები აღმოჩნდებიან. რადგან აღარ იარსებებს პლურალიზმი როგორც წყალგამყოფი ლიბერალურ და ექსტრემისტულ რეჟიმებს შორის.

მართლაც, ლიბერალური დემოკრატია იქნება ლიბერალური თუ ტოტალიტარიზმის წინააღმდეგ ტოტალიტარულ მეთოდებს გამოიყენებს, რა უფრო უქმის საფრთხეს ლიბერალურ დემოკრატიას გარედან მომდინარე ბუნდოვანი სიძულვილის ენა თუ საკუთარი პრინციპების უარყოფა?

როდესაც ლიბერალური იდეების ადამიანებისთვის მიწოდება ტოტალიტარული სახელმწიფოებისთვის დამახასიათებელი მეთოდების განვითარებას მართავს მართვის მისამართის მიმართული და არა განვითარებისა და სიახლისადმი სწრაფვისკენ.

ფორმისტი ხარ, შენი წინააღმდეგობის რეფლექსები დაბლაგვებულია. შენ ისევე გახდები ახალი ჭეშმარიტების გამზიარებელი, როგორც პირველ შემთხვევაში. სამოქალაქო საზოგადოება მხოლოდ დისკუსიის ღია სივრცეში ყალიბდება.

დასაცვე

გზა, რომელსაც სიძულვილის ენის რეგულირების მომხრეები გვთავაზობენ, გამოსატვის თავისუფლების დათორუნვაზე გადის. იგი აღიარებს, რომ ადამიანის უფლებებს არ შეუძლია იყოს თვითმარი და საკუთარი ტყავის გადასარჩნად უნდა მიმართოს ისეთ ქმედებებს, რომელიც მისავე კონცეფციას ეწინააღმდეგება. ამგვარი პოზიცია უარყოფაა იმისა, რასაც ადამიანის უფლებებისადმი რწმენას ვუწოდებთ, რაც ჩვენი კონსტიტუციის საფუძვლითა და

შესაძლოა იმას, ვისაც ხელი აქვს ჩავლებული შეშვარიტებაზე, არ სჭირდებოდეს ბევრი განსხვავებული

მოსაზრების მოსხენა, მაგრამ უვალა აზრი, თუდეაც ჩვენივის არსებითად მიუღებელი, იმას მაინც ახერხებს, რომ საკუთარი უსუსურობით კიდევ ერთხელ დაგვანახოს ჩვენი არჩისის მართვის მართვის მისამართის მიმართული და არა განვითარებისა და სიახლისადმი სწრაფვისკენ.

აქვე უნდა ითვევას ექსტრემიზმის მზადვარი ბუნების შესახებ, მას შესწევს უნარი ამოეფაროს ნებისმიერ ლირებულებას თუნდაც მისგან განსხვავებულს და მეტიც დაპირისპირებულსაც კი და მისი სახელით საკუთარი მიზანი განახორციელოს, მოსპოს განსხვავებული აზრი. ექსტრემიზმის უნარი, გზა გაიკვლიოს ლიბერალურ-დემოკრატიული წყობის თავდაცვით ნაპრალებში, წარმოშობს მილიტარისტულ ან შეუწინარებელ დემოკრატიას, ანუ დემოკრა-

თებელი მეთოდებით ხდება, როდესაც ეს სახელმწიფოს მიერ წინასწარ განსაზღვრული დოზითა და დროს მიენდება ადამიანს, როდესაც ადამიანის ინდივიდუალური ძალისხმევით კი არ ირჩევს მისთვის მისაღებ იდეებს, არა-მედ სახელმწიფო ინსტიტუტების მიერ ხდება მისი ჭეშმარიტებასთან მიერთება ამ დროს ჩვენი არჩევანი არ არის ჩვენი არჩევანი. როდესაც „ჭეშმარიტებაში“ ინტეგრირებული საკუთარი განსჯის გარეშე ხარ, როდესაც ჭეშმარიტებით ხარ ინდოქტრინირებული, შენთვის თავისუფლება, როგორც ლირებულება, არ არსებობს (ზუსტად ისე, როგორც ტოტალიტარულ სახელმწიფოში), ამიტომ როდესაც მოგინევს ამ ლირებულების (ჭეშმარიტების) დაცვა ტოტალიტარული სახელმწიფოს პირობებში, შენ ამას არ გააკეთებ, რადგან შენ უკვე კონ-

რაც ჭეშმარიტებად მიგვაჩნია, სიმართლედ, რომელიც ნებისმიერ დებატებში წარმოაჩენს საკუთარ უპირატესობას სხვა მოსაზრებებზე, და რომელიც იდეათა თავისუფალ ბაზარზე თავისუფალ კონკურენციაში ყოველთვის გაიმარჯვებს. მთავარი არგუმენტი მაინც ის არის, რომ შემოთავაზებული გზა ადამიანის უფლებების კონცეფციის უუნარობის აღიარებაზე გადის.

რონალდ დვორკინი ამბობდა: თუ ჩვენ მოველით რომ შოვინისტები ცნობენ უმრავლესობის ვერდიქტს როდესაც უმრავლესობა იწყებს საუბარს, ჩვენ უნდა ნება დავრთოთ მათ გამოთქვან თავიანთი შოვინისტური შეხედულებები იმ პროცესში, რომლის დროსაც მიიღება ვერდიქტი, რომლის ცნობასაც მათგან ჩვენ მოველით.

ანა კორძაია-სამადაშვილი

ბერძნიკის შვილები



შავი სულაპაურის
გამოცემა

იკო ლა მისი ძმები. კიჩ-მოვლენის კიჩ-ანალიზი

როგორც ირკვევა, ნიკო გომელაურზე ფილმს იღებენ, ან იქნებ უკვე გადაიღეს, არ ვიცი. ეს ჩემთვის აქტუალური არაა, კიჩზე მსურს ცოტა რამ ვთქვა, აკულტურაციის ნიშნებზე, რომელთა აღმნიშვნელად პოსტ-საბჭოთა საქართველოში ნიკო გომელაური უკვე იქცა და ვარაუდია, რომ კიდევ დიდხანს დარჩება. მისი ლექსები არნახულად პოპულარულია და გულს უხეთქავს იგივე ან მონათესავე პოეტურ პრაქტიკებში მოძუშავე პოეტებს, რომლებიც ამაყები არიან თავიანთ მარტოობაში. ლიტერატურული არქივის არცოდნით აღჭურვილები და, შესაბამისად, უცოდველნი.



ავტორი: გიორგი ხასაძა

**თბილისის,
როგორც
კულტურული
ცენტრის, ცხოვრება,
მის მთავარ
გამოვლინებებში,
სწორედ კიჩის
გრინბერგის
სარგებლივ
მარტოობა
და მთავარ
შესაბამისი პოეტის
მიერთება.**

ქართული თოქ-შოუები ერთმანეთს ეჯიბრებიან ადამიანური ტრაგედიების გაყიდვაში. სიმსივნით დაავადებული მსახიობის მიმართ მედიის არნახულ ყურადღებაში რალაც ვულგარული იგრძნობოდა. ნიკო გომელაური, როგორც სასიკვდილოდ განწირული მსახიობი, იდეალური რესპონდენტი აღმოჩნდა ფერად-ფერადი ქართული გადაცემებისთვის. ყველა ცდილობდა ბოლოჯერ მოეხელებინა, თავად ყოფილიყო ბოლო მასპინძელი. გომელაურის უჩვეულო შემართება („არ ვაპირებ მე ჯერ არსად წასელა“) ახელებდათ, სვავებივით დატრიალებდნენ, შეჯიბრში იწვევდნენ. ნაგულისხმევი – „ეს შეიძლება მისი ბოლო ინტერვიუ იყოს“ არაჩვეულებრივად ყურებადს და წაკითხვადს ხდიდა ყველა სატელევიზიო გამოსვლასა და ინტერვიუს. ერთმა ასეთმა გადაცემამ (წანუკას შოუ) გომელაურის შემაჯამებელი სალამოს ორგანიზებით შეგულიანებულმა, ალბათ, გადაწყვიტა კანონის განმსაზღვრელი ყოფილიყო და არც ისე დიდი ხნის შემდეგ ერთი ნორჩი პოეტი (გვარად ივანიშვილი) გააცნო საზოგადოებას, მუნუკანი ლექსების კითხვა საკმაო ხანს გაგრძელდა მაშინ და აშკარა იყო ნიკოს შემდეგ გაჩერნილ სიცარიელეში ახალი პოეტის ხელდასხმის მცდელობა. ბევრს გაახსენდებოდა გომელაურის პირველი გამოჩენა ტელეკრანზე – „რუსთავი2“-ის ეთერში გასული სარეკლამო რგოლები, რომლებიც გომელაურის პოეზიის სალამოს აანონსებდნენ. „ჩემი უკვე გადაიღეს, არ ვიცი. ეს ჩემთვის აქტუალური გადაცემა არა არ არის გომელაურის სპეციფიკურად თავისებური ენა. აქ უნდა ვახსენოთ კოტე ყუბანების როგორც გურუ, მსგავსად აღნენ გინზბერგის – მთავარი ორიენტირის პოსტ-ბიტნიკური პოეტებისთვის, ოღონდ გინზბერგი ირიენტირია, ყუბანების მიბაძვის ობიექტი. ამ შედარების იდიოტიზმი ჩემთვისაც თვალშისაცემია და არა იმიტომ, რომ კოტე არ მომზნოს, არა, კოტე მნიშვნელოვანი პოეტია, რომელიც გრაფომანს აფიქრებინებს: „ასე წერა მეც შემიძლია“. შედეგად ვიღებთ გრაფომანული სიჯიუტითა

და თავგანწირვით დაწერილ ლექსებს, შემოქმედებითი სტრატეგიის გარეშე ნაბახუსევზე დაწერილებს, პარაზიტულ სივრცეებს ამ ყველაფრის რეპრეზენტირებისთვის...

გომელაურის გარდაცვალების დღეს მსახიობმა ნანუკა ხუსკივაძემ ასეთი რამ თქვა – „თბილისი ნიკოს ვერ გაიმეორებს“. ეს ფრაზა, ალბათ, მთელი სისრულით გამოხატავს გომელაურის ადგილს, ესთეტიკურ ღირებულებებს, მოქმედების არეალს, პუბლიკის დამოკიდებულებას, ზოგადად, კონტექსტს, რომელშიც ის განვითარდა და ჩამოყალიბდა.


ამერიკელი არტ-კრიტიკოსი კლემენტ გრინბერგი თავის ერთ ესეში მსჯელობს კიჩის გენეზისზე და როლზე. ეს მსჯელობა შეიძლება ორგანიზდეს თანამედროვე ქართულ კულტურულ ლანდშაფტზე. წერა-კთხვის უკვე მცოდნე საზოგადოება, რომელიც გულგრილია „მაღალი“ ან „ნამდვილი“ კულტურის, მიმართ, მაგრამ იმავდროულად მაინც განიცდის „სულიერ შიმშილს“, მოთხოვს, უზრუნველყონ ადვილად მოსანელებელი კულტურით. ამ ახალი ბაზრის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად იქმნება კიჩი, რომელიც კულტურული ტრადიციებან იღებს ძირითად წესებს, თემებს, ხერხებს და გარდაქნის მათ იმგვარად, რომ ყველასთვის ხელმისაწვდომი, მოსახმარად და მოსანელებლად ადვილი იყოს. თბილისის, როგორც კულტურული ცენტრის ცხოვრება, მის მთავარ გამოვლინებებში, სწორედ კიჩის გრინბერგისეულ პარადიგმაში ჯდება. ახალი ბაზრის მოთხოვნებს დედაქალაქმა შესაბამისი პოეზია, მუსიკა (რომელიც ცალკე საუბრის თემაა და რომელიც, ძირითადად, ჯგუფ-სიმულაკრებით ვლინდება, თუმცა ბოროტი ენები ამბობენ, რომ ორიგინალი არსებობს და ეს არის ჯგუფი „შინ“!) და თეატრი შეაგება. ძნელია არ დაეთანხმო მსახიობ ნანუკა ხუსკივაძეს, რომ თბილისი ნიკოს ვერ გაიმეორებს: ნიკო გომელაურმა მოახერხა კიჩის სხვა-დასხვაგვარი გამოვლინებების თავ-მოყრა საკუთარი მოქმედების არეალში და საზოგადოებას ერთდროულად

წარუდგა, როგორც პოეტი, მსახიობი და მომღერალი. ამ თვალსაზრისით თბილის მართლაც გაუჭირდება მისი გამეორება.

რ.ს. აქ ვერ ვიგულისხმებთ უც-

ნობს (გია გაჩეჩილაძე) – ის არაა მოქმედი მსახიობი; თუმცა გამეორება შესაძლებელია თუ უკვე მსახიობი და პოეტი – გიორგი ზანგური ამღერდება.

მისი ლექსები არნახულად აოცულარებისა და გულს უხევს უხევს იგივე ან მონათესავი აოცულ პრეზიდენტის მომუშავი აოცულებს, რომლებიც ახაზვი არიან თავიათ მარტომზადი.





უნგრული სიმბოლოები

ავტორი: ნინო ლომაძე

პირველად გამოქვეყნდა www.liberali.ge-ზე

არამარტო სიტყვებია სიმბოლური, არამედ საგნებიც სიმბოლურია.”

რ. უ. ემერსონი

– მუზეუმი ორშაბათობით დაკეტილია, – მეუბნება დაცის თავაზიანი თანამშრომელი, როდესაც ამჩნევს როგორ ვეჯავეგურები „ტერორის სახლის“ მასიური კარის სახელურს და იქვე გაკრული განრიგისკენ მიმითითებს, – თუ ტერორის ისტორიის დათვალიერება გინდათ, სხვა დღეებში გამოიარეთ.

„ტერორის ისტორიის დათვალიერება“ – რა უცნაური სიტყვათშეთანხმებაა – უცინება ინგა ლანდიშევას, ჩვენს თარჯიმანს, როდესაც ბუდაპეშტში ჩემი პირველი გასეირნების ამბავს ვუყვები.

„ჩვენ“ კავკასიელი უურნალისტების ჯგუფი ვართ, ევროკავშირის პროექტის „უურნალისტების ქსელის“ ფარგლებში ამჟამად უნგრეთს ვსტუმრობთ და ქვეყნის პოლიტიკურ-სოციალურ-ეკონომიკურ ვთიარებაზე წარმოდგენას ვიქმნით.

პეშტის ცენტრალური ქუჩის, ანდრაშის № 60-ს (ტერორის მუზეუმი) შორიდანვე ვცნობთ. სახურავის განიერ, შავ ტენტზე ლათინური დიდი ასოებით

სიტყვა „ტერორია“ ამოჭრილი. კუთხეს კი, ორი რეჟიმის, ნაციისტური და საბჭოთა სიმბოლოები ამშვენებს – ისრიანი ჯვარი და გარსკვლავი. „ტერორის სახლი“ ბუდაპეშტში 2002 წელს გაიხსნა. სამოცდარვა წლის წინ, იქ გერმანელი ნაციისტების უნგრელი მოკავშირების, ისრიანი ჯვრის პარტიის შტაბ-ბინა იყო, რომელსაც „მონწყალების სახლი“ ერქვა. სახლის პირველ სართულზე და სარდაფში ურჩი მოქალაქეებისა და „მაგნე ლემენტების“ მოსათვინიერებლად სპეციალური საპატიმროები და წამების ოთახები მოაწყეს. იქ ათასობით ეპრა-ელმა დაასრულა სიცოცხლე.

„მონწყალების სახლი“ საბჭოთა ოკუპაციის შემდეგ, სახელმწიფო უშიშროების შტაბ-ბინად გადაკეთდა. შენობას ძველი ფუნქცია მათაც შეუნარჩუნეს, მოღალატებსა და მავნე ელემენტებს ისევ იქ უსწორდებოდნენ. ანდრაშის № 60-ის ჩინოვნიკებს უნგრეთში სიკვდილის ოსტატებს ეძახდნენ.

სატუსალოში დღესაც უცნაური სუნი დგას. ამბობენ, ამას ვერც სარდაფებში

დამონტაჟებული ახალი საცენტილაციო სისტემა შველის, მხუთავი გაზის და გახრწილი სხეულების სუნიაო.

„ეს მუზეუმი ჩენი პრემიერ-მანისატრის ერთ-ერთი საყვარელი პროექტია, – აგრძელებს ინგა ლანდიშევა, – მხოლოდ ამისთვის ლირს იქ მისვლა. მიხვდებით, რითი იმართლებს თავს ხელისუფლება საკუთარ მოქალაქეებთან. ვიქტორ ორბანმა წარსულის ტერორი მონუმენტად აქცია და მუზეუმში გამოკეტა. ამით გვითხრა, რომ ანი ალარაფერი გვემუქრება, დღეს ტერორი მხოლოდ ექსპონატია. სარა-ხურა ყოფით პრობლემებს კი ფიდესის მმართველ პარტიაში გადაგვიწყვეტენ.“

ინგა ლენინგრადიდან უნგრეთში საცხოვრებლად საბჭოთა კავშირის დაშლისთანავე გადმოვიდა. უფრო ახლოს ევროპასთან „სულ სხვანაირი“ ცხოვრების ასაწყობად უკეთესს პერსპექტივას ხედავდა. მართალიც იყო. ევროპას მოსაზღვრე პოსტკომუნისტური ქვეყნების მიმართ განსაკუთრებული ინტერესი ჰქონდა. უნგრეთი 1999 წელს ნატოს,



2004 წელს კი ევროკავშირის წევრი გახდა. „გვიან მიეხვდი, რომ წევრობა ევროპასთან ღირებულებით თანხვედრის სულ არ გულისხმობს. ეს, უპრალოდ, გავლენის ტერიტორიების გადანაწილების ამბავია. თუ ევროპა კარგავს გავლენას, ტერიტორია ერგება რუსეთს. დღეს კი ჩვენ ღირებულებებზე ვლაპარავით. სინამდვილეში, სრულიად კანონზომიერია ის, რაც დღეს ქვეყნაში ხდება – კონცენტრირებული ძალაუფლება, კონცენტრირებული კაპიტალი, კონტროლი მედიაზე, რადიკალური ნაციონალისტური დისკურსი – ეს ძველი პრობლემებია, რომელსაც ჩვენს მაგივრად დასავლეთში ვერ გადაწყვეტებ“, – მითხრა ინგამ პირველივე შეხვედრის შემდეგ, როდესაც უნგრული მედიის პრობლემებზე ვისაზერთ.


კავკასიელი ჟურნალისტებისთვის გამართულ შეხვედრაზე მიკლოშ პარასტმა, ეუთოს ყოფილმა ნარმობადგენელმა თქვა, რომ უნგრეთი დღეს ევროპისთვის ახალი თავსატეხია. „ის 2011 წლის 1 ივნისამდე ევროკავშირის თავმჯდომარე ქვეყნაა. ევროპარლამენტი კი მას, ტოტალიტარიზმის საფრთხედ განიხილავთ. დეკემბერში მიღებული ახალი მედია-კანონი სიტყვის თავისუფლების იდეის შეურაცხყოფა და უნგრელი ხალხის სირცეზეილია.“

უნგრეთის მთავრობას „ძალიან ეჩქრება“ და მიზანმიმართული მოქმედი

დებისთვის ძალაუფლების გამყარება სჭირდება. ხელისუფლებაში მეორედ მოსულ ვიქტორ ობანს, პირველ რიგში, ხელს მედია უშლიდა. გასული წლის 24 დეკემბერს მიღებული კანონის თანახმად, პარლამენტში „მედიის კონტროლის პალატა“ შეიქმნა. ექვსკაციანი საბჭო სასამართლოს ფუნქციებსაც ითავსებს და მედიის წარმომადგენლების წინააღმდეგ დამოუკიდებლად საქმის აღძრა, განაჩენის გამოტანა, სასჯელის სიმძიმის განასაზღვრა შეუძლია. როგორც საბჭოს მრჩეველი გიორგი ოჩკონ ახალ მედია კანონზე სიამაყით საუბრობს და ამბობს, რომ საბჭოს ყველაზე მნიშვნელოვანი ფუნქცია საზოგადოებრივი მორალის სადარაჯოზე დგომაა. ახალი კანონი ადამიანების ღირსებას იცავს და მედიას ეხმარება სიძლვილის შემცველი, შეურაცხყოფელი შინაარსისგან თავი დაიცვას – ესაა და ეს. უპრალოდ, იურისტები შეშობენ, რომ კანონპროექტში ძალიან ბუნდოვანი და აბსტრაქტული განსაზღვრება – „საზოგადოებრივი მორალის შეურაცხყოფა“ და „ღირსების შელახვა“ მედიის საბჭოს ინტერპრეტაციის აბსოლუტურ თავისუფლებას ანიჭებს. „შეურაცხმყოფელი“ შინაარსისთვის სოლიდური ჯარიმების შიში მედიის უფრო მორჩილს გახდის. საბჭოს წევრებს პარლამენტის უმრავლესობა (52% ფიდესის პარტია) ცხრა წლით ირჩევს და წელიწადში

მათი წარმატებული მუშაობისთვის ათ მილიონ ევროს გამოყოფს.

„ყველაფერი სოციალისტების ბრალია, – მიხსნის სოციოლოგი პიტერ ბაჟომ-ლაზარი, ერთ-ერთი შეხვედრის შემდეგ, – ოპანისა და ფიდესის პარტიის წარმატება არჩევნებზე ყოფილი მთავრობის, სოციალისტების ტოტალურმა კრაშმა განაპირობა.“ მათი მმართველობის დროს ქვეყანა უმძიმეს ეკონომიკურ კრიზისამდე მივიდა. სოციალისტების რეიტინგი ყველაზე დაბალ ნიშნულამდე ჩამოვიდა. მათ დღემდე სუკის აგენტებად და „კომუნიზმის ნარჩენებად“ მოიხსენიებენ. მიუხედავად იმისა, რომ უნგრეთში 1996 წელს ლუსტრაციის კანონი ამოქმედდა. სოციალისტებისთვის პოლიტიკური კრიზისის პიკი 2006 წელს, ერთ-ერთ სამთავრობო სხდომაზე, პრემიერ-მინისტრის გამოსვლა აღმოჩნდა. სასოწარკვეთილი ფერწენც გიურსანის ემოციური სიტყვის ჩანაწერი მეორე დღესვე გაფრცელდა მედიაში. „კმარა! – ყვირდა გიურსანი, – კმარა ტყუილები! ჩვენ ვტყუით დილიდან ღამემდე, რომ საკუთარი შეცდომები დავმალოთ. ვატყუებთ ყველას, ხალხს, ევროკავშირს, ვაყალბებთ მონაცემებს. ასე გაგრძელება აღარ შეიძლება!“ ამ გამოსვლამ სოციალისტების მომავალი არჩევნებზე მაშინვე გადაწყვეტა. ვიქტორ ოპანი მეორედ, რვა წლის შემდეგ, 2010 წლის პრინცი



ში ისევ მოვიდა ხელისუფლებაში. მისმა მემარჯვენე-ცენტრისტულმა პარტიამ, „ფიდესმა“ საპარლამენტო ხმების 52% მოიპოვა. მემარცხენე დისკურსი უნგრეთში დღეს დისკრედიტებულია. სამაგიეროდ, ძალას იკრებს რადიკალური, ექსტრემისტული პარტია „ობიგი“, რომელიც პარლამენტში ხმების 12 %-ს ფლობს. სხვადასხვა გამოცემაში მათ ფაშისტებად, ნეო-ფაშისტებად, ანტი-სემიტებად, ანტიბოშებად, პომოფობებად მოიხსენიებენ. თუმცა, „ობიკებმა“ სწორედ ამ „პრალდებების“ წყალობით მოიპოვეს ქვეყანაში პოპულარობა. უნგრეთის პროვინციებში პარტიის ოფისების მახლობლად კოსტიუმირებული მარში დღესაც იმართება ხოლმე. „ობიკები“ შავ კოსტიუმებში, შავ ნიღბებში გამოწყობილი, ცივი იარაღის ტრიალით დადიან ქუჩებში და ხალხს შიშის ზარს სცემენ, მიყვება ინგა ლანდიშვეა, – მათი ეშინათ და პატივს სცემენ. ეს ძალიან საშიში ტენდენციაა და ძალიან მტკიცნეული თემაა ჩვენთვის. მით უფრო ახლა, როდესაც ორბანი მართავს ქვეყანას. „ობიგის ექსპერტები მმართველი პარტიის რადიკალურ ფრთად მიიჩნევენ. მათი ტანდემი უკვე აშკარად თვალშისაცმია. არანაირი დაპირისპირება, იმბიგის ძალიან მოსწონს ახალი მედიის კანონიც. მეტიც, „ფიდესს“ ზე-ამეტი ლოალობისთვის აკრიტიკებენ.

15 მარტს, ჰაბსბურგების დინასტიისგან გათავისუფლების დღეს, ბუდაპეშტში პირველი მასშტაბური აქცია გაიმართა, სადაც მედიის ახალ კანონს პაროტესტებდნენ. აქციის შესახებ ინფორმაცია, აღმოსავლური დიქტატურული რეჟიმების მსგავსად, უნგრეთშიც „ფეისბუკით“ გავრცელდა. როგორც სოციალისტმა ლასლო კოვაჩმა მითხვა, ევროკავშირის ამ ქვეყანაში პროტესტის ტალღის აგორება არ არის იოლი. უნგრეთს სისხლიანი რევოლუციების გარდა წინააღმდეგობის, ცვლილებებისთვის „ცივილური გზით“ ბრძოლის გამოცდილება არ გააჩნია. ყოველდღიური გაზეთის „ნეშაბაჩას“ აღმასრულებელი რედაქტორი, გაბორ პორვატი ამიტომ ფიქრობს, რომ ცვლილებები დასავლეთის ძლიერი წნების გარეშე შეუძლებელი იქნება. ევროკავშირში ჯერ ფიქრობენ, რადგან ასეთი უცნაური შემთხვევისთვის მზა სამოქმედო გეგმა არ გააჩნიათ. „ცენტურა აუცილებლად იმუშავებს, კანონი 1 ივლისს შედის ძალაში, – თქვა პორვატმა, – ცოტა ხანში კი უურნალისტებს შეეშინდებათ, მედია დაკარგავს ძალას, „ყოჩაღი“ უურნალისტები კი ჯამბაზებად გადაიცევიან. მოქალაქეებს ძალიან უჭირთ იმის აღქმა, რომ

მედიის ცენტურა მათი უშუალო პრობლემაა. ხელისუფლება მათ ინფორმაციის მიღების, შესაბამისად, სწორი არჩევნის გაკეთების უფლებას არ უნდა ეს შეურაცხოფაა, რომელიც არ უნდა მოითმინო“.

უნგრეთიდან წამოსვლის წინ, საბამოს სანაპიროზე ვსეირნობთ. ისევ მონუმენტს ვეძებთ. დუნაის ნაპირზე, პეშტის მხარეს, პარლამენტთან ძალან ახლოს, ისრიანი ჯვრის ტერორის მსვერცლი ებრაელების მემორიალია. გილა პაუერის და ქენ ტოგას სამოცი წყვილი ბრინჯაოს ფეხსაცმელი სანაპიროზე ისეა მიმოფანტული, თითქოს მათი პატრონები სულ ახლანან დახვრიტეს და მათი გვამები ცივ მდინარეს გაატანეს. ვიქტორ ორბანის ფეტიშად ქცეული ტერორის მუზეუმის შემდეგ ეს მონუმენტი, თავისი მოკრძალებულობით და სისადავით, განსაკუთრებით შთამბეჭდვისა და სივრცეში, ყველასთვის თვალსაჩინო და ხელმისაწვდომ ადგილას ფეხსაცმელები ცოცხალი მეხსიერებაა, რომელიც თითქოს არც ერთ კონკრეტულ ჯგუფს და რეჟიმს არ გულისხმობს. „ფეხსაცმელები დუნაის ნაპირზე“ მუდმივი საფრთხეა, ისტორიის გამეორების.

რესთავალის თავისი

გალე! კრემიშვილი



თამაზ ქილამა

რობერტ სცენა

„ნადირობის სმუტი“

მთავარ როლებში:

ლევან ბერიკაშვილი, ვაჲ მოლოდინაშვილი, გოგა ბარბაქაძე, დავით გოცირიძე

ტელ: 72 68 68

www.rustavelitheatre.ge



საქართველო

აპრატენ mgroup

Focus

GEOGRAPHY TODAY





ლაშა როსტობაია

ერთი ლამის ამბავი

ავტორი: მარიამ სამადაშვილი
ფოტო: მარიკა ქოჩიაშვილი
გურამ წიგნებაშვილი

ჩემს რესპონდენტს საღამოს ათ საათზე შევხვდი. ყველაფერს, რასაც ქვემოთ წაიკითხავთ, იმ ღამეს მომიყვა. ეს, ერთი მხრივ, სათაურის ახსნაა, მეორე მხრივ კი – წინასწარი თავდაცვა: ერთი ღამის ამბავია მხოლოდ, მეტი არაფერი.

ვალერიანი

1982 წლის 10 თებერვალს, დილის ხუთ საათზე, ქალაქ ოჩამიჩირეში, ერთი მშვიდი და თბილი ოჯახი თავისი ამქენენად მოსვლით გაატედნიერა ქერათმიანმა, ფუმფულა, საყვარელმა ბიჭმა. ბიჭს, ბაბუის პატივსაცემად, ვალერიან როსტობაია დაარქვეს.

ოჩამიჩირე ნესტიანი ადგილია, ვალერიანს კი ბრონქიალური ასთმა აწუხებდა, რის გამოც ექიმებმა მშობლებს ჰავის შეცვლა და საცხოვრებლად თბილისში გადასვლა ურჩიეს. სწორედ ამ დროს, ოჯახის უფროსს, ბაბუას, ბელორუსის ქალაქ მოლოდეჩინოში უშიშროების უფროსის მოადგილეობა შესთავაზეს და ოჯახი იქ – პატარა, მყუდრო ქალაქში გადავიდა საცხოვრებლად. ვალერიანი ერთობოდა: ყოველდღე ერთი ახალი სათამაშო უნდა ეყიდათ მისთვის აუცილებლად და ამიტომ მას ყველა მაღალიასა და გასტრონომში იცნობდნენ. მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა სათამაშოებში არცთუ დიდი არჩევანი იყო და მშობლებს ხშირად ერთი და იმავე ნივთის ყიდვა უწევდათ, ვალერიანი ამას სულ არ განიცდიდა.

მალე ბაბუა, „ოჯახის ლიდერი“, როგორც მას ჩვენი გმირი უწოდებს, სამუშაოდ წალენჯიხაში გადაიყვანეს. ოჯახი ისევ თან გაჰყვა. იმსანად ვალერიანი უკვე ხატვით იყო გატაცებული. ის ხატუდა ყველგან, რის გამოც ოჯახი დადანანს ვერ არემონტებდა სახლს. ბოლოს






სხვანა სპექტაკლიდან „ერთი ლამის ამბავი“



სხვანა სპექტაკლიდან „ერთი ლამის ამბავი“



სხვანა სპექტაკლიდან „ერთი ლამის ამბავი“



სხვანა სპექტაკლიდან „ერთი ლამის ამბავი“



სხვანა სპექტაკლიდან „ააბასა უფლისწელი“

და ბოლოს, ხანგრძლივი ფიქრის და მსჯელობის შემდეგ, რემონტი მაინც გა-აკეთეს.

მეორე დღეს სახლში დაპრუნებულ მშობლებს შპალერი ახალი ნახატით და-განვითარებული დახვდათ.

ბაბუამ გადაწყვიტა, რომ მისი სეხ-ნია ხატეაში განსაკუთრებულად ნიჭიე-რია და „წორი მსატვართა გამოიყენაში“ მიაღებინა მონაწილეობა. ვალერიანმა დახატა ტანკი, ზედ – ბუდე და წერო. „ზედმეტად ანგისაბჭოური შინაარსის გამო“ სურათი დაინტენეს და ბიჭს ახლის დახატვა მოსთხოვეს. მაშინ ვალერიანმა ის ზღაპრები დასურათა, რომლებიც იმ დროისთვის იცოდა. ნამუშევრები მონაწილეობა, ავტორმა კი სამახსოვრო სი-გელი მიიღო.

როგორც მოგახსენეთ, ეს წალენჯიხა-ში მოხდა.

წალენჯიხის სკოლაში პირველი შთა-

მაშინ ბიჭმა გამოსავალი იპოვა და ლურ-ჯი, ორბორტიანი საყელოთი განწყობილი პიჯაკი და „ბანანი“ შარვალი შეაკერინა, ანუ სკოლის ფორმაც ეცვა და სხვების-განაც გამოირჩეოდა!

ვალერიანი სკოლიდან ყოველდღე სა-ხედასიებული ბრუნვებოდა ხოლმე, არა იმიტომ, რომ ჩეუბობდა ან რამე მსგავ-სი. უბრალოდ, ალერგიის გამო, სახლში შოკოლადის ჭამას უკრძალავდნენ, ისიც სკოლაში დროს იხელოთბდა და მთელ ფულს სასუსავში ხარჯავდა ხოლმე.

მესამე კლასიდან ვალერიან როსტო-ბაამ სწავლა ოჩამჩირები განაგრძო. აქვე ასწავლა ბებიამ ქართული, რომე-ლიც მანამდე მისთვის უცხო იყო, რად-გან ძირითადად რუსულად და მეგრუ-ლად უწევდა საუბარი.

ოჩამჩირის სკოლაში ვალერიანის მა-თემატიკის მასწავლებელი იყო ბატონი დომენტი. თავის დროზე, ის მის ბაბუ-

ომი და დელფინები

მიუხედავად იმისა, რომ ოჩამჩირები ცხოვრობდა და მისი სახლი ზღვიდან თხუთმეტი მეტრის დაშორებით მდება-რეობდა, ზღვა გამუდმებით ენატრებოდა – ყოველ ზაფხულს სურამში მიჰყავდათ ხოლმე. ახლაც ახსოვს ზღვის და ევკა-ლიპტის სუნით გაუღენილი ჰაერი და სკოლის ფანჯრიდან დანახული, ზღვაში მხიარულდა მოცურავე დელფინები...

1992 წელს დელფინები ნაპირთან უჩვეულოდ ახლოს ცურავდნენ. დიდი ბებია წერდა და ამბობდა, რომ ეს ცუდის ნიშანია. გაზაფხული იდგა, გარეთ თბი-ლოდა და სემესტრის მოახლოებული დასასრულით გახარებულ ვალერიანს ბების ნათევამისთვის ყურადღება არ მიუქცევია.

წინასწარმეტყველება ახდა. სულ რამდენიმე თვეში, 14 აგვისტოს, ომი დაინწყო.

მაშინ ბაბუა ხელავა, რომ მისი შვილიშვილი საოჯახო საქმიანობის ნაცვლად ფარად-ფარად არ მოიწოდა, თბილი-თბილი არ მოიწოდა და ნაცვლად იმისა, რომ ფერადი ფურცლებისგან ქოთანი გამო-ეჭრა, კვავილებიანი ქოთანი დახატა.

სკოლაში არ მოიწოდა და ნაცვლად ფარად-ფარად არ მოიწოდა თბილი-თბილი არ მოიწოდა და ნაცვლად იმისა, რომ ფერადი ფურცლებისგან ქოთანი დახატა – „მებურდელი ურია“.

ბეჭდილება პაუსია მასწავლებელია, პა-ტარა და მსუქანი ქალი. შრომის პირვე-ლივე გაკვეთილზე მას კოტიტა თითები ვალერიანის მაკრატელში გაეჭედა და მთელი გაკვეთილი მისგან გათავისუ-ფლებას მოანდომა, ბეჭითი მოსწავლე კი არ მოცდა და ნაცვლად იმისა, რომ ფერადი ფურცლებისგან ქოთანი გამო-ეჭრა, კვავილებიანი ქოთანი დახატა.

სკოლაში ფორმით უნდა გევლო – ვერცხლისფერობლებიანი, ლურჯი პი-ჯაკი, რომლის ბეჭზეც წითელ ფონზე გადამლილი წიგნი და წიგნიდან ამომა-ვალი მზე იყო გამოსახული. ჩვენს გმირს სასკოლო ფორმა დიდად არ მოსწონდა, ამიტომ ის პირველ სასწავლო დღეს სკოლაში ბაბუის ჩამოტანილი იაპონუ-რი, იეროგლიფებიანი კიტელით, „პიუ-მო-შარვლით“ და ლაქის ფეხსაცმლით გამოცხადდა. განსხვავებულობის სურ-ვილი ძვირად დაუჯდა: საყვედლურებით აავსეს და სახლში მალევე გააბრუნეს.

ასაც ასწავლიდა, ბაბუა კი მათემატიკა-ში ნიჭიერებით გამოირჩეოდა. ამ მხრივ, შვილიშვილი ბაბუას მაინცდამაინც არ ჰგავდა, რასაც თვითონაც განიცდიდა და პედაგოგიც. სამაგიეროდ, შრომის გაკვეთილზე იყო ძალიან მონდომებუ-ლი, აკეთებდა ხის კოვზებსა და საკი-დებს, საუკეთესო ნიმუშები კი სახლში მიჰყონდა.

რამდენადაც ახსოვს, ითვლებოდა, რომ კარგად ცეკვავდა. სტუდიაშიც შეიყვანეს, მაგრამ ელასატიურ შარვალ-ში გამოწყობილმა თავი უხერხულად იგრძნო და გამოვიდა. ბაბუას კი კვლავ სწამდა, რომ მისი გვარის გამგრძელებე-ლი დიდი მხატვარი გამოვიდოდა. ვალე-რიანს ბოთლების, ვაშლების და სუფრე-ბის ხატვა საერთოდ არ მოსწონდა, ისევ ზღლაპრების ილუსტრაციებს ამჯობნებ-და. დახატავდა – ამოქრიდა – თამაშო-ბდა...

ამ დღეს ჩვენი გმირი ბესლახუბის რაიონის სოფელ დოდლანში, დიდი ბე-ბია-ბაბუის სახლში უმცროსი მისი და-ბადების დღის აღსანიშნავად ემზადე-ბოდა, მოსალამოვდა, მაგრამ სტუმრები არ ჩანდნენ. მალე სროლის ხმამაც მოა-ლწია და უფროსები მიხვდნენ, რომ ომი დაინწყო.

ჯახმა თავი სენაკს შეაფარა, თუმცა, როგორც კი ვითარება იღნავ მიწნარ-და, ოჩამჩირები დაპრუნდნენ და ვალე-რიანმა სწავლა განაგრძო.

სამხედრო კომისარი ბაბუა ქალაქს არ ტოვებდა, მამა იბრძოდა, ომს კი ბოლო არ უჩანდა. როსტობაიების სახლში მუ-დამ ჯარისკაცები ირეოდნენ, 11 წლის ვალერიანმა AKM-დან და ტყვიამფრქვე-ვიდან სროლა ისნავლა. ახლა ის დელფი-ნების ანცობის ნაცვლად იმას ხედავდა, როგორ ცვიოდა ზღვაში ბომბები...

ოჩამჩირები დაწირენა სულ უფრო სა-ხიფათო ხდებოდა. მამამ გადაწყვიტა

ოჯახი ქალაქებარეთ გაეყვანა, და ასეც მოიქცა, თუმცა თავშესაფარი დროებითი აღმოჩნდა, რადგან პრიმორსკის მახლობლად დესანტი გადმოსხეს. სამხედროები დედას და მამიდას სულ უფრო ხშირად ეკითხებოდნენ, იცოდნენ თუ არა სროლა, შეშინებული ქალები უარის ნიშნად თავს აქნევდნენ და შევლას ელოდებოდნენ, და მანაც არ დააყოვნა. „მამა გიუივით მოქანდა და უიგულით მე, ჩემი და-ძმა, დედა, მამიდა, მამიდაშვილი და ორი სამხედრო ისევ სენაკში წაგვიყვანა“, – იხსენებს ჩვენი გმირი.

ვალერიანის მამა ისევ ოჩამჩირეში დაპრუნდა და ბოლომდე იბრძოლა. ის ოჯახს ბაბუასთან ერთად თვე-ნახევრის შემდეგ დაუბრუნდა – სენაკში ფეხით მაშინ ჩავიდა, როცა მათ, ცოცხლებს,

მჩხიბავთან წაიყვანა, შეალოცინა და სახლში დაბრუნებულმა „საშინაო დაგალებაც“ ზედმიწევნით შესარულა – სამი დღის განმავლობაში მიღის წინ წყლით სავსე ვედროს ბავშვის საწოლის ქვეშ დგამდა და წყალს დიღის შეიდ საათზე გზავნარედინზე ღვრიდა. სამი დღის თავზე ვალერიანმა გამოაცხადა, რომ არა-ფრის ეშინია.

მჩხიბავის დამსახურებაა ეს, თუ უპრალო დამთხვევა, თავად განსაჯეთ.

ამ პერიოდში ვალერიანი მჩხიბავებზე ნაკლებად ფიქრობდა, რადგან ქრისტიანულ რელიგიას ეცნობოდა, მოძღვარი ჰყავდა და ეკლესიაში დადოდა. აյ ერთ სირთულეს წანწყდა – ოცნები ვერსად იშმვა და გადაწყვიტა, თვითონ შეექმნა. იყიდა „Okul Defteri“-ის რვეული, რომლის გარეკანსაც ორი ციყვი

ხშირად დადიოდა პიკინებზე – დედა მოკასა და ეკის მთებზე. სალამობით დახუჭობანას თამაშობდა სასაფლაოზე, რომელიც სახლთან სულ ახლოს მდებარეობდა. ნახევარი წელი სკოლაშიც იარა, ამასობაში უფროსმა დამ თბილისში, სამედიცინო უნივერსიტეტში ჩააბარა და ოჯახი თბილისში გადავიდა საცხოველებლად.

„თუთხევატის!“

დედაქალაქში ჩამოსულმა პირადობის მოწმობა აიღო და ვალერიან როსტოკია ლაშა როსტოკიად იქცა. მიუხედავად იმისა, რომ ბაბუა ძალან განაწყენდა, უკვე თორმეტი წელია, ჩვენი გმირი ამ სახელს ატარებს.

ლაშას წარმოდგენა არ ჰქონდა, რა უნდა ეკეთებინა, თუმცა დიდხანს ფიქრი

სატავლა მრამჩირის სკოლას, მერიას, არარსებულ სატავლის ანძას, კულტურის სახლს. მის ნახატებში, ძირითადად, გაქცევის სცენტრი იყო ასახული. სამი წლის შემდეგ, ცუდი მოგონებების დასავინყებლად, მან ეს ნახატები დაწვა.

აღარავინ ელოდა.

ოჯახში შევბით ამოისუნთქა, თუმცა მხოლოდ დროებით: სენაკში სამოქალაქო ომი დაიწყო. თორმეტი წლის ვალერიანი, მშობლებთან ერთად, მეზობლის ბუნკერში იმალებოდა, სადაც ხატავდა და ცდილობდა სხვა არაფერზე ეფიქრა. ხატავდა ოჩამჩირის სკოლას, მერიას, არარსებულ სატავლევიზო ანძას, კულტურის სახლს. მის ნახატებში, ძირითადად, გაქცევის სცენტრი იყო ასახული. სამი წლის შემდეგ, ცუდი მოგონებების დასავინყებლად, მან ეს ნახატები დაწვა.

დროთა განმავლობაში როსტოკია ბუნკერში დაიმუშავდა ამოგოდნენ, თუმცა სახლის მეორე სართულზე ვერ ადიოდნენ – ეს ჯერ კიდევ სახიფათო იყო, თან დაბომბვის შედეგად ფანჯრის მინები დამტკრეულიყო და მთელი ზედა სართული ნამსხვერევებით იყო დაფარული. ამ სართულზე იყო განლაგებული საძინებლები, ამიტომ ბებია ბავშვებს ქვემოთ, თორმეტკაცინი მაგიდის ქვეშ აძინებდა.

ომის შემდეგ ვალერიანს შიშები დასწრება: ეშინოდა ლამის, მეორე თავაში გასვლის. დადარდანებულმა ბებიამ ის

ამშვენებდა, შიგ ყველა ლოცვა გადაწერა, რაც იცოდა, რვეულს სარჩევი და სანიშნი (ჯვრით დაბოლოებული თეთრი ფითოლი) გაუკეთა და ყოველ დილა-სალამის ლოცულობდა.

ია, ყვავილი, თაიგული

მერე ფოთში გადავიდნენ.

იქ ცხოვრობდნენ ბებიის დები: ია, ყვავილი და თაიგული. ვალერიანი ბებიიდა თაიგულთან დაბინავდა და სკოლაში წნავლა განაგრძო.

ის გამორჩეულად კარგად სწავლობდა ქიმიას, რაც უდავოდ მიმზიდველი ლაბორატორიის დამსახურება იყო. იგივეს ვერ ვიტყვით დისციპლინის ხარისხზე: ჩვენი გმირი კლასელებთან ერთად ფიზიკის კაბინეტში ჩამსხვრეული მინის და სახანძრო კიბის მეშვეობით ხშირად იპარებოდა, და იყო მალთაყვა და ოქროს ტბა...

ორი წლის შემდეგ ვალერიანი ისევ სენაკში დაბრუნდა, სადაც დიდი ბაბუის სახლში სამი თაბიის წარმომადგენელ თერთმეტ ადამიანთან ერთად დასახლდა. სენაკელ თანატოლებთან ერთად

არ დასჭირებულია. პირველივე დღეს, პურის საყიდლად მიმავალი, განცხადებას წაანწყდა: თბილისის კინო-ვიდეო-ბიზნეს კოლეჯი მსურველთა მიღებას აცხადებდა. გასაუბრებაზე მისულს უთხრეს, რომ ოთხი წლის მანძილზე სამასი დოლარის გადახდა მოუწევდა, ერთი-ორი ფორმალური შეკითხვაც დაუსვეს და ლაშა კოლეჯის სტუდენტი გახდა.

სწავლება სამი მიმართულებით მიმდინარეობდა. ეუფლებოდნენ მოდელის, კასაცალირისა და მოდელ-მსახიობის პროფესიას. ლაშამ ჩათვალა, რომ პირველ შემთხვევაში მონაცემები არ ჰქონდა, მეორეში – სურვილი, უკანასკნელი კი მოიწონა და მოდელ-მსახიობის ფაკულტეტზე შეუდგა სწავლას.

კოლეჯშიც გამეორა ბავშვების-დროინდელი საქციელი და პირველ დღეს განსაკუთრებით გამოეწყო: ფოსტორის-ფერი მაისური ჩაიცვა, ბაბუის ქველი ტყავის ქამარი დაჭრა, ზედ რკინები დაამაგრა და სამაჯურად აქცია, თმას კი ოდნავ ბორდოსფერი იერი მისცა.





მომენტული ჩოხები და ტერფსიქორას ტაძარი

ავტორი: ლავით ჩიხლაძე

მარი-მადლენ გიმარი, ბალეტის ხელოვნების მფარველი მუზია, მიკუთვნებოდა ისეთ ცეცხლოვანი ბუნების მქონე ქალთა რიცხვს, რომელთა შესახებაც ეგვიპტეში ნაპონტი აპოკრიფული ევას სახარება გვამცნობს: „მე ვარ პირველი და უკანასკნელი. მე პატივს მცემენ და ვძულვარ. მე მეძავი ვარ და წმინდანი. მე ცოლი ვარ და ქალწული. ის, ვისი ქორწილიც დიდებულია და ვინც არასოდეს გათხოვილა“.

მარი-მადლენ გიმარი, ცნობილი ფრანგი ბალერინა და თანამედროვე ჰეტერა, 1743 წლის 27 დეკემბერს დაიბადა. ჯერ კიდევ თხეთმეტი წლის ასაკში ჩაირიცხა „კომედი ფრანსეზის“ კორდებალეტში. სამ ნელინადში მუსიკის სამეფო აკადემიაში გადავიდა, რომელიც ყველაზე კონსერვატორული თეატრი იყო ბალეტის სამყაროში, 1762 წლიდან კი პარიზის ოპერას შეუერთდა, სადაც მისი დებიუტი 9 მაისს, ტერფსიქორას როლში შედგა. ტერფსიქორა ცხრა მუზიათაგან ერთ-ერთია, რომელიც ცეკვასა და დრამატულ ქოროს მფარველობს და ეს სახელი ბალეტის ახალგაზრდა ვარსკვლავის ბედისთვის შემთხვევითი ნამდვილად არ აღმოჩნდა. მარი-მადლენ გიმარი მაღე ლუს XVI დროს პარიზული სცენის პრიმა მოცეკვავედ იქცა და ოცდაშუთი წლის განმავლობაში პარიზის ოპერის ქალმერთი იყო.


ახალგაზრდა ბალერინა ნოვერისა და გარდელის ბალეტში, ძირითადად, უმანკო მწყემსი გოგონას როლებს ასრულებდა, რაც ძალზე კონტრასტული ჩანდა მისი საქვეყნოდ ცნობილი კურტიზანული ბიოგრაფიისთვის. მარი-მადლენ გიმარმა, ცეკვასთან ერთად, სასიყვარულო ისტორიებითაც გაითქვა სახელი. როდესაც ცნობილ ფრანგ მათემატიკოსს და ფილოსოფოსს უან ლერნონ დალამბერს ჰქითხეს, თუ როგორ ხდება, რომ გიმარის მსგავს მოცეკვავებს ასე სწყალობთ ილბალი, მას ასე

უბასუხია – „ეს ხომ მოძრაობის კანონების ბუნებრივი შედეგია“. მარი-მადლენს პირველი რომანი ჰქონდა მოცეკვავე ლეჟესთან, ვისგანაც მას ბავშვი გაუჩნდა. ბალერინას ჰყავდა ძალზე მაღალჩინოსანი თაყვანისმცემლები, მათ შორის კომპოზიტორი უან-ბენუამინ დე ლა ბორდე, რომელთანაც მარი-მადლენს 1763 წლის აპრილში ქალიშვილი ეყოლა. დე ლა ბორდე ყოველთვის რჩებოდა მის წრეში, მაშინაც კი, როდესაც მარი-მადლენზე მზრუნველობა მთლიანად ბალეტის მოცეკვავების ცნობილმა დამფინანსებელმა, საფრანგეთის მარშალმა შარლ დე როპანმა აიღო. დე როპანი მარი-მადლენს ყოველთვიურად 2000 ეკუუს უხდიდა.

მაგრამ ეს არ იყო მთავარი. კურტიზანული ისტორიებით იმდროინდელ საფრანგეთს ვერავინ გააკვირებდა. იმ დროს საფრანგეთში ძალინ პატულარული იყო თეატრი, რომელიც ცხოვრებაში იმდენად იყო შეჭრილი, რომ სხვადასხვა ბალეტებში, ოპერებსა და მასკარადებში პუბლიკა თვითონაც იღებდა ხოლმე მონაწილეობას. მადამ დე პომპადური მხოლოდ იმით როდე იყო ცნობილი, რომ, ვთქვათ, დღემდე იღუმალებით მოცულ, მარადიულად ახალგაზრდა და უკვდავ მისტიკოსს, გრაფ სენ-ჟერმენს მფარველობდა. მადამ დე პომპადური უან-უაკ რუსოს „სიფლის ჯადოქარში“ პირადად თამაშობდა საკუთარ სასახლეში. მარიანტიუნეტსა საკუთარი თეატრი ჰქონდა და ანდრე-ერნესტ-მოდესტ ვრეტრის პრივატულ საოპერო დადგმებში მწყემსი ქალის როლს ასრულებდა ვერსალში. ბევრ ფრანგ არისტოკრატს საკუთარი თეატრი ჰქონდა. მაგრამ განსაკუთრებით საინტერესო ის არის, რომ ამ ყველაფერთან ერთად არსებობდა ეგრეთ წოდებული „საიდუმლო თეატრები“, სადაც ეროტიკული და პორნოგრაფიული პიესები იღგმებოდა და სადაც როგორც პროფესიონალი მსახიობები, ასევე

თვით დიდეგვაროვნებიც თამაშობდნენ.

საოპერო ბალეტისა და ცეკვის ქალმერთი მარი-მადლენ გიმარი ამ საიდუმლო თეატრების ერთ-ერთი ვარსკვლავი იყო. ასეთ თეატრებს შორის ყველაზე დიდი კი იყო ტერფსიქორას ტაძარი. ენითაუნწერელი სიმძიდრის წყალობით მადმუაზელ გიმარმა შეიძინა სახლი პარიზის ახლოს, პანტინში. აქ იდგმებოდა ისეთი ნარმოდგენები, როგორიცაა შარლ დე კომედია „ანრი IV-ს შასე პარტია“ (რომლის საჯაროდ ნარმოდგენა აკრძალული იყო), ლუ კაროუ კარმონტელის პიესები და სხვა გარებისა და სამეცნიერო მაღალი საზოგადოების გასართობად. ასევე, ყოველკირებულად, გიმარის მეორე პარიზული სახლი შოსე დანტენში სამოფიცალურ ვახშამს მასპინძლობდა. ედმონდ დე გონკური ნერს, რომ პირველი ვახშამი იყო დიდებულთა შორის დიდებულთათვის და სამეცნიერო მაღალჩინოსანთათვის, მეორე იმართებო-



და ხელოვანებისა და მწერლებისათვის, რაც მეტოქებას უწევდა მადამ მარია ტერეზია უფროენის სალონს, ხოლო მე-სამე ვახშამზე, ლუის პეტიტ დე ბაშამონის „საიდუმლო მემუარების“ თანახმად, მიწევულნი იყვნენ თეატრის მეგიბრები, ყველაზე გარყვნილი და თვალწარმტაცი ახალგაზრდა ქალები და მოდური მექა-ვები.

საკუთარი კერძო თეატრი ორივე სა-ხლს ჰქონდა და მათ ფინანსისტი დე ლა ბორდე მართავდა. მარი-მადლენ გიმა-რი ამ თეატრებში, რომლებსაც ტერ-ფისიქორას ტაძარს უწოდებდა, დაგამდა გამაოგნებლად უხამს ბალეტებს და სა-რისკო ფარსებს. ცნობილმა ბალერინამ, რომელიც უკვე სამეფო კარზეც ცეკვა-ვდა, კარგად იცოდა, თუ როგორ უნდა ეცდუნებონა გარყვნილი სამეფო კარის საზოგადოება.

პარიზის ტერფისიქორას ტაძარი მარი-მადლენ გიმარმა 1770 წელს გახსნა, მიუხედავად რომის კათოლიკური ეკლე-სიის ეპისკოპოსისგან წინააღმდეგობი-სა. თეატრი მიერთებული იყო გიმარის სახელის მექონე საუცხოო სასტუმროს-თან შოსე დანტენში, რომელიც შესრუ-ლებული იყო ნეოკლასიკურ სტილში კლოდ-ნიკოლას ლედოს მიერ, ხოლო მის ინტერიერს უან-ონორე ფრაგონა-რის ნახატები ამშვენებდა. ფრაგონარი მისი უახლოესი მეგობარი იყო და პრი-მა ბალერინა მის არაერთ შესანიშნავ ნახატშია გამოსახული. თეატრი ხუთას მაყურებელზე იყო გათვალისწინებული. მარი-მადლენ გიმარს აგებული ჰქონდა შირმებიანი სპეციალური სასცენო მო-წყობილობა, რისი მეშვეობითაც ქალებს შეეძლოთ ისე ეთამაშათ სპექტაკლებში, რომ მათი ვინაობის ამოცნობა შეუძლე-ბელი იქნებოდა. თეატრის პარტერსა და ლოუებში ასევე მოწყობილი იყო სპე-ციალური ფარდებინი ვესტინიულები, სადაც მაყურებელებსაც შეეძლოთ ინ-ტიმურ ურთიერთობებში მონაწილეობა. 1786 წელს მადმუაზელ გიმარი იძულე-ბული გახდა, თავიდან მოქშორებინა ქონება და ის ლატარიის საშუალებით განკარგა 300, 000 ფრანკად.

მაგრამ ისტორიის დასასრული ეს არ არის. 1768 წლის ზამთარი ძალიან მკა-ცრი გამოდგა და პარიზში ენითაუნე-რელმა ყინვამ დაისადგურა. მაშინ

გიმარმა საკუთარი ანაზღაურების გა-დახდა რატომლაც წვრილი მონეტებით მოითხოვა. მერე კი თანმხლებთა გარე-შე, სრულიად მარტომ, ფეხით ჩამოიარა პანტინის უკლებლივ ყველა სახლი, პოუ-ლობდა სხვენში შეყუულ ადამიანებს და პატარა სპეციალური ქისებით ფულს ურიგებდა, საკუთარი ხელით მიჰქონდა მათთან პალტოები და საბრები. საკუთა-რი ცხოვრების მანძილზე მარი-მადლენი ცნობილი იყო განსაკუთრებული გულუ-ხვობით, რაც უსიტყვოდ განაირაღებდა ხოლმე მასზე პამფლეტების მთხველე-ბს.

არც ეს იქნება ისტორიის დასასრუ-ლი. ჩვენ კიდევ ერთ უცნაურ მაგალითს შევხდებით, ამჯერად ერთგულებისა, რომელიც ასეთივე განსაკუთრებული ხარისხის მქონეა. ამისთვის კი ცოტა ხნით იმდროინდელი კლასიკური ბალე-ტის სამყაროში მოგვინებს დაბრუნება. მარი-მადლენ გიმარი ისეთი თხელი აღ-ნაგობის იყო, რომ მას „მომხიცელელ ჩონჩხს“ ეძახდნენ. ის არ იყო ლამაზი და, მე-18 საუკუნის ბალერინებისგან განსხვავებით, მართლაც ძალიან გა-მხდარი იყო. ახალგაზრდა გიმარი თა-ვიდანვე გამოირჩეოდა როგორც ძალზე არისტოკრატული, ნაწარარი მოძრაობე-ბის მექონე მოცეკვავე. მის რეპერტუარ-ში არ იყო რთული მოძრაობები და მისი კომპოზიციების მთავარი შემადგენელი ნაწილი მიმიკა და ლიმილი იყო. პორტრე-ტების მხატვარი მარი ელიზაბეტ ლუიზა ვიუე-ლებრენი აღნერს, რომ მისი ცეკვა ჩანახატს ჰგავდა, ის მხოლოდ პეტიტ პას – უბრალო ნაბიჯებს იყენებდა, მა-გრამ ისეთი გრაციოზული ელემენტით, რომ სხვა მოცეკვავებს შორის ჟაზბლი-კა მას ამჯობინებდა. საზოგადოებას არ მოსწონდა მისი, როგორც კურტიზანი ქალის სახელი, მაგრამ აღფრთოვანე-ბული იყო მოცეკვავის სასცენო ტალან-ტით. თუმცა იყვნენ სკეპტიკურებიც, რომლებიც გიმარის ნარმატებას მაინც ვერაფრით ხსნიდნენ. მაგალითად, სოფი არნუს, ოპერის სოპრანო მომღერალს მიაჩნდა, რომ გიმარს მშვენიერი უესტი ჰქონდა, ვიდრე ნამდვილი სა-ცეკვაო ნიჭი. 1766 წლის იანვარში, რო-დესაც სასცენო დეკორაცია ჩამოვარდა და გიმარმა ხელი დაიზიანა, ის სპექტაკ-ლებში მაინც აგრძელებდა მონაწილეო-

ბას და ხელშეხვეული გამოდიოდა სცე-ნაზე. ამასთან დაკავშირებით სწორედ სოფი არნუს ეკუთვნოდა ეს რემარკა: „საწყალი გიმარი! ფეხი მაინც მოეტება! ეს ხომ ნამდვილად უარს ათემევინებდა ცეკვაზე“.

გიმარს სხვა მოცეკვავებიც ადიდე-ბდნენ, როგორიცაა უან უორუ ნოვერი, ცნობილი ბალეტმეისტერი და ბალეტის რეფორმატორი. მარი-მადლენი ახლოს თანამშრომლობდა მასთან, მაგრამ ცნობილი ქორეოგრაფი იმდენად იყო საკუთარი სამუშაოთი და ინოვაციებით გატაცებული, რომ ბალერინის მაქინა-ციები მასზე არ მოქმედებდა.

მოკულედ, სანამ მისი საცეკვაო კარიე-რის დაისი გამოჩნდებოდა, მარი-მადლენ გიმარმა საკუთარი ნიჭის აპსოლუტური რეალიზაცია მოახდინ. ის ცეკვავდა ლავალის, ნოვერის და მაქსიმილიენ და პირ გარდელის ბალეტებში, გამოდიოდა მოცარტის, რამოს და გლოუკის ოპე-რებში. გამოდიოდა სამეფო კარისთვის ვერსალსა და ფონტენებლოში. თამაშო-ბდა მთავარ როლებს ოპერა-ბალეტებში „რომაული და ბერძნული დღესასწაუ-ლები“, „კასტორი და პოლკუსი“, „გალა-თეას კაპრიზები“, „იასონი და მედეა“ და სხვ. 1789 წელს ნოვერთან ერთად იმო-გზაურა ლონდონში, სადაც მონაწილეო-ბდა წარმოდგენებში კოვენტ გარდენსა და მეფის თავტრში.

1789 წელს მარი-მადლენ გიმარი და-ქორნინდა მოცეკვავესა და პოეტზე – უან ეტიენ დესპროზე. მაშინ კი თავი და-ანება ცეკვას და მასთან ერთად საცხო-ვებლად პარიზიდან შორს, ინგლისში გადასახლდა. ხუთი წლის მერე მარი-მა-დლენს განმარტოებაში ცხოვრება მოსა-წყენი მოერვენა და პარიზში დაბრუნდა. ის ხომ ვერასოდეს უდალატებდა ვერც ბალეტის და ვერც თავის საყვარელ ტერ-ფისიქორას. დაბრუნდა საკუთარ სახლში და გამოაცხადა, რომ წარმოდგენები ისევ გამართებოდა. მისული პუბლიკა ხედავდა, რომ სცენაზე ფინანსურის ბაზე და მარტინ ფინანსურის ბაზე დაბრუნდა. მარტინ ფინანსური მოცეკვავის უკლებლივ გამოირჩეოდა როგორც კურტიზანი ქალის სახელი, მაგრამ აღფრთოვანებული იყო მოცეკვავის სასცენო ტალანტით. თუმცა იყვნენ სკეპტიკურებიც, რომლებიც გიმარის ნარმატებას მაინც ვერაფრით ხსნიდნენ. მაგალითად, სოფი არნუს, ოპერის სოპრანო მომღერალს მიაჩნდა, რომ გიმარს მშვენიერი უესტი ჰქონდა, ვიდრე ნამდვილი სა-ცეკვაო ნიჭი. 1766 წლის იანვარში, რო-დესაც სასცენო დეკორაცია ჩამოვარდა და გიმარმა ხელი დაიზიანა, ის სპექტაკ-ლებში მაინც აგრძელებდა მონაწილეო-

ბას და ხალხი უყვერებდა სახელგანტ-მული მოცეკვავის უკვე მითად ქცეულ პეტიტი პას – უბრალო ნაბიჯებს. მარი-მადლენ გიმარი 1816 წლის 4 მაისს, 73 წლის ასაკში გარდაიცვალა.



Jean-Honoré Fragonard

Marie Madeleine Gérard
1763



ფილანთროპის კულტურა

ავტორი: ნინო ბეგეძელი / ფოტო: თამა ბარძიაშვილი

სპეციალური მომზადებულია კონსულტაციის და ტრენინგის ცენტრთან თანამშრომლობით

ფილანთროპიას, ალბათ, ისეთივე გრძელი ისტორია უნდა ჰქონდეს, როგორიც კაცობრიობას – ადამიანებს კეთილი საქმის კეთების მოთხოვნილება ხშირად აქვთ ხოლმე და ბუნებრივია, ქველმოქმედებას ქართველებიც ისევე ვენევით, როგორც

დედამიწაზე მცხოვრები ყველა სხვა ხალხი. უკანასკნელმა მძიმე ოცმა წელიწადმა, უფრო დახმარების მიმღებებად გვაქცია, ვიდრე – გამცემებად, მაგრამ ომებისა და კრიზისების პერიოდში ავად თუ კარგად, მაინც ვახერხებდით ერთმანეთის დახმარებას.

ჩვენში ხშირად ამბობენ, რომ 90-იანებში ერთმანეთს „თავი გავატანინეთ“ და იხსენებენ იმ დროს, როცა საკუთარ სადარბაზოებში ჩაკეტილები გაჭირვებამ გარეთ გამოგვიყვანა – თუკი ერთ ოჯახში ნავთქურაზე ხორციანი სადილი კეთდებოდა, თითო-



თითო ულუფა მეზობლის ბავშვებსაც ხვდებოდათ ხოლმე. მაგრამ ეს დახმარება მაინც სპონტანური გახლდათ და ხშირად, მართლა უკიდურესი საჭიროებით იყო გამოწვეული. თანაც, ვეხმარებოდით იმას, ვინც ახლოს, ჩვენ გვერდით იყო, ვისაც ვიცნობდით, ვის გაჭირვებასაც ვხედავდით – უფრო შორს ჩვენი მზერა, როგორც წესი, ვერ აღწევდა. აქ, აღბათ, არც არაფერია გასაკვირი და დასაძრახო.

არც იმის დავიწყება იქნება, რომ

აფხაზეთის ომის შემდეგ თბილისში ჩამოსულ დევნილებს საზოგადოების გარკვეული ნაწილი, შეიძლება სწორედ ის ადამიანები, ვინც ნათესავებსა და მეგობრებს ეხმარებოდნენ, მტრულად დახვდა. თუმცა, დროის მდინარებამ, უფრო კი, თავისიუფალი ბაზრის განვითარებამ, როგორც ჩანს, ჩვენც შეგვცვალა – 2008-ში, როცა ქვეყანაში დევნილების ახალი ტალღა გაჩნდა, გაცილებით უფრო ცივილიზებულად და კულტურულად მოვიქეცით – მაშინ არა მხოლოდ ბიზნესკომპანიებს ჰქონდათ განერილი მოქმედების გეგმა, არამედ, ჩვეულებრივი მოქალაქეებიც ცდილობდნენ ერთობლივად ემოქმედათ – კრებდნენ ფულს, პირველადი საჭიროების ნივთებს და გაჭირვებაში ჩავარდნილ თანამოქალაქეებს ერთად ეხმარებოდნენ.

ფილანთროპია მხოლოდ თანხების გაცემას არ გულისხმობს, მისი შემადგენელი უმნიშვნელოვანესი ნაწილი, მოხალისეობა ანუ საზოგადოებისთვის სასარგებლო საქმის გასამრჯელოს გარეშე კეთება, ჩვენში, ჯერჯერობით პოპულარული ვერ გახდა. სასარგებლო საქმე ძალიან ბევრნაირი შეიძლება იყოს – კულტურულ მემკვიდრეობაზე ზრუნვა, გარემოს დაცვა, მიუსაფარი ბავშვებისთვის წიგნების კითხვა, მოხუცებულების მონახულება თავშესაფრებში ან სულაც, უპატრონო ცხოველებზე ზრუნვა.

დასავლეთის ბევრ ქვეყანაში ქველმოქმედება ერთი მხრივ, ბიზნესის განუყოფელი, კარგად სტრუქტურირებული და დაგეგმილი ნაწილია, მეორე მხრივ კი, უამრავი უბრალო ადამიანისთვის – ცხოვრების წესი.

ის საქველმოქმედო აქციები, რომელსაც ქართული ბიზნესი ახორციელებს, უმეტეს შემთხვევაში სპონტანური და ერთჯერადია. ცხადია, არსებობს რამდენიმე გამონაკლისი – მსხვილი კომპანია, რომელთა საქმიანობის შესახებაც საზოგადოება მეტნაკლებად ინფორმირებულია, მაგრამ ეს საერთო სურათს ვერ ცვლის.

სპეციალურებით მუშაობისას დავინახეთ, რა სფეროებია ქართული ბი-

ზნესისთვის პრიორიტეტული – ესაა უპირველეს ყოვლისა, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია, ქართული კულტურა (ოლონდ, ქართველ ბიზნესმენებს, რატომდაც ნაკლებად აინტერესებთ თანამედროვე ხელოვნება), დევნილები, სპორტი, მოდა... თუმცა, ხშირად, მათი საქმიანობა უფრო სპონსორობაა (რაც რეკლამასაც გულისხმობს), ვიდრე ფილანთროპია.

ქართული საზოგადოებრივი ორგანიზაციები, მაგალითად, ისინი, ვინც ლეიკემიით დაავადებულ ან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებზე ზრუნავენ, როგორც წესი, უცხოური ფონდებიდან ფინანსდებიან და არა – ადგილობრივი ბიზნესიდან. მათ გრძელვდიანი და საკმაოდ ძვირი პროექტები აქვთ, ადგილობრივი კომპანიები კი ჯერჯერობით თავს იკავებენ მათთან სისტემური თანამშრომლობისგან. კვლევებიც აჩვენებს, რომ ამ ორ სეტორს შორის გაუცხოებაა, ერთმანეთს უბრალოდ, ნაკლებად იცნობენ და ნაკლებად ენდობიან.

ინტერნეტის განვითარებასთან ერთად ქვეყანაში ქველმოქმედების ახალი ფორმაც ჩნდება – სხვადასხვა ფორუმებსა თუ სოციალურ ქსელებში ხშირად ეხმარებიან ბავშვთა სახლებს და იმათ, ვისაც სასწრაფო და გადაუდებელი მკურნალობა სჭირდებათ. თუმცა, აქაც ხშირად იგივე სურათია, რაც 90-იანების ეზოებსა და სადარბაზოებში: როცა რომელიმე თანაფორუმელს ან ნაცნობს უჭირს, ენთუზიაზმიც მეტია ხოლმე და როგორც წესი, მეტი თანხებიც გროვდება.

ასეა თუ ისე, მიუხედავად პრობლემებისა, საქართველოში ფილანთროპიაზე კულტურა ნელ-ნელა მაინც მკვიდრდება.

ეს სპეციალურებით კონსულტაციის და ტრენინგის ცენტრ CTC-ისთან თანამშრომლობით მომზადდა, შევეცადეთ, ფილანტროპიის შემთხვევების შესახებ მოგვეყოლა, რომლებიც ნაკლებად იყო ცნობილი საზოგადოებისთვის.

3 ცლილობით დაღისითი იმპულსები მივცათ საზოგადოებას

ინტერვიუ კრისტიანის და ტრინიდადის შენტრის (CTC) დირექტორთან ირინა ხათაძესთან



– როგორია დღეს გარემო ქველმოქმედებისთვის? შეიცვალა თუ არა ის უკანასკნელ წლებში?

– დღეს გარემო ბევრად უკეთესია, ვიდრე რამდენიმე წლის წინ იყო. გამოჩენდა ბიზნესი, რომელიც მზადაა მძლავრი სოციალური ინვესტიციები განახორციელოს. მეორე მხრივ, საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა დაინახეს, რომ საჭიროა საკუთარი დაფინანსების წყაროები უფრო შიგნით ეძიონ, ვიდრე გარე ბაზარზე. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის, ვინც სოციალურ საკითხებზე მუშაობს. ეს თემა წინ წამოსწია რამდენიმე აქციამაც, რომლებიც საჯარო სივრცეში ჩატარდა. ფონდ „იავნანას“ აქციების შემდეგ ეს თემა მოდურიც კი გახდა, რაც, რა თქმა უნდა, მისასალმებელია. ახლა ჩვენი ამოცანაა ეს გაუმჯობესებული გარემო კიდევ უფრო განვითარდეს. აუცილებელია საზოგადოებრივი ორგანიზაციები პერიოდული კამპანიებიდან ფონდების სისტემატიური მოძიების პრაქტიკაზე გადავიდნენ და უფრო მეტად იმუშაონ საკუთარი საქმიანობის გამ-

ჭვირვალობაზე და ანგარიშვალდებულებაზე. ასევე მნიშვნელოვანია, საზოგადოებამ კარგი გავლენა მოახდინოს ბიზნესზე – ის პრიორიტეტები რაც საზოგადოებაშია, უნდა აისახებოდეს ბიზნესის სოციალურ პოლიტიკაზე. ამასაც სტირდება გარკეცული ადვოკატირება სამოქალაქო საზოგადოების მხრიდან.

როცა ფილანთროპიაზე ვსაუბრობთ, ცხადია, არ შემოვიდარღვებით მხოლოდ იმით, რომ დონორი მარტო ბიზნესია. გარკეცულნილად საზოგადოებაც უნდა გახდეს დონორი და მასთანაც არის ამ კუთხით სამუშაო. თანმიმდევრული სამოქალაქო განათლება ხელს უნდა უწყობდეს იმას, რომ ადამიანები გასცემდნენ არა მხოლოდ ერთჯერადად, არამედ, ამ აქტით იდეებისადმი ერთგულებასა და საკუთარ სამოქალაქო პოზიციას გამოხატავდნენ.

ასევე მნიშვნელოვანია, საზოგადოებამ მსჯელობა დაინტენს სამართლებრივ საკითხებზე, დაფიქტრდეთ, ხომ არ არის შესაცვლელი კანონმდებლობა, რომელიც უფრო მეტად უნდა უწყობდეს ხელს ქველმოქმედებას.

ამ თემაზე საუბრის დროს გვერდს ვერ ავუვლით მოხალისეობას, რადგან მოხალისეობაც გაცემის კულტურის ნაწილია. როცა მოხალისეობაზე ვსაუბრობთ, ჩვენთან ეს ხშირად სტაჟიორის როლთან ასოცირდება, არადა, მოხალისეობა ფართო ცნებაა. მოხალისეობა ის კი არ არის, როცა ადამიანი თავისი პროფესიული ცოდნის ამაღლებისთვის უხელფასოდ მიღის სამუშაოდ, არამედ საზოგადოებრივად სასარგებლო საქმის უსასყიდლოდ კეთებაა და როგორც წესი, არ უკავშირდება არჩეულ პროფესიას.

ამ ყველაფრის წახალისებას თანმიმდევრული პოლიტიკა და ბევრი აქტივის ერთობლივი მუშაობა სტირდება – ბიზნესის, სამოქალაქო საზოგადოების, ხელისუფლების. ფილანთროპიის კულტურა პირდაპირ კავშირშია საზოგადოებაში სოლიდარობის გრძნობის განვითარებასთან, თანამედროვე გაგებით სოციალური კაპიტალის შექმნასთან და ბოლოს, მყარი საზოგადოების ჩამოყალიბებასთან.

როგორც ვიცი, თქვენი ორგანიზაცია, CTC უკვე წლებია ფილანთროპიის ოემით დაინტერესდა. როგორ მუშაობთ, კონკრეტულად რას აკეთებთ?

ჩვენ უკვე 10 წელია ვმუშაობთ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან, ვებმარებით მათ ორგანიზაციულ განვითარებაში და დავინახეთ, რომ ამ სექტორის მდგრადი განვითარება ფილანთროპიის კულტურის გარეშე ძნელი წარმოსადგენია. ვცდილობთ, ბევრი სხვადასხვა მიმართულებით ვიმუშაოთ. ვებმარებით საზოგადოებრივ ორგანიზაციებს უკეთ დაეუფლონ ფონდების მოძიების პრაქტიკებს ადგილობრივ ბაზარზე. შევიმუშავეთ სპეციალური ტრენინგ-პროგრამა,

რომელზეც წელს გაცილებით დიდი კონკურსი იყო, ვიდრე შარმან – 68 განაცხადი შემოვიდა და მხოლოდ 18 მონაწილის შერჩევა მოგვინია. ამ სა-მუშაოს აუცილებლობაში დაგვარნებული იმ კვლევამაც, რომელიც რამდენიმე წლის წინ დავუკვეთეთ. კვლევამ აჩვენა, რომ ადგილობრივ ბიზნესსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს შორის გაუცხოება. არასამთავრობო ორგანიზაციები წლების მანძილზე, ძირითადად, საერთაშორისო დონორებისგან მოიძიებდნენ ფონდებს და არ იცოდნენ, როგორ ემუშავათ ადგილობრივ ბიზნესთან, როგორ მოეზიდათ ბიზნესი ან მოქალაქე – ამგვარი ურთიერთობის გამოცდილება არ არსებობდა. ასევე ვცდილობთ, ვითანამშრომლოთ ბიზნეს სექტორთან, რათა კომუნიკაციის არხი გაიჭრას, ამ ორმა მხარემ ერთმანეთი უკეთ გაიცნოს, მათ შორის დაალოგი შედგეს და თანამშრომლობის მოდელი ჩამოყალიბდეს.

ვგეგმავთ მოვიძიოთ თანხები და განვახორციელოთ კვლევა გაცემის კულტურის შესახებ. ეს მნიშვნელოვანია, რადგან მოგვცემს შესაძლებლობას საკუთარი თავი გავიცნოთ და ვნახოთ, რა სოციალური კაპიტალის მატარებელია დღეს ქართული საზოგადოება. ამ კვლევას პრატიკული დატვირთვაც აქვს, რადგან საზოგადოებრივ ორგანიზაციებს დაეხმარება სწორად დაგეგმონ საკუთარი საქმიანობა.

CTC დაინტერესებულ ორგანიზაციებს საკონსულტაციო მომსახურებას სთავაზობს. შარშან დავეხმარეთ სამ ორგანიზაციას – ეს პატარა, მოკლე, მაგრამ წარმატებული კამპანიები იყო. ამ ორგანიზაციებმა დანახეს, რომ საზოგადოებასთან მუშაობას შეიძლება მნიშვნელოვანი შედეგი მოყვეს მათი საქმიანობისთვის.

ასევე, ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია, ფილანთროპიას სამოქალაქო დატვირთვა მივცეთ. ჩვენთან ქვემოქმედება ძირითადად, რელიგიური კუთხით განვითარდა, ბიზნესი და ხალხი ეკლესიას ეხმარება, რაც, ერთი მხრივ, ლოგიკურია, რადგან ფილანთროპიას კულტურის დამკვი-

დრება მეტ-ნაკლებად ყველა საზოგადოებაში ასე დაიწყო. ჩვენი მიზნია ხელი შევუწყოთ სამოქალაქო ტიპის ფილანთროპიას, როდესაც ადამიანები გასცემენ სხვების კეთილდღეობისთვის, განათლებისთვის, გარემოს დაცვისთვის და ა. შ.

ბევრ საქველმოქმედო ღონისძიებაზე, რომლისთვისაც მხარი დაგვიჭრია, მნიშვნელოვანი იყო თბილისში მაცხოვებელი საერთაშორისო თემის როლი. უცხოელები აქტიურად უჭერენ მხარს ქართული საქმეებს, თვითონაც შრომობენ, თანხებს გას-

ჩვენ გვიდა, ნავახალისოთ ეცვა, რომელიც მიმართულია მხარი დაცვისოთ, უბრალოდ, მოყვასს და იმ მინვარეულოვან ილებს, რომელიც მთელ საზოგადოებას წაალება.

ცემენ, კარგ მაგალითს აძლევენ ქართულ საზოგადოებას, რომელსაც შედარებით ნაკლები გამოცდილება აქვს.

ქართველები ვეხმარებით ნაცნობებს, მეზობლებს, მეგობრებს – ანუ იმათ, ვისაც ვიცნობთ და ვის მიმართაც გარკვეულ სოციალურ პასუხისმგებლობას ვგრძნობთ. თუმცა, ჩვენთვის უცხო ადამიანებისთვის თამამად ვერ გაცემთ თანხებს. ჩვენ გვინდა, წავახალისოთ ქცევა, რომელიც მიმართულია მხარი დაუჭიროთ, უბრალოდ, მოყვასს და იმ მნიშვნელოვან იდეებს, რომელიც მთელ საზოგადოებას წაადგება.

ფილანთროპია კავშირშია სამოქა-

ლაქო კულტურასთან და ზოგადად, განათლებასთან. უპოვარ ბავშვს ნებისმიერი ადამიანი დაეხმარება, თუ ამის რესურსი და მზაობა აქვს. გაცილებით რთულია, საზოგადოებამ გასცეს განათლებისთვის, კულტურისთვის, გარემოს დაცვისთვის, ან მისცეს ორგანიზაციას ფული, რომელიც სოციალურად დაცვებულებს სამართლებრივ დახმარებას უწევს. ამ კულტურის დანერგვას დრო სჭირდება, უნდა ამაღლდეს ზოგადი განათლების დონე და სამოქალაქო შეგნება. ალბათ, უნდა გაიზარდოს მოსახლეობის შემოსავლებიც, რომ ნამეტი გაუჩნდეს ხალხს. გარკვეულიად, ესეც გასათვალისწინებელია, რადგან თუ საკუთარ საჭიროებებს ვერ ვაკმაყოფილებ, გაცემაზე ორიენტირებული ვერ ვიქნები. თუმცა საინტერესოა ერთი ფაქტი – როცა ინდონეზიაში, ინდოეთში, ფილიპინებზე ჩაატარეს კვლევა გაცემის კულტურის შესახებ, აღმოჩნდა, რომ ღარიბები უფრო არიან ორიენტირებული გაცემაზე, ვიდრე მდიდრები. როგორც ჩანს, სოლიდარობა ღარიბებს შორის უფრო მეტად არსებობს, ვიდრე ღარიბებსა და მდიდრებს შორის. ეს კვლევა ბევრ ინფორმაციას გვაწვდის – როგორია საზოგადოება, როგორია სოლიდარობა, სოციალური კაპიტალი და ხალხი რა მიზნებისთვისაა მზად გასცეს თანხები.

როცა ფილანთროპიის თემაზე ვმუშაობთ, ეს იმ ფასეულობების მხარდაჭერაა, რომელიც მთელ საზოგადოებას გარდაქმნის. თავიდან გვინდოდა დაეხმარებოდით ორგანიზაციებს, რომლებიც წლების განმავლობაში კარგ საქმეებს აკეთებდნენ, მაგრამ მეორე მხრივ, დავინახეთ, რომ რაღაც ისეთს ვეჭიდებოდით, რაც ძალიან ღრმა და მნიშვნელოვანი იყო. ცხადია, არ ვფიქრობთ, რომ CTC-ის ან ერთ რომელიმე ორგანიზაციას საზოგადოების შეცვლა შეუძლია, მაგრამ გვსურს, სხვებთან ერთად ჩვენც დადებითი იმპულსები მივცეთ საზოგადოებას და პროცესის დავრას შევუწყოთ ხელი.

სკოლა ლევილი ბავშვების თვის

თეონა ოვაშვილი და ნინო გიგური წეროვანის საჯარო სკოლაში სტუმრობისას გავიცანი. მათ 2008 წლის აგვისტოს შემდეგ სახლ-კარის დატოვება სხვებთან ერთად მოუწიათ და ახლა დევნილთა დასახლებაში ცხოვრობენ. მიყვებან, რომ სანამ სკოლა აძინდებოდა, ძალიან განვალდნენ – ორი თვე თბილიში დაიოდნენ, მერე მცხეთაში გადავიდნენ და შორს სიარული უჭირდათ. უხარისათ, რომ ახლა ასეთ კარგ და ნათელ სკოლაში სწავლობენ, უყვართ საუკუთრი სკოლა და შეინბას სიამაყით მათვალიერებინებენ – დავყავარ ერთი სართულიდან მეორეზე, მჩჩენებენ სპორტულ და საკონფერენციო დარბაზებს, კომიტეტურულ კაბინეტს, ნათელ საკლასო თახებს.

თეონამ და ნინომ წელს მოსწავლეთა რესპუბლიკურ ღოლიმპიადაზე ქართულის ტურში გაიმარჯვეს. ორივე მეუბნება, რომ ლიტერატურა და წიგნის კითხვა ძალიან უყვართ, მაგრამ მიაჩნიათ, რომ მათი წარმატება ქართულის მასწავლებლის დამსახურებაცაა. არც იმას მაღავენ, რომ თავიდან ცოტა გაუჭირდათ – ბავშვები ერთმანეთს არ იცნობდნენ და სანამ შეეჩერებენ, ხანდახან კონფლიქტებიც ხდებოდა ხოლმე, თუმცა ყველა მონდომა და ნელ-ნელა ყველაფერი მოგვარდა. თეონა მეთიორმეტეკლასელია, სკოლას ამთავრებს და ცოტათი გულიც კი წყდება სკოლასთან დამშვიდობება რომ მოუწვეს.

ეს სკოლა წეროვანში, დევნილების დასახლებში 2009 წელს, ომიდან ერთი წლის შემდეგ გაიხსნა. მისი შემნებლობა TBC ფონდმა დააფინანსა, რომელიც ჯერ კიდევ იმის დღეებში – 13 აგვისტოს, TBC ბავშვის პირველი შენატონით, 5 მილიონი ლარით სპეციალურად რუსეთ-საქართველოს იმში დაზარალებული მოსახლეობის დასახმარებლად დაარსდა. მალევე ფონდს კომპანიებისა და კერძო პირების შემოწირულობებიც დაემატა და საერთო ბიუჯეტმა 7,5 მილიონ ლარს გადააჭარბა. იმის შემდეგ დევნილებს პირველად ჰუმანიტარულ დახმარებას ბევრი ბიზნესკომპანია უწევდა, მაგრამ ფონდი, რომელიც მხოლოდ დევნილების საჭიროებებზე იქნებოდა ორიენტირებული და გრძელვა-

დიან პროექტებს განახორციელებდა, მარტი TBC ბანება დაარსა.

2008 წლის აგვისტო-სექტემბერში ფონდი ათასობით ადამიანს ცხელი კერძებით, ჩივილ ბავშვთა საკვებით, პიგინური და პირველადი მოხმარების საშუალებებით ამარაგებდა. განსაკუთრებით ჩვილ ბავშვებზე და ორსულ ქალებზე ზრუნვადნენ. მაგრამ როცა პირველმა შოკმა გადაიარა, TBC ბანები გადწყვიტეს, რომ ფონდის საქმიანობის ძირითადი მიმართულება დაზარალებულ ბავშვებზე ზრუნვა და საგანმანათლებლო პროექტების მხარდაჭერა იქნებოდა.

წეროვანში 2000 ოჯახი ცხოვრობს.

**ეს სკოლა
წეროვანში,
ლევილის
დასახლებში, 2009
წლის მიზანი
ერთი წლის შემდეგ
გაიხსნა. მისი
მშენებლობა TBC
ფონდმა დააფინანსდა.**

სკოლაში კი 900 ბავშვი დადის. აგვისტოს კონფლიქტის შემდეგ რეგიონში 40 სკოლა დაიხურა და უამრავი მასწავლებელი დარჩა უმუშევარი. განათლების სამინისტროს დაბმარებით კონკურსი ჩატარეს და ახალაშენებული სკოლისთვის პედაგოგები ასე, კონკურსის წესით შეაჩინეს. სკოლის დოკუმენტორი რამინ ჩიტრიშვილი ამბობს, რომ ფონდი დღესაც მხარში უდგათ და ეხმარებათ. ფონდმა სკოლას მიკროავტობული აჩიქა, რაც ნომდვილი ფუფუნებაა – ექსკურსიებზე და ტრენინგებზე მასწავლებლები და მოსწავლეები საკუთარი ტრანსპორტით დადიან. სკოლის მოსწავლეებს აქვთ საშუალება ინგლისური ენა ინდივიდუალურად, მცირე ჯგუფებში შეისწავლონ. მასწავლებლებს ხელფასს TBC ფონდი უზდის. ფონდის დახმარებით სკოლაში შეიქმნა ჩასაბერი

ინსტრუმენტების ორკესტრი – ინსტრუმენტები ფონდმა შეიძინა. ბავშვები დიდი მონძოვებითა და ხალისით სწავლობენ დაკვრას – მათ კონსერვატორიის სამი პედაგოგი კვირაში თრჯერ ამეცადინებთ. მოსწავლეებისთვის უფასოა ცეკვის და კარატეს წრები. კარატეში განსაკუთრებით დიდი ბავშვები ნარმატები აქვთ – კარატეს სექციაში 110 ბავშვი ვარჯიშობს, მათგან 35 სპორტსმენმა გამოცდა ჩააბარა და ყვითელი ქამარი დაიმსახურა. 2010 წელს წეროვანის სკოლის სპორტულ დარბაზში კარატე-დოში ორი ჩემპიონატი ჩატარდა. მცხეთა-მთიანეთის თასის გათამაშება, საადაც წეროვანის სკოლის სპორტსმენებმა გუნდური პირველი ადგილი დაიკავეს და მეორე – საქართველოს ლია ჩემპიონატი კარატე-დოში, სადაც მონაწილეობას 350 ახალგაზრდა იღებდა. წეროვანის კარატეს სექციის მოსწავლეებმა 30-ზე მეტი მედალი მოიპოვეს. ხოლო მათი მწვრთნელი როსტომ გელაშვილი წლის საუკეთესო მწვრთნელად აღიარეს.

TBC ფონდი აფინანსებს წეროვანის სკოლის კურსდამთავრებულების პროფესიული მომზადების პროექტსაც. ის მოსწავლეები, რომლებიც სწავლას უმაღლეს სასწავლებლებში არ გააგრძელებენ, საქართველოს სხვადასხვა კომპანიაში გაიღლიან სტაურებას, შეისწავლიან ხელობას და დასაქმდებიან.

წეროვანის სკოლა რეკორდულ დროში, წელიწადასა და ოთხ თვეში აშენდა და აღიჭურვა. თუმცა შენობას ნამდვილად არ ეყობა, ნაჩერევად იყოს აშენებული. პირველი, რაც აქ მოხვედრიოს მოგზით თვალს, ქართველი მხატვების, გი გუგუშვილისა და ქეთი მატბელის მიერ შექმნილი პანოა. მეორე სართულის გრძელ დერუფები კი ცნობილი ფოტოგრაფების ნამუშევრები კიდია – არა მხოლოდ ლამაზი და თვალისმომქრელი პეიზაჟები, არამედ ძალიან საინტერესო ფოტოები. ეს თითქოს პატარა დეტალია, მაგრამ ნამდვილად ვიცი, ქართულ საჯარო სკოლებში ესთეტიკაზე ნაკლებად ზრუნვაენ და გასაგებია, რატომაც – ამის ფუფუნება დღეს ჩემპიონატი სახელმწიფოს, სამწუხაროდ, არა აქვს.



ბიზნესმანებს ესმით კულტურული ლირეპულებები

ინდივიდუალური კონსულტაციის რამდენიმე მანანა დოკუმენტი

**როდის და როგორ დაიწყო ბიზნესისა
და კონსერვატორის ურთიერთობა?**

ბიზნესისა და კონსერვატორის ურთიერთობა ჯერ კიდევ 1995 წლიდან დაიწყო. მოგხესენებათ, რა მძიმე და რთული პერიოდი იყო და მიუხედავად ამისა, მაინც გვეხმარებოდნენ. ქართველ ბიზნესმენებს ესმით, რამდენად მნიშვნელოვანია კლასიკური მუსიკის ტრადიციების შენარჩუნება და განვითარება.

კონსერვატორის შენობა ქართული კულტურის ძეგლია, ეს ერთ-ერთი ყველაზე ღმამაზი შენობაა თბილისში. მოდერნის სტილის კონსერვატორის მცირე დარბაზი კი ნამდვილად საუკეთესოა მთელ ევროპაში.

ის, რაც აქ გაკეთდა, არ არის უბრალო რემონტი, შენობას სრული რეკონსტრუქცია ჩაუტარდა. მინდა დაგასახელო ისინი, ვინც კონსერვატორია, მართლაც, თავიდან ააშენა – მამუკა ხაზარაძე, გოგი თოფაძე, ავთანდილ წერეთელი, ბადრი პატარკაციშვილი, ფონდი „ქართუ“. მეოთხე სართულზე ისეთი მდგრამარეობა იყო, ჟერიდან პირდაპირ როილაში ჩადიოდა წვიმა. უპირველსად, შენობა გადაგხერეთ, შემდეგ ყოველ წელიწადს თითო-თითო სართული ვაშენეთ და ეს ადამიანები, ვინც ჩამოვთვალე, ყოველწლიურად დებდნენ თანხებს. გვეხმარებოდა მერიაც. მეოთხე სართულის ნაწილს ახალი ფლიგელი დავაშენეთ და იქ საოპერო სტუდია განვათავსეთ – ეს სამუშაოები კომანია BP-ის დააფინანსა. კონსერვატორის მოდერნის სტილის მცირე დარბაზის რეკონსტრუქციისთვის თანხა ფონდმა „ქართუმ“ გამოვიყო. ეს ძალიან რთული, მრომატევადი და საპასუხისმგებლო სამუშაო იყო.

რომ დავთვალეთ, მთელი ამ წლების მანძილზე კონსერვატორიაში 6 მილიონი დოლარია ჩადებული და ეს

სულ ქართული ბიზნესის ქველმოქმედებაა.

**როგორ ხერხდებოდა კომუნიკაცია
ბიზნესთან?**

მამუკა ხაზარაძე იყო ერთადერთი ბიზნესმენი, რომელიც 1995 წელს თავად მოვიდა ჩვენთან და გვითხრა – მითხარით, რაში გჭირდებათ ჩემი დახმარებაო და იმის შემდეგ სულ გვერ-

**ლა-სკალასა
და მიუნიენის
კოპულაციი
ბევრი ჩვენი
კურსდამთავრებულია
ნასული. ჩვენი
ბაზარი მთელი
ევროპა და მთელი
მსოფლიო. ჩვენი
მხრივ, ჩვენ
გულისტკივილიც ეს
არის.**

დით გვიდგას. მანამდე მამუკას არ ვიცნობდი, მაშინ გავიცანით ერთმანეთი. 2001 წლიდან შეიქმნა კონსერვატორის „მზრუნველთა საბჭო“ და კონსერვატორის განვითარების ფონდი. ყოველ წელს ივლის-აგვისტოში 24 საათიანი რეჟიმით ვმუშაობდით, რომ სექტემბრისთვის სამუშაოები დაგვემთავრებინა. სართულ-სართულ ვარემონტებდით. რასაც ბიზნესმენები დებდნენ, არ იყო ძალიან დიდი ფული, მაგრამ როცა ერთად გროვდებოდა, სოლიდური თანხა გამოდიოდა. ამავდროულად, სახელმწიფო გვეხ-

მარტოდა – შევარდნაძის პრეზიდენტის პერიოდში კონსერვატორიის დიდი დარბაზის რემონტი სახელმწიფო დააფინანსა. ორი როიალიც მაშინ იყიდეს, ეს უძვირფასესი ქონებაა, თითო როიალი 100 000 ევრო ლირს. მესამე, მოგვიანებით – „ქართუმ“ შეიძინა.

გოგი თოფაძემ ერთხელ მითხრა, ფული ბევრისთვის მიმიცია, მაგრამ ასეთი შედეგი არსად მინახავსო. სექტემბერში, სწავლა სანამ დაიწყებოდა, ბიზნესმენები მოდიოდნენ და ნახულობდნენ, თუ რა გაკეთდა მათი ფულით, თითოეული თეთრი გამჭვირვალე იყო. ისინი ხედავდნენ შედეგს, ვიზიქრობ, ეს ძალიან მნიშვნელოვანი სტიმულია მათგვის.

ცნობილია, რომ კონსერვატორია მუდმივად ატარებს მუსიკალურ კონკურსებს. აქ როგორ მონაწილეობს ბიზნესი?

დღეს მუსიკოს-შემსრულებელთა მეხუთე რესპუბლიკური კონკურსი მიმდინარეობს, მოგხესენებთ, ეს კონკურსი 4 წელიწადში ერთხელ ტარდება და უკვე პირველ კონკურსზე, 1995 წელს გამოჩენილები ბიზნესმენები, რომელიც გვეხმარებოდნენ. 1997 წელს, როცა პიანისტთა საერთაშორისო კონკურსი დავაარსეთ, ბიზნესი იქაც ყველანაირად მხარში გვედგა.

მამუკა ხაზარაძე, პრაქტიკულად, ყველა პროექტში მონაწილეობს, რომელიც კონსერვატორიაში ხორციელდება. მუსიკოს-შემსრულებელთა რესპუბლიკური კონკურსის გენერალური სპონსორი უკვე წლებია, TBC ბანკია. ამას გარდა, სხვადასხვა წლებში კონკურსს ეხმარებოდნენ „ალდაგი“, „ექსპო-ჯორჯია“, იურიდიული ფირმა „ბი-ჯი-ი-აი“, სხვადასხვა ქვეყნების საელჩოები. საელჩოების ჩართულობა ძალიან მნიშვნელოვანია. გვეხმარებიან სასტუმროებიც.



რესპუბლიკურ კონკურსს ოთხ სპეციალობაში ვატარებთ – ფორტე-პიანო, სოლო სიმღერა, ჩასაბარი და სიმებიანი საკრავები და 16 წლამდე განსაკუთრებით ნიჭიერი ბავშვები. არაჩვეულებრივი, გამორჩეული ახალგაზრდები მოდიან კონკურსებზე და ამის შემდეგ მათ საერთაშორისო ასპარეზი ეხსნებათ. ბიზნესმენები ამას ხედავენ და თვითონვე უჩინდებათ სურვილი დაეხმარონ. ყველამ, ვინც რესპუბლიკურ კონკურსში გაიმარჯვა, უკვე საერთაშორისო აღიარება მოიპოვა. რამდენიმეს დავასახელებ – ქეთევან ბადრიძე, ანიტა რაჭველიშვილი, თამარ ლიჩელი, გიორგი გვანცელაძე, ქეთევან ქემოკლიძე. შორს რომ არ წავიდეთ, ლა-სკალასა და მიუნჟენის ჰოპშულებში ბევრი ჩვენი კურსდამთავრებულია წასული. ჩვენი ბაზარი მთელი ევროპა და მთელი მსოფლიო. მეორე მხრივ, ჩემი გულისტყვილიც ეს არის. მინდა, რომ ქართველმა მუსიკოსებმა აქ გააგრძელონ მოღვაწეობა, აქ იყვნენ დამაგრებული და აქედან იარონ მთელ მსოფლიოში.

მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენ ქვეყანას ჯერ არ აქვს იმის შესაძლებლობა, მუსიკოსებს დიდი ჰონორარები უხადოს. მერნმუნეთ, სამუდამოდ წასვლა არავის უნდა და ყველა ტირის, მაგრამ რა ქნან, ხშირად ერთი უცხოეთში წასული მუსიკოსი რამდენიმე ოჯახს არჩენს. თუმცა, მეორე მხრივ, მუსიკოსებს აუცილებლად სჭირდებათ საერთაშორისო ასპარეზი. ჩვენ არა გვაქვს სხვა ენა, ყველანი ერთ, მუსიკის ენაზე ვლაპარაკობთ.

სტიპენდია, დაფინანსებული მარინა ნეიპაუზის მიერ; დღეს არსებობს – პაატა ბურჭულაძის, ლექსო თორაძის, ეთერ ანჯაფარიძის, ნოდარ ანდლუაძის, ელიზაბეტ ლეონიშვილის სტიპენდიები. ფონდი „ქართულ“ ბევრ სტუდენტს უმართავს ხელს. თვითონ კონსერვატორიაც აწესებს სტიპენდიებს – გვაქვს ფალიაშვილის, სარავებიშვილის, სულხანიშვილის სახელმძღვანელოს სტიპენდიები.

როგორ ფიქრობთ, რა არის წარმატების მიზანი?

საქმე გამოდის მაშინ, როდესაც ორივე მხარის ინტერესები თანაბრადაა დაცული. თუმცა, მეორე მხრივ, რა ინტერესი უნდა ჰქონდეს ბიზნესს კონსერვატორიაში? უბრალოდ, ეს მათი ქველმოქმედებაა, სწორი პოლიტიკაა, ქართულ საქმეს ეხმარებიან, ესმით კულტურული ღირებულებები. რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანია ისიც, რომ ბიზნესმენებს ეს ყველაფერი სწორად მიაწოდონ და შემდეგ მათ შედეგი დაინახონ.

„ბავშვი და გარემო“

90-იანი წლების ომებსა და კრიზისს საქართველოსთვის მანამდე უჩვეულო მოვლენა მოჰყვა თან – თბილისის ქუჩებში მიუსაფარი ბავშვები გაჩნდნენ. ქუჩის ბავშვები, ასე მოვიხესენიებთ მათ და მიუხედავად იმისა, რომ დღეს ამ ბავშვებზე სახელმწიფო და არასამთავრობო ორგანიზაციები ზრუნავენ, უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში უსახლეს ბავშვების რიცხვი მატულობს – საქართველოს დიდ ქალაქებში, სხვადასხვა ადგილებში მათ დღეს ხშირად შეხვდებით...

ნანა იაშვილი არასამთავრობო ორგანიზაცია „ბავშვი და გარემოს“ დამფუძნებელია. ორგანიზაცია მეგობრებთან ერთად 1995 წელს დაარსა. მანამდე ორი წლის განმავლობაში ნანა და მისი თანამოაზრები როგორც მოხალისეები, ისე დადიოდნენ ამ ბავშვებთან – პარკებში, ბაღებში, მეტროსა და რკინიგზის სადგურებში მიდიოდნენ, საკვებითა და თბილი ტანსაცმლით ამარაგებდნენ, ასწავლიდნენ წერაკითხვას, უზრალოდ, ესაუბრებოდნენ. როცა დაინახეს, რომ მათ ქალაქში, მათ გვერდით იყო დიდი და მტკიცნეული პრობლემა, გადაწყვიტეს, რაღაც გაეკეთებინათ. ხშირად, მათი ენთუზიაზმი გაუგებარი იყო გარშემომყოფებისთვის, თუმცა, მაშინ, ბენელსა და ცივ 90-იანებში ისეც ხდებოდა, რომ მოქალაქეებს ქუჩაში მყოფი ბავშვებისთვის საჭმელი მიჰქონდათ. „ალბათ, დღეს ადამიანები უფრო გულგრილები გახდნენ, ამას აღარ აკეთებენ“ – ამბობს ნანა.

ნანა იაშვილმა და მისმა თანამოაზრებმა 1997 წელს OXFAM-ის ფინანსური დახმარებით შეძლეს დაერსებინათ სადლელამისო ცენტრი „ბელურები“, სადაც უსახლეს ბავშვები დღისითაც იღებდნენ შესაბამის სერვისებს და ღამესაც ათევდნენ. თუმცა, ერთი დაწესებულება,

ცხადია, უერ აუდიოდა ამდენ ბავშვს – მათი რიცხვი ისევ მატულობდა. ამიტომაც, ორგანიზაცია ნელ-ნელა ფართოვდებოდა, დაარსდა ცენტრები ჭიათურაში, რუსთავში, მარნეულში, ლანჩხუთში, გაფართოვდა მათი მუშაობის სფერო – დღეს არა მხოლოდ ქუჩაში მყოფ ბავშვებს ეხმარებიან, არამედ, იმათაც, ვინც სოციალურად დაუცველი ოჯახებიდანაა; აქვთ დღის ცენტრები შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებისთვის, სადაც ხორციელდება სარეასტირაცია და მოეძიებინა თანხები შენობის გასარემონტებლად. მას მანამდეც ჰქონდა საქველმოქმედო საღამოების მოწყობის გამოცდილება – 1996 წლიდან მართავდნენ სხვადასხვა ღონისძიებას, სადაც ეპატიური დონორ იმუნიზაციებს, ბიზნეს კომპანიებს, მერე, რაღაც პერიოდში წყვეტა ჰქონდათ და ორი წელია, ეს საქმიანობა ისევ განაახლეს. შარშან კონსულტაციის და ტრენინგის ცენტრმა CTC-მ, კონკურსი გამოაცხადა ფონდების მოძიებაზე და სხვა ორ ორგანიზაციასთან ერთად „ბავშვმა და გარემომაც“ მოიგო ეს გრანტი. ამ თანხით მოახერხეს „ქორთიარდ მარიოტში“ ღონისძიების მოწყობა, შემოსული თანხები კი სხვადასხვა პროგრამებზე გადაანაწილეს.

**ბავშვებს,
რომელიც ეუჩაში
აღმოჩენის,
საზოგადოებაში
იჩიებრაციისთვის
და ტრავების
ბასამკლავებლად
უამრავი სახის
დახმარება
და სერვისები
სფირდებათ.**

ბილიტაციონ პროგრამები; მუშაობენ ბავშვთა უფლებების დაცვაზე. „ბავშვი და გარემო“ ბოლო დრომდე უცხოური დონორების ფინანსური მხარდაჭერით არსებობდა. ბოლო წლებია, სახელმწიფო ჩატარება და დღეს ორგანიზაციის ცენტრების უმეტესობა სახელმწიფოსან ფინანსდება, მაგრამ ეს ფული იმდენია, რომ საარსებოდაც გაჭირვებით ყოფნით. ბავშვებს, რომლებიც ქუჩაში აღმოჩნდნენ, საზოგადოებაში ინტეგრაციისთვის და ტრავებისთან გასამკლავებლად უამრავი სახის დახმარება და სერვისები სჭირდებათ.

ქალაქის მერიამ „ბავშვსა და გარემოს“ აბასთუმნის ქუჩაზე საკმაოდ დიდი შენობა გადასცა, სადაც უნდა განთავსდეს სადლელამისო ცენტრი მიუსაფარი ბავშვებისათვის და ინკლუზიური საბავშვო ბალი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისთვის. შენობა სარემონტოა, თუმცა, დღეს იქ ბავშვები მაინც ცხოვრობენ, რადგან წასასვლელი არსად აქვთ. ნანა იაშვილმა გადაწყვიტა საქველმოქმედო საღამო გაემართა და ისე მოეძიებინა თანხები შენობის გასარემონტებლად. მას მანამდეც ჰქონდა საქველმოქმედო საღამოების მოწყობის გამოცდილება – 1996 წლიდან მართავდნენ სხვადასხვა ღონისძიებას, სადაც ეპატიური დონორ იმუნიზაციებს, ბიზნეს კომპანიებს, მერე, რაღაც პერიოდში წყვეტა ჰქონდათ და ორი წელია, ეს საქმიანობა ისევ განაახლეს. შარშან კონსულტაციის და ტრენინგის ცენტრმა CTC-მ, კონკურსი გამოაცხადა ფონდების მოძიებაზე და სხვა ორ ორგანიზაციასთან ერთად „ბავშვმა და გარემომაც“ მოიგო ეს გრანტი. ამ თანხით მოახერხეს „ქორთიარდ მარიოტში“ ღონისძიების მოწყობა, შემოსული თანხები კი სხვადასხვა პროგრამებზე გადაანაწილეს.

ნანა იაშვილი ამბობს, რომ წელს CTC-მ თანამშრომლების მიერ შეგროვილი ფული, 3000 ლარი გადასცა ორგანიზაციას და სწორედ ამ თანხით შეძლეს 18 მარტს საქველმოქმედო ღონისძიების გამართვა. მათ „მზრუნველთა საბჭოც“ ეხმარება, სადაც აქ მომუშავე საერთაშორისო ორგანიზაციების თანამშრომლები ან საელჩოების თანამშრომელთა მეუღლები არიან გაერთიანებული, ძირითადად, უცხოელი ქალბატონები. სწორედ მათი საშუალებით დაუკავშირდნენ ბიზნესკომპანიებს. ღონისძიების გენერალური სპონსორი

„ომეგა“ იყო, საქველმოქმედო საღამო კომპანია „ბაგრატიონი 1884-ის“ დარბაზში მოეწყო, 256 სტუმარი მოიწვიეს, ბილეთები გაყიდეს და აუქციონი მოაწყვეს. ყველა ნივთი, რაც აუქციონზე გაიყიდა, ქართველი მხატვრების შემონიულობა იყო. საღამოზე საკმაოდ სოლიდური თანა მოაგროვეს, რომელიც, მართალია, შენობის მთლიანად გასარემონტებლად არ არის საკმარისი, მაგრამ სამუშაოების რაღაც ნაწილს ნამდვილად ეყოფა.

საქველმოქმედო საღამოები ყველაზე ეფექტურიანი გზაა ქართული ბიზნესისგან თანხების მოსაპოვებლად. მათ უამრავი მცდელობა პქონიათ დაეინტერესებინათ ბიზნესმენები უსახლკარო და სოციალურად დაუცველი ბავშვების პრობლემებით, მისულან, პროექტებიც წარუდგენიათ, მაგრამ ბიზნესის მონაწილეობა, როგორც წესი, ძალიან ფრაგმენტული იყო. „შეიძლება, ერთჯერადად დაგვხმარებოდნენ, მაგრამ მცირედი იყო ეს დახმარება. ერთადერთი „საქართველოს ბანება“ უყიდა ბავშვებს რუსთავში სახლი და გაურემონტა. ბანების თანამშრომლებმა ყველაფერი დიდი სიყვარულით გააკეთეს, თვითონ შეკერეს და ჩამოკიდეს ფარდები, სახლის მორთვაში მიიღეს მონაწილეობა და ვფიქრობ, თავადაც კმაყოფილები დარჩნენ“, – ამბობს ნანა იაშვილი.

ორგანიზაცია „ბავშვი და გარემო“ დღეს ერთი მტკიცნეული პრობლემის წინაშე დგას. მათ წლების განმავლობაში პქონდათ მობილური სამსახური, ეს იყო დამაკავშირებელი რგოლი ქუჩასა ცენტრებს შორის. 2008 წლიდან, დაფინანსების არარსებობის გამო, მობილური სამსახური აღარ მუშაობს. ეს იყო პედაგოგი, სოციალური მუშაკი და ფსიქოლოგი, რომლებიც მთელ თბილისში აკონტროლებდნენ სიტუაციას. იცოდნენ, როდის და სად გროვდებოდნენ ბავშვები, მიდიოდნენ მათთან, ესაუბრებოდნენ, იმსახურებდნენ მათ ნდობას. პირველი შეხება ბავშვებთან სწორედ მათი მეშვეობით ხდებოდა. „ის, რომ წლების განმავლო-

ბაში უსახლკარო ბავშვები ქუჩაში, დღევანდელთან შედარებით, ცოტანი იყვნენ, ჩვენი პროგრამის დამსახურებაა, – ამბობს ნანა იაშვილი, – იმ პროგრამისა, რომელსაც UASAD და Save the children აფინანსებდა ექვსი წლის განმავლობაში. ამ ყველაფერმა რაღაც გარკვეული ფონი შექმნა,

ქუჩიდან ბავშვები ჩვენს ცენტრებში ხვდებოდნენ და გარეთ აღარ ჩანდნენ. ბოლო ორი-სამი წელია, ისევ ბევრი ბავშვი გაჩნდა ქუჩაში, მობილური სამსახურის არარსებობის გამო ჩვენ დღეს ისე წარმატებით ვეღარ ვმუშაობთ, როგორც ადრე“.



ასულთა ქვეყანა

ავტორი: ანა კორძაბა-სამალაშვილი



გოგომ ზურგჩანთიდან საჩუქრების ამოლაგება დაიწყო: ნიჟარები, მება-დურის შარვლები და უცებ – სქელ-ტანიანი ნიგნი, გამოცდილი მოგზაურის ჩანთისთვის მეტისმეტად მძიმე, და ჩემი მეგობრის შეძლება რომ ვიცი, მეტისმეტად ძვირი: „ასულთა ქვეყანა: ბავშვობა მოსოებთან, სადაც ქვეყანა ქალებისაა“.

„სასტუმროს ბიბლიოთეკიდან ნა-მოვიღე“, – ამიხსნა გოგომ.

გარეკანზე ულამაზესი ქალი იყო გამოსახული. მე ფოტომოდელი მე-

გონა. ავტორი ყოფილა.

გოგომ მითხრა, რომ ნავიკითხე, გავგიუდი, და შენც გაგიუდებიო. როგორც სელინჯერთანაა, ავტორთან დარეკვა მომინდა და აი, ნახავ შენც მოგინდება, ოღონდ უჩემოდ არ დაურეკო, ერთად დაეურეკოთ. ზუსტად ვიცი, ეს მწერალი დააო.

ნიგნის ავტორია იან ერჩე ნამუ. უფრო სწორად, ამბავს იან ერჩე ნამუ ჰყება, მოყოლილი ამბავი ანთროპოლოგმა კრისტინა მატიემ ჩაინტერა. შესანიშნავი ამბავია, შესანიშნავად

დაწერილი. ჩემი გოგო მართალი იყო: ნავიკითხე და გავგიუდი, და ამიტომ ვერც იმას ვამტყუნებ დიდად, ვანც ნიგნი ამნაპნა. „ასულთა ქვეყანა“ მეტისმეტად დიდი ცდუნებაა, თან, შეიძლება, პირველ გვერდზე რომ ეწერა, თუ სხვა ნიგნს დატოვებ, ეს ნაიღეო, დაიჯერა. სანაცვლოდ არაფერი დაუტოვებია, მაგრამ მაინც.

იან ერჩე ნამუსთან ჯერ არ დაგვირევაგს და არც მიგვიწერია, მაგრამ ამას მაინც ვიზამთ. მანამდე კი გიამბობთ იმას, რაც მის შესახებ მისივე

წიგნიდან და შემდეგ სხვა წიგნებიდან გაციგე.

იან ერჩე ნამუ ლუგუს ტბის პირას, ჰიმალაებში, პატარა სოფელში დაბადებული გოგოა. რომ გაჩნდა, იმდენს ტიროდა, ყველა შეაწუა. როცა ერთმა ქალმა დედამისს სთხოვა, შენ ხომ გოგო ისედაც გყავს, გეხვეწები, ეს მტირალა ჩეს ბიჭში გამიცვალეთ, მთელმა ოჯახმა გაიხარა – დედამ, ბებიამ, დამ. ოლონდ გოგომ ახალ დედასთანაც ისევე იტირა, და ის ქალი კინაღამ შეიშალა, და ბავშვი ლუგუს ტბის ნაპირას, პატარა სოფელში დაბრუნა. ძალიანაც უნდოდა, სახლში გოგო ჰყოლოდა, მაგრამ ეს გოგო, რაღაც, მეტისმეტად აუტანელი იყო.

მოსოების პატარა სოფელი განსაკუთრებული ადგილია. საერთოდ, მოსო განსაკუთრებული ხალხია – მათთან ყველაფერს ქალები განაგებენ. მოსო ქვეყანა ერთი დიდი კომუნაა. სხვანაირად არც გამოვა – მეტისმეტად მკაცრი მიწა.

„ასულთა ქვეყანას“ რომ ვეკითხულოდი, ერთი უფროსი მეგობრის სიტყვები გამახსენდა, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში უსასტიკეს ჩრდილოეთში ცხოვრობდა. მან მიამბო, რომ იქ ჩასულები ძალიან ხშირად გიუდებიან, თუ ძილი არ იციან ან საკუთარი თავი ებრალებათ ხოლმე. აქაც მსგავსი ვითარებაა, ოლონდ მოსოდ ყოფნა გადარჩენისთვის ბრძოლა არაა, უბრალოდ, ხალხი ასეთია – ლალი.

დედამიწაზე სულ 30 ათასი მოსოა. ისინი ლუგუს ტბის ირგვლივ ცხოვრობენ, წმინდა მთის, გამუს ძირას, ჩინეთის სამხრეთ-დასავლეთით. მათ საკუთარი რელიგია აქვთ, დაბა – ცოტა შემანური ამბავია, და თითქოს ტიბეტურ ბუდიზმსაც იზიარებენ.

მოსოს მიწაზე მატრიარქატია.

„დედამიწის უკანასკნელი მატრიარქატი“.

მოსო ქალები არ თხოვდებიან. მათ სიცოცხლის განმავლობაში რამდენიმე საყვარელი ჰყავთ, და ამ „წარმავალი კაცების“ შვილები დედის სახლში ჩრებიან.

„სიყვარული“, – ეუბნება ჩეგნს გმირს დედა, – „სახის კანისთვის ძა-

ლიან კარგია“.

ჩეგნი გმირის დედა შესანიშნავი ქალია. მას ცალ ხელში პაპიროსი უჭირავს, მეორეში – კრიალოსანი. სულ ახალგაზრდა, მაგრამ ბრძენი ქალია, და გმირმა ზუსტად იცის, თავის სამშობლოშიც და მერეც, შორეულ მიწაზე, რომ დედამისის დარი არავინაა. სენტიმეტრობა მოსოს არ ახასიათებს – როცა საჭირო ხდება, ის მშვიდად ჰყიდის დედის ერთადერთ საჩუქარს, სამაჯურს, მაგრამ საჩუქრები ხომ სწორედ იმისთვის არსებობს, რომ გვახარებდეს. „დედის სამაჯურზე გაცილებით

მეტია: არაჩვეულებრივი გარეგნობა, ხმა, რომელიც იალადებზე იაკებს ნუსხავდა და თვით ჰიმალაების აღტაცებას იწვევდა – აბა, ასეთ გოგოს რაღაც საკონცერტო დარბაზი როგორ შეაშინებდა?

შესანიშნავი დიალოგი იყო: სცენაზე პირველად გასვლის წინ ჩეგნს გმირს ეკითხებიან, ხომ არ ლელავო. რატომ უნდა ვდელავდეო? აი, სცენაზე რომ უნდა გახვიდეო. გოგო დაიძაბა და იკითხა: რამე უნდა მიქნან? მას უთხრეს, არა, მაგრამ ამდენი ხალხის წინ ხომ უნდა იმღეროო. „რა სასაცილოა“, – იფიქრა გოგომ.

მოსოს გოგოს უამრავი რამ ეწენება სასაცილოდ და, რომ დაუკვირდეთ, მართლა – რა სასაცილოა! ეუბნებიან, რომ ლამაზი ფეხები აქვს – გაგიგონია? ლამაზი ფეხები! ლამაზი შეიძლება იყოს თვალები, თმა, ხელები... „მოწიერ!“ – მოუწოდებდა მრავალი წლის მერე იან ერჩე ნამუ ქალებს თავის წიგნში „თუ ნამუს შეუძლია, ე.ი. შეიძლება“ (ამ წიგნის შესახებ მხოლოდ წამიკითხავს, ხელში არ ჩამგარდნია – ა.კ.ს.), – „მოწიერ და აჩვენეთ ყველას თქვენი შშვენიერი ხუთი თითი!“ ფეხები და ლამაზი? ფეხები იმისთვისაა, რომ გატაროს – და იან ერჩე ნამუს მისი მშვენიერი ფეხები ყველაგან ატარებს, ცხრა მთას იქითაც – ამ სიტყვის (თუ სიტყვების?) სრული მნიშვნელობით.

მოკლედ, „ასულთა ქვეყანა“ ძალიან კარგი წიგნია, მისი გმირი კი – ძალიან კარგი გოგო. ამიტომ სულ არ გამიხარდა მის შესახებ რაღაცების კითხვა – ხალხი შურიანია. ამათ მოსმენას მირჩევნია, ისევ ჩემს მეგობარს დაველოდო, და მერე ერთად დავურევავთ იან ერჩე ნამუს. აუცილებლად დავურევავთ და შევხვდებით, და ძალიან კარგ დროს გავატარებთ და მაგარ ამბებსაც მოვისმენთ. მეც მივხვდი, რომ იან ერჩე ნამუ დაა, და ძალიან გვინდა, ერთად ვიყოთ, ცოტა ხნით მაინც, ჩეგნ და ეს ჩეგნი მოსო და.

ისე, ძვირფასო წიგნის ქურდო, თუ ამას წაიკითხავ, ჩემი „ასულთა ქვეყანა“ დამიბრუნე, რა. სად მაქვს ამ წიგნის გამოსაწერი 66 ევრო...

მოსო ქალები
არ თხოვდებიან.
მათ სიცოცხელის
განმავლობაში
რამდენიმე
საყვარელი ჰყავთ,
და ამ „წარმავალი
კაცების“ შვილები
დედის სახლში
რჩებიან.



ერთი ქალაქის ქალების ამბები

ავტორი: ანა კორძაია-სამალაშვილი



გავიცანი მარტინ სტანკოვსკი. ჩვენს ზურგსუკან იდგა კიოლნის საკათედრო ტაძარი, წინ, როგორც ერთი პოეტი იტყოდა, „მშვიდად მიედინებოდა რაინი“, ბატონი სტანკოვსკი ჰაინრიხ ბიოლის და თავისი ქალაქის შესახებ მიყვებოდა, და მე ძალიან მომწონდა მისი ნაამბობიც და თავად ბატონი სტანკოვსკიც.

ბატონმა სტანკოვსკიმ მითხრა, რომ კიოლნი დიდია, ამიტომ რამდენიმე დღით ჩამოსულს შეიძლება თავგზა ამბინება, და ეს რომ არ მოხდეს, ყველაფერს ნუ მიაწყდები, სულ რამდენიმე ამბავზე გაამახვილეო ყურადღება. ლიტერატურული ფესტივალი – თავისთვად, დანარჩენი კი...

– მაინც, რა? – ვკითხე მე.

– აი, თუნდაც, ქალები, – მომიგო მან.

ქალები ნაკლებად მაინტერესებს.

– რატომ? – გაიკვირვა ბატონმა სტანკოვსკიმ, – აბა, დომზე უნდა დანერო?

არა, არც მიფიქრია.

– მისმინე, – დაიწყო მარტინმა, – აქ, სადაც ახლა ვდგავართ, 1333 წლის 24 ივნისს პეტრარკა იდგა. რაღაც წარმართული დღესასწაული იყო. კი, აქ, ნეინდა კიოლნში...

პეტრარკა იდგა და საოცარ სურათს შესცემოდა:

„მთელი ნაპირი ქალებით იყო სავსე. გავოცდი! მოწყალე უფალო, რა ლამაზი სხეულებია, რა სახეებია, რა კაბებია! ვისი გულიც სხვა ვნებას არ ექნებოდა შეპყრობილი, აქ აუცილებლად იპოვნიდა თავის სიყვარულს. ამაღლებულ ადგილას დავდექი და ყველას ვხდავდი, საზეიმოდ გამოწყობილებს.

ცოცხალი, ვნებიანი ქალები, ზოგი – სურნელოვანი ყვავილების გვირგვინით შემკული, მათ მკლავები თითქმის იდაყვებამდე გაეშიშვლებინათ. მდინარეში ხელებს და თეთრ მკლავებს იძანდნენ და ჩემთვის უცნობ ენაზე რაღაც სიტყვებს ბუტტუტებდნენ, რას ამბობდნენ – არ ვიცი. მითხრეს, რომ ეს უძველესი ადათია, რომ ხალხი დარწმუნებულია – მთელი მომავალი წლის ჭირ-ვარამი ამ დღეს მდინარეს გაჰყვება...“

მაგრამ მშვენიერი კიოლნელი ასულების დიდი ჭირ-ვარამი წინ იყო, და ეს განსაცდელი მამა-რაინის დიდმა წყალმაც ვერ წაილო.

თურმე, 1487 წელს, ინოკენტი VIII განკარგულებით, დომინიკანელმა ბერებმა, ინკვიზიტორებმა იაკობ შპრენგერმა და პაინრის კრამერმა – ამ უკანასკნელს ლათინურად ლამაზი სახელი ერქა: ინსტიტორის, – დაწერეს წიგნი სახელწოდებით *Malleus Malificarum*, იგივე Hexenhammer. თარგმნა ცოტა მიჭირს, ალბათ, „კუდიანების ურო“ გამოვა.

მიუხედავად ბნელი დროისა, წიგნს მოწინააღმდეგები გამოუჩნდნენ, მაგრამ პაპმა კუდიანების რწმენა და, შესაბამისად, დევნა, ძალიან სამართლიან საქმედ გამოაცხადა, რის შემდეგაც Hexenhammer გამოიქვეყნეს – და დაიწყო!

ძალიან ვნანობ, რომ ეს წიგნი წავიკითხე. ყველაფერი მარტინ სტანკოვსკის ბრალია. მან მითხრა, რომ დომინიკანელებს ჰყავდათ საამაყო დომინიკანელი – ალბერტუს მაგნუსი, იგივე „გერმანელი“, იგივე *Doctor universalis*, და სამარცხვინო დომინიკანელი – პაინრის ინსტიტორისი. მეც ვიფიქრე, წავიკითხავ რამეს და მერე ბატონ სტანკოვსკისთან მინერ-მოწერის საბაბი მექნება-მეთქი. რაღა ინსტიტორისი ჩამივარდა ხელში...

მის წიგნს თუ დაუკავერებთ (სხვათა შორის, ეს წიგნი ორასი წლის განმავლობაში 29-ჯერ გამოიცა), ყველა ქალი კუდიანია. ამის დასადგენად საქმარისია, ვრნებმ უჩივლოს, ენატანიები კი, მოგეხსენებათ, არ ილევიან. კუდიანის უტყუარი დასტურია ბრალ-დებულის ქცევის თავისებურებები და

გარეგნობა – ამათ ქვემოთ ჩამოვთვლი და აპა, ენახოთ, ვინ გადარჩება – და ჭორები – ვფიქრობ, ეს პუნქტი შეიძლება უკამენტაროდ დავტოვოთ.

კუდიანობა შემდეგ საქმეებში ვლინდება: კავშირი ეშმაკთან, გაფრენა (გაგიშებაზე კი არა, ნამდვილ ფრენაზეა საუბარი), კუდიანების თავყრილობაზე დასწრება და მოჯადოება, ანუ ჯადოს გაკეთება.

მიუხედავად იმისა, რომ თავად წიგნის ავტორებიც უწყოდნენ, ვინ იყო ყველა უბედურების თავი და თავი, ისინი მას, ცხადია, ვერაფერს აკლებდნენ და ამიტომ კუდიანებს სჯიდნენ, ანუ ქალებს. წიგნის ბოლო ნაწილში, რომლის წაკითხვაც, მერწმუნეთ, ძალიან ძნელია, მოთხოვობილია, თუ როგორ უნდა მოიქცნენ სიწმინდის სადარაჯოზე მდგომინი იმისთვის, რომ წარმატებას მიაღწიონ, ანუ კუდიანი გამოავლინონ და დასაჯონ. კუდიანების დაკითხვის ტექნიკის, „ჩამჭრელი კითხვების“ ჩამონათვალის და მსგავსების გარდა, აღნერილია მათი ნამების ხერხებიც. იაკობ შპრენგერი და პაინრის კრამერი მხოლოდ თეორეტიკოსები არ იყვნენ, ისინი სიტყვას საქმითაც ამტკიცებდნენ.

ჯადოქრებს, კუდიანებს და მსგავსებს მანამდეც ერჩოდნენ და მერეც – სხვადასხვა მონაცემების თანახმად, ამ ბრალდებით სიკვდილმისჯილთა რიცხვი 60-დან 100 ათასამდე მერყეობს. მე მეგონა, რომ მსგავსი პროცესები მხოლოდ ბნელ შუასაუკუნეებში იმართებოდა, მაგრამ თურმე Hexenhammer-ის საფუძველზე ადამიანებს წიგნინის და დეკატის, კანტის და მოცარტის, შილერის და გოეთეს დროსაც წვავდნენ! მოსამართლები მეცნიერები და უნივერსიტეტების პროფესორებიც იყვნენ! ევროპაში კუდიანი ბოლოვარ შვეიცარიაში, 1782 წელს ავიდა კოცონზე!

მარტინ სტანკოვსკიმ მიამბო, რომ ერთ ფრანგ ისტორიკოსს, ჟიულ მიშლებს, დაუნერია წიგნი „კუდიანი და ქალი“, რომელიც დღემდე შთააგონებს ფემინისტური მოძრაობის იდეოლოგებს. მიშლეს ვერსიის თანახმად, კუდიანებთან ბრძოლა ერთგვარი „ქალების პოლოკოსტი“ იყო.

– მართალია, – დასძინა მარტინმა, – ჯადოქრობაში ბრალდებულთა, დაახლოებით, მესამედს მამაკაცები შეადგენენ, ხოლო ბრალდებულები, თუ დაბეზღულები, თუ მოწმეები, უმეტესად, ქალები იყვნენ.

აღარ მინდა აღარც კუდიანები, აღარც დომინიკანელები. აღარ ვარ კარგად. საერთოდ, მოდი, რაინს გაუყვეთ და რამე კარგი ვთქვათ, კარგი, მარტინ სტანკოვსკი?

ცნობისთვის:

Hexenhammer-ის თანახმად, კუდიანია ყველა, ვინც

ეკლესიაში იშვიათად ან ხშირად დადის;

დაკითხვისას წარბშეუხრელად დგას ან თავს იცავს;

ჭექა-ქუხილის დროს ყანაში იყო;

უკვე გამოვლენილი კუდიანის ნათესავი ან მეგობარია;

ბალას ან ყვავილებს კრეფდა; სამშობლო არ გააჩნია;

ცუდი სახელი აქვს: შვილები ხშირად ავადმყოფობენ, ქმარს უგუნებობა სწევევია და მსგავსები;

კუდიანს ჰქავს, ანუ არის უდალი, ცალი თვალი გაურბის, სხვადასხვა ფერის თვალები აქვს, ცაციაა, მეტის-მეტად ლამაზია, მეტისმეტად უშნოა, არაფრით გამოირჩევა, და ა.შ.;


მოხუცია;

სხეულზე ზოგ ადგილას მგრძნობელია არა აქვს – stigma diabolicum. ადვილი შესამონმებელია – გაუყრინებულის, და თუ აყვირდება, მეორეგან გაუყრი, თუ კიდევ იყვირებს – მესამეტან და ასე. საბოლოოდ, ცხადია, ვეღარ იყვირებს, კუდიანი;

ცრემლი არ სდის;

ძალიან გამზდარია. ასეთი ქალის დაკითხვა ყველაზე იოლია: ვინაიდან ცრობილია, რომ კუდიანები არ იძირებიან, გამზდარ ქალს წყალში ჩააგდეს. თუ დაიხრჩო, არ ყოფილა კუდიანი, ღმერთმა აცხონოს, ხოლო თუ არ დაიხრიო...

დავიჯერო, არცერთი პუნქტი არ შეგხებოთ? ცხადია, ქალებს მივმართავ, მხოლოდ ქალებს.



ტბა

ავტორი: ანა ერმანასა-სამალაშვილი



ნინა შნაიდერს არაფერი დაუჯერება. ვთხოვე, რამე სახალისო წიგნი ჩამომიტანე-მეტექი და პრუსტი ჩამომიტანა. კი-ნაღამ მოვკალი. მეორედ ჭუუა ისნავლა: ისეთი იყო „ჩრდილოეთის ქარს ერვეა“, რომ სავარჯიშო დარბაზში, ველოსიპე-დზე მჯდომარე ბოლომდე წავიკითხე და რამდენიმე დღე საერთოდ ვერ ვინძრეოდი, და ახლაც სადღაც ხეტიალობს ჩემი წიგნი, და ხანდახან ხმა მომდის, ვინც კი წაიკითხა, ყველას ძალიან მოსწონსო. მაგრამ ეს სხვა წიგნია, სხვა ამბავია.

მე ნინას მესამე საჩქარზე გიამბობთ. „მოცურავე“, ჟუჟა ბანკ. მე მგონი, ასე ჰქვია, ყოველ შემთხვევაში, მე ასე ვკი-თხელობ. ქალი უნგრელია. ოდესაც სლავისტს, მასწავლეს, რომ უნგრუ-ლი ეკუთხის ფინნო-უგორская групера языков-ს, და ისეთი დაჩაგრული, რო-გორიც უნგრეთსა და ესტონეთში ვიყა-ვი, მეტი არსად ვყოფილვარ. უნგრეთს რა უშავდა, გერმანული ეყურებოდათ – ოდესაც იმპერიის სიყვარულით, – ესტონელებს კი 90-იანებში ყველა ენა სძულდათ, ისევე, როგორც ჩემი შავი თმა. მე იმ ენებისა, რომლებიც ფინნო-უგორская групера языков-ს მიეკუთვნება, არაფერი გამეგება. მაგრამ ესეც სხვა ამბავია.

იმას მოგახსენებდით, რომ ავტორის სახელიც ვერ წამიკითხავს წესიერად, და 50-60-იანი წლების უნგრეთისა ხომ საერთოდ არაფერი ვიცოდი. და უცებ – „მოცურავე“. არაჩეულებრივი წიგნი. ამბად დიდი არაფერი ამბავია. დედას ვინ არ მიუტოვებია. კუშტი მამა ვის არ ჰყოლია. უმცროსი ძმის გამო ვინ არ დელავს. ვის არ უნდა სახლში ყოფნა. კარგი. გავიგეთ. მერე?

ჟუჟა ბანკი ისე წერს, რომ, მეო-რეკლასელივით, ათას მიზეზს ვეძებდი, ოლონდ კი რომანი არ დამემთავრებინა და ეს სიხარული გამეწელა, გამეწელა. ის, რასაც მე ვგრძნობდი, დაწერა ჟუ-ბერტ შპიგელმა – წარმოდგენა არა მაქს, ვნანა – და მე ცოტა ვიდარდე, რომ ამ სიტყვების მოძრვა ვერ შევეძე-ლი: „ჟუჟა ბანკის რომანი რას შევადა-რო, არცკი ვიცი. ის ჰგავს უქარო ღამით ტბის ნაპირამდე მოსული ტალღების ხმას, ისეთი მშეიდია, ისეთი წყნარი, რომ გინდა, საათობით უსმინონ და ისიც კი დაგავიწყდება, რომ, რასაც გიყვე-ბიან, ტრაგედიაა.“

„მოცურავე“ ტრაგედიაა. დიდი ოცნე-ბებია და დიდი სევდა – და-ძმა და მათი მამა უმიზნოდ მოგ ბაურობენ, შეუძლე-ბელ ბედნიერებას დასდევენ.

400-მდე გვერდზე ავტორი თითოეულ აზაცს ისე ამთავრებს, როგორც თამა-მად შეეძლო, მთელი რომანი დაემთა-ვრებინა. ცოტა სიგიურა – მორჩა, მა-გრამ კიდევ გინდა, სულ გინდა. კიდევ, კიდევ...

ახლა მეც თუ რამე დამეკარგება ხოლმე, ვამბობ, რომ იშტიმ წაიღო. თუ გაუგრძარი ჭრიალია – ეი, იშტის რატომ არ სძინავს? და ძალიან ველი ზაფხულს, იმიტომ, რომ აქამდე ტბა არ მიყვარდა, ახლა კი ვიცი, რომ ტბა ძალიან კარგია, და ერთად შეცურავთ ტბაში, მე და იმტი, ყველაზე მაგარი მოცურავე ბიჭი. „მოცურავე“. ეს რა იყო.

ნინა შნაიდერი ახლა ნიგერიაშია და არაფერს მწერს. როცა „მოცურავეს“ ვკითხულობდი, ყოველდღე წერილებს ვუგზავნიდი, მგონი, მთელი წიგნის ში-ნაარსი ვუმბე – ვითომ ისე არ იცის... ვინ გიპასუხა! ეტყობა, ძალიან ძეგნიე-რია და წერისოთვის არ სცხელა.

ნეტა, სულ ასე იყოს. ნინა ძალიან კარ-გი გოგოა და ეკუთხნის. მაგრამ მე მაინც იმედი მაქს, რომ თავის დიდ ბედნიერე-ბასთან ერთად ისევ მოვა ჩემთან და კი-დევ რამე გიურ წიგნს ჩამომიტანს. არა პრუსტს და „ჩრდილოეთის ქარს“, არა-მედ „მოცურავისთან“ სიგიურეს.

ქავე
მარჯანიშვილი
სახელობის
სახელმწიფო
დრამატული **თეატრი**



მიმდინარე

აკა მორჩილაძე

რეჟისორი დავით საყვარელიძე



ქართული ავანგარდი 1910-20

ავტორი: ნინო ჩიმაკაძე


1913 წელს 21 წლის კირილ ზდანევიჩი პარიზში მიემგზავრება. ის ბინას მონპარნასზე, კაფე „როტონდის“ მასლობლად ქირაობს, რომლის ხშირი სტუმრები პიკასო, მოდილიანი, შაგალი და სხვა ცნობილი მხატვრები არიან. კირილი უკრაინელი ნარმოშობის ავანგარდისტი სკულპტორის, ალექსანდრე არხიერების სახელოსნოში ინყებს მუშაობას და ცოტა ხანში პერსონალურ გამოფენასაც მართავს. ახალგაზრდა მხატვრის ნამუშევრებს პიკასოც ნახულობს, შეფასებისთვის კი კედელზე ასეთ ნარწერას ტოვებს „5+ პიკასო“.

კირილ ზდანევიჩის შემთხვევა გამო-

ნაკლისი არ ყოფილა. მეოცე საუკუნის 10-20-იანი ქართული კულტურის ისტორიაში გამორჩეულად საინტერესო პერიოდია: ალბათ, ერთადერთი უპოქა, როცა ქართული ხელოვნების განვითარება თითქმის ყველა მიმართულებით ევროპის თანადროულად მიმდინარეობს. მხატვრობა, კინო, ლიტერატურა, მუსიკა – მსოფლიო მასშტაბის შედევრები ყველა სფეროში იქმნება. ინოვაციური იდეებით, სტილისტური დახვეწილობით და თვითმყოფადობით გამორჩეული ქართველი არტისტები ხშირად ექცევანენ ევროპელი სახელოვნებოს წრეების ყურადღების ცენტრში.

დავით კაკაბაძის წერილები ევროპულ გამოცემებში, მსოფლიოში აღიარებული მხატვრების წერილების გვერდით იძექდებოდა. ილა ზდანევიჩი კი მაქს ერნსტთან, უორუ ბრაკტან და პიკასოსთან თანამშრომლობდა. მარსელ დუშამპი გუგენჰაიმის მუზეუმში გამოსაფენად ევროპელი არტისტების საუკეთესო ნამუშევრებთან ერთად დავით კაკაბაძის 160 ნამუშევარი აარჩია.

გამოფენა, რომელიც გასულ თვეში ლიტერატურის მუზეუმში გაიხსნა, სწორედ ამ პერიოდის ქართულ ხელოვნებას ასახავს. დავით კაკაბაძის, ზდანევიჩის, პეტრე ოცხელის, ლადო გუდიაშვილის



მრავალი გამოჩენისთვის, კახე გასა, ვ. ზოლარი, რუსთაველის თაულის სახ. მაზუმა
ტარალის ქირის, თანამდებობის 1922.

და სხვა ავთნგარდისტი არტისტების ფერწერულ და გრაფიკულ ნამუშევრებ-თან ერთად აქ 10-იანი და 20 იანი წლების გამოცემების და წიგნების პრინციპიცაა წარმოდგენილი. ცალკე ოთახი ეთმობა კინოს: მიხეილ კალატოზიშვილის, კოტე მიქაელიძის და მიხეილ ჭავჭავაძის ადრეული ნამუშევრები აქ ვიდეოინსტა-ლაციის სახითაა წარმოდგენილი.

მოდერნიზმის ეპოქაში მოღვაწე ქარ-თველი არტისტები თავს ფუტურისტე-ბს უწოდებდნენ. ტერმინები: დადა და ავაგნარდი მაშინ აქ ჯერ კიდევ არ იყო დამკვიდრებული. საინტერესოა, რომ დადაიზმის კონცეფცია საქართველოში

პირველად ლადო გუდაშვილმა შემოი-ტანა. 1919 წელს პარაზში მოგზაურო-ბისას მან კირილ ზდანევიჩს წერილი გამოუგზავნა, სადაც აღნიშნავდა: „ის რასაც ჩვენ ვაკეთებთ, ძალიან ახლოსაა დადაიზმთან“.


ნაწყვეტი ქართველი ფუტურისტების მანიფესტიდან: „უარვყოფთ წარსულს, რადგან იგი არის სამლოცველო ბებრე-ბის და მომაკვდავების. საუკუნეებით იცქირებოდნენ უკან და საუკუნობითვე დარჩა საქართველო მომავლის გარეშე. ქართული პოეზიის დამახასიათებელი თვისება იქნება გაქანება, სითამარე და ამბოხება. ქართული სული არასდროს

არ იყო დატვირთული ცრემლებით. ჩვენ ვიწამეთ სიტყვა დინამიკური, ქეზაფი-ვით რომ სწვავს საოპერაციო სხეულს, საქართველო იყო სწრაფი და ფხზელი.

იგი მომავალში უნდა მიჰქეროდეს ელექტრონთან ერთად.“

ნიკოლოზ თავდგირიძე, აკაკი ბელიაშ-ვილი, დავით გაჩეჩილაძე, ბესარიონ ჟლენტი, სიმონ ჩიქოვანი, გრიგოლ ორაგველიძე, პოლ ნოზაძე, ალექსანდრე გაბესვირია, მზა ერისთავი.


გრაფიკული გამოცემის, გრაფიკულის გამოცემის „საქონლის“ სახელმწიფო 2026 წლის 1920-იანი წლები.




10




პირველი ზოგადობის, ვასილ კამენსკის ნიმუშის ჩატარების ვოდა ზოგადი
გფიცის 1918



ლეონ ბაკსიაშვილი, პოისტრიტი, ქალაქი, აკვარელი, თაგილის 1933,
კორე მარჯანიშვილის სახელმწის თააზრის კოლექცია



Ուսուա ԿԸՆԵՑՈՒՅՈ, ԿՑԱ ՈԱՅԹՅՈ, ԱՐՅՈՒՆԵՄԱՆ ՇԱԺԱԿԵՄԱՆ ԵՈՒՅՈ, 41°, ԾԳՈՌՈՒՅՈ 1920




Ուռա ԽԸՆԿՅՈՒԹ, ԿԸՆ ՈԱՅՐՈՒ, ԱՐՑՈՒՏՅԱՆ ՇԱԾԱԾՄԱԿՈ ԵՈՑԵՈ, 41⁰, ԾՊՈԼՍՈՆ 1920




დავით კაპაბაძე, HUE, ფოტოგრაფია, კარიზი 1920, თემურ საავას არქივიდან



ირაკლი გამრევალი, ჟამლები, შეძლირი, რუსთაველის თეატრი 1925,
თბილისის ქიოხს, თეატრისა და მუსიკის სახ. მაზრაში



მიხეილ კალატოზიშვილი, ფოთოგრაფია, ურნალიდან „მემარსხვეობა“, თბილის 1928, N 2




კაზიმირ მალევიჩი, ყოჩალი ჯარისკაცი ზვეიკი, კალალი, აკვარელი,
თარიღი 1931, თეატრის, მუსიკის, კინოსა და კორეოგრაფიის სახ. მუზეუმი



კუზმა პეტროვ-ვოდკინი, გალაზელი ფურცელი ფურცელი, კალალი, გ. გ. გ., კვაკალი.
გულისი, 1920 წელი, ფაზანი კალაზის კოლექციისა




ელ ლისციქი, სოციალისტი სა ფა,
არტისტული და დამსახური ნიზნი, კარიზი 1923



კურტ ფლიდ ფლიდი ბრაუნი ვასნ კაბენტის ნიმუში ნიმუში „კუნგავებოւნ კომისა“, გთლიუ 1918





ფოტო ქირილ ზლავევიჩის აირველი გამოფენიდან ტფილისის სამხატვრო გალერეაში, 1918



აისეკილ ასაუნიელის ფოთოგრაფია. ბერლინი, 1923 წელი

სუბსტროექტი

ლავით კაკაბაძე, რამილაშვილ ლეიხვაზით და საჩუქარით, ნე, გან, ლილონი, სარკვ, ჟავოვას, კარიზმა 1924, სასალოვალოს ეროვნული მუზეუმი





ქიმიკ ზენოვიკი, ფუტურისტები, ამხედვების ენიჭი, ქადაგი, ტურ, აკადემი, 1918 წელი,
მაგისტრი აშანია კოსტანტინე, პირველი გამოფენა საქართველოში პირველი ფონების
სახელმწიფო ძარღუში სიცირკაზე სახელმწიფო მუზეუმში მუზეუმში

veluri xili

ანუ ჯო დასტინგური მოგახსენები, რომ

ავტორი: მამუკა ლეკიაშვილი

ორივე ანდროს, ლეკიაშვილს

(თავი წიგნიდან: „დასტინგერობა საქართველოსა და დანარჩენ მსოფლიოში“)

„ნებისმიერ ტექსტში ენის ექვსი ფუნქციიდან ერთ-ერთი დომინირებს“
რომან იაკოპსონი

„ყოფიერება დროა“
მარტინ ჰაიდეგერი

„ნილსი დამატებითობას ბუნების აღწერის უმთავრეს დამახასიათებელ ნიშნად თვლიდა“
ვილერ ჰაიზენბერგი

„მე კეთება შემიპყრობს ხოლმე და არა ნაკეთობა“
პველი ხელოსანი

„ჯო დასტინგერი გისმენთ“
მამუკა ლეკიაშვილი

„ორ რამეს არ ეშველება ამქვეყნად არაფერი, სიკვდილსა და უნიჭობას“
სალეში

„ქრისტეა დასტინგერი“?
ხეილი ნინო

ა. იყო და არა იყო რა

პოეტურ ტექსტში, განსაკუთრებით ლექსში, უფრო მეტადაა ენა თავ-მოყრილი და შეკრებილი, ვიდრე სხვა რომელიმე სახის ტექსტში, როგორც მჭიდროდ ნაქსოვში მეტი ძაფია, ვი-დრე ხალვათად ნაქსოვში. ლექსში ენა თითქოს შედედებულია, ლექსი შედე-დებული ენაა.

ამიტომ თუ ასდის ასე ხშირად ნამდ-ვილ პოეზიას სიკვდილის სუნი; თვით-მარქვია პოეტები კი მათთვის დამა-ხასიათებელი სენტიმენტალურობითა და მაღალფარდოვნებით ცდილობენ მის იმიტაციას, რადგან გუმანით ხე-დებიან, რომ ასე უფრო გაუადვილ-დებათ პოეზიის გადამყითხველთა გუნდის გაცურება და ზოგჯერ, თუ ძალიან გაუმრთლათ, საკუთარი თა-ვის დარწმუნებაც იმაში, რომ არიან ნამდვილი პოეტები. თორემ, წყალი არ გაუვა, მართლა წამკითხველთან, ანუ ნამდვილ მკითხველთან, მათ არაფერი გაუვათ.

ყველი ენა არის უნიკალური მა-სალა, ყველა სხვა ენისგან, ენა-მასა-ლისგან განსხვავებული. ლექსში ამ მასალის შედედება, თავმოყრა-კონ-ცენტრაცია ხდება. ამიტომ ლექსის თარგმნისას, საუკეთესო შემთხვევაში, შეიძლება გამოინახოს ენის თავმოყრის მსგავსი წესი, სტრუქტურა, ყალიბი. მაგრამ მსგავს ყალიბში მოექცევა სხვა მასალა, ანუ სხვა ენა. ასე რომ, უდა-ვოდ შეუძლებელია პოეზიის თარგმნა, შეუძლებელია პრინციპულად, მეტიც, ონტოლოგიურად.

პოეტურ ტექსტში, განსაკუთრებით ლექსში ენას სხვა გემო აქვს, თვითონ ენის გემო. ამით განირჩევა ერთმა-ნეთისგან ნამდვილი ლექსი და ყალბი ლექსი, ხოლო მათი გარჩევის უნარის მიხედვით – პოეზიის კარგი მკითხვე-ლი და ცუდი მკითხველი. კარგი მკი-თხველი იმისთვის კითხულობს ლექსს, რომ გემო გაუსინჯოს და გაუგოს ენას, რადგან ნამდვილ ლექსს, როგორც ვთქვი, ენის გემო აქვს, ხოლო ყალბ ლექსს – განცდების, აზრების, კეთი-ლხმოვნების, ან, რაც განსაკუთრებით გავრცელებულია, პოეტურობის გემო.

პოეტურობა კი ისაა, რაც დაკანონე-ბული და, რა თქმა უნდა, პრიმიტიუ-

ლი შაბლონურობისა და ბანალურობის ნიადაგში ღვივდება; ხოლო შემდეგ ერთნაირად წარმართავს როგორც წე-რას, ასევე კითხვასა და წაკითხულის აღქმას, გაგება-შეფასებას. სათანა-დოდ მოუხეშავი შედარება რომ მო-ვიშველით, პოეტურობა ისევე შორ-საა ნამდვილი პოეზიისგან, როგორც ყვითლად შელებილი თუჯი ბაჯალობ იქროსგან.

კარგი მკითხველი ლექსში აგემო-ვნებს ენას, რომელიც ყოველ კარგ ლექსში ახალია, გაუცევეთლია. და-გემოვნება კი გულისხმობს ადეკვა-ტური გემოვნებით აღქმას, გაგებასა და შეფასებას. ხოლო ცუდი, მდარე, ანუ მდაბიო მკითხველი ლექსში ექცებს და პოულობს სენტიმენტებს, იდეებს, პოეტურობას, პრიმიტიული აგზნების სპეციფიკურ წყაროს, რასაც, ნათე-ლია, მხოლოდ ყალბ ლექსებში შეიძ-ლება გადაყაროს.

ქართულ პოეზიაში გამორჩეუ-ლად ყალბი და სახელგანთქმულია გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედება. ხოლო პოეზიის ყველაზე ცუდი, მდა-რე და მდაბიო მკითხველები ისინი არიან, ვისაც ეს შემოქმედება არათუ გულს არ ურევს, არამედ მოსწონს და უყვარს კიდეც.

თუმცა არამარტო ასეთებს მოსწონთ, არამედ ფარჩაკებასაც, რომ-ლებიც ვერასოდეს გაბედავენ, რომ აღტაცებული არ იყვნენ იმით, რის მონონებასაც მათ ჩვენი საზოგადოე-ბის ტრადიციული პროვინციალიზმი ავალებს. მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ გალაკტიონის მომწონებელთა შო-რის ნამდვილად ერთა ერთი-ორი მე-ითხველი, ვინც მის შემოქმედებას მხო-ლოდ იმიტომ აპრიმავებინებდა თავს, რომ მშობლიურ ენაზე შეთხული ლე-ქსებით მოგვრილი აღტაცების განცდა სწყუროდა. თანაც, ნუ დაგვავინწყდე-ბა, რომ თუმცა გალაკტიონის გარდა დიდი პოეტი ლირიკოსების მთელი გა-ლაქტიკაც დანათოდა თავს, ქართველ მკითხველს ვერც ეს უშველიდა, რად-გან ბოლო საუკუნეების განმავლობაში ქართულად არ დაწერილა არც ერთი მართლა კარგი ლექსი. შორეული წარ-სულიდან კი ერთადერთმა კარგმა ლექსმა მოაღწია. მისი ავტორის ვი-

ნაობა, რუსთველისა არ იყოს, უცნო-ბია. თვითონ ლექსი კი „თამარიანის“ სახელით ცნობილმა კრებულმა შემო-გვინახა აშკარად გვიანდელ და უნიჭო მიბაძვასთან ერთად. ამ ლექსს ჩვენში ელეგიას ეძახიან.

და მაინც, კარგი ლექსები რომ არ მოეპოვებოდათ – არადა რატომაც არა, ძალიანაც სურდათ, სხვებივით ჰქონდათ და ეამაყათ – მხოლოდ ამით ბოლომდე მაინც ვერ აიხსნება ქართული პოეზიის მკითხველების სხვადასხვა მოტივით განპირობებული, მაგრამ ერთნაირად უკანმოუხედავი ლტოლვა ყალბი პოეზიისენ. საბო-ლოო ახსნას, ვფიქრობ, ფილოსოფო-სის ერთი გამოთქმა გვკარნახობს. რო-გორც ჩანს, ქართველმა მკითხველმა, უბრალოდ, ვერ „გაუძლო“ ნამდვილ პოეზიას, რომელიც რუსთველისა და ვაუ-ფშაველას პოემებიდან დაემუქრა; ვერ გაუძლო, ვერ გადაიტანა და შე-მდრკალი და შეშინებული გაექცა მას, რათა თავი შეეფარებინა გალაკტიონი-სა და სხვა დიდი ქართველი პოეტების ნაყალბევი, პრიმიტიული და ზედა-პირული შემოქმედებისთვის; გაიქცა, რათა თავი შეეფარებინა ამ თბილ და მყუდრო ბოსელში, სადაც პირადად მას, მკითხველს, აღარაფერი მოეთხო-ვება იმის გარდა, რომ უზრუნველად ინებივროს იქაურობის ობშევარში გა-ხვეულმა.

აი, რატომ გამოარჩიეს დამფრთხალ-მა მკითხველებმა გალაკტიონი და ასე ჩაებლაუჭნენ მას. კერძოდ იმიტომ, რომ მისი შემოქმედება მიმზიდველად ბრჭყვიალებს, ბრწყინავს და თანაც, რაც მთავარია, სრულიად საიმედოდაა დაშორებული იმას, რასაც ნამდვილი პოეზიის მომთხოვნი ძალ-ლონე ჰქვია. თავშესაფრის მაძებარ მკითხველს გა-ლაკტიონი თანამოკალმებზე უფრო თვალისმომჭრელი რითმებითა და ცუდი ფაფუკი სენტიმენტებით ხი-ბლავს, მის პოეზიას განსაკუთრებით ნოყიერი სურნელი ასდის. გალაკტიო-ნის პოეზიის კარგი დღემდე ღიაა ფარ-თოდ, რათა შეიპატიულს უამრავი ჩიგ-რი, ყურმოჭრილი სწავლულია ის თუ უზრალო მკითხველი.

სწორედ ზემოხსენებული წყურვი-ლით ისარგებლა გალაკტიონ ტაბი-

ძემ სხვებზე მარჯვედ, ბოროტად და დაუნდობლად, როდესაც ნამდვილი პოეზიის იმიტაცია შექმნა და რამდენიმე კარგ მეითხველსაც კი მოახვია თავს. უძალლო ქვეყანაში, მოგეხსენებათ, კატებს აყეფებენ. რაც შეეხება წყურვილს, რომელსაც მავანი პოეზიის მოთხოვნილებას დაარქმევდა, იგი ძლიერი და ისეთივე ძველია, ისეთივე ატავისტური, როგორც კოცონის ცეცხლის კარგად ნაცნობი მომზუსველობა.

ბ. ღვთის უკეთესი რა იქნებოდა?

ეს ყველაფერი ასე შეჯამდება: ყალბი პოეზია, ვთქვათ, გალაკტიონ ტაბიძის, ან სხვა რომელიმე დიდი ქართველი პოეტის ლექსები მოსწონს ან სისარბისგან აცანცარებულს, ან წამხედურად მოფარჩიაკეს, ან წყურვილისგან გზაბანებულს. გამართლება კი არ აქვს არც ერთ მათგანს.

მათ გამართლება არ აქვთ, რადგან ისინი, ნებით თუ უნებლიერ, ერთნაირად უწყობენ ხელს ქართულ პოეზიაში იმ სიყალის დაკანონებასა და დაგროვებას, რომელიც, პოეზიის კიდებიდან გადმოსული, გარშემო ყველაფერს შეუდგა და რომლითაც უკვე

ამდენი ხანია ერთიანადაა გაუდენთილი ჩვენი საზოგადოებრივი, კულტურული, სამეცნიერო, რელიგიური და ასე განსაჯეთ, პოლიტიკური ცხოვრებაც კი.

ზუსტად ამ მაღალფარდოვანმა და პრომიტიულმა, უბირმა სიყალებმ და არა გულწრფელმა მოთხოვნილებამ, ან ძვირფასი ტრადიციების აღდგნის სურვილმა განაპირობა თანამედროვე საქართველოში რელიგიურობის გავრცელება. მართლაც, დაუუკებელი სიყალბის ბოლოდროინდელი და ყველაზე სრულყოფილი განსახიერებაა რელიგია და რელიგიური დაწესებულება. ის ახლა მთელ ქვეყანასაა მოდებული, დაპატრონებული და უფრო დამღვრცელია, ვიდრე სიყალბის რომელიმე სხვა განსახიერება; უფრო დამამცირებელია და სამარცხვინო, ვიდრე ამჟამინდელი, ან წინა ორი ხელისუფლება და არანაკლებ კომიტორტულია, ვიდრე იყო კომუნისტური პარტია; მას მართლმადიდებლობა და მართლმადიდებლური ეკლესია ჰქვია;

ცხადია, რომ ათასში ერთი გამონაკლისი ამ დაწესებულების მოხელეებსა და სამწყსოშიც ურევია, ისევე, როგორც ერთ მათ წინაპარ კომუნისტებში. მაგრამ სიყალბის ეს ძლევამოსილი განსახიერება არა მარტო განზრას და შეგნებულად, არამედ ინსტინქტურად, საკუთარი მიდრეკილების კარნაბითაც მიიჩევს თვითონ და ჩვენც გვეკაჩება იმისკენ, რომ საბოლოოდ დავკარგოთ სიამაყე, გამოვეტვიდობოთ პოეზიას და ერთმორჩმუნებატონს ჩავუვარდეთ მუხლებში.

შეიძლება ვინმერ მისაყველუროს, რომ პოეზიას გადაჭარბებულ პასუხისმგებლობას ვაკისრებ. არა მგონია, რადგან ამ პასუხისმგებლობას თანაბრად ინანილებენ პოეზია, პოეტი და მისი მკითხველი.

აქვე შევიწინავ, რომ, როგორც ჩანს, ზოგ ადამიანში კარგი და ცუდი მკითხველი ერთად ბინადრობს. სხვა რით აიხსნება, რომ ერთსა და იმავე მკითხველს ერთდროულად მოსწონს ხოლმე რუსთველი, ვაჟა-ფშაველა და გალაკტიონ ტაბიძე. რუსთველისა და ვაჟა-ფშაველას პოემებში ნამდვილი პოეზია ხდება. ხდება იმდენად, რამდე-

ნადაც, ალბათ, საერთოდ პოემაში შეიძლება მოხდეს პოეზია. პოემას ხომ, ლექსისგან განსხვავებით, ენის შედევებისა თუ თავმოყრის გარდა აქვს სხვა საქმეც, სახელდობრ, სიუჟეტური და ნარატიული ამოცანების გადაჭრა. ამ ამოცანების გამო პოემა, ტრადიციული პოემა მაინც, პოეზიის მთავარ საკუთხებელს მთელ თავის ძალ-ღონეს, ცხადია, ვერ მოახმარს.

ამრიგად, ან უნდა დავუშვათ, რომ ერთ ადამიანში ორი მკითხველი, ცუდი და კარგი, მართლაც ერთდროულად შეიძლება ბინადრობდეს, ან უნდა ვიზიქროთ, რომ ის, ვინც გალაკტიონით, ან სხვა რომელიმე დიდი – დიდი ანუ ბრძოს სათაყვანებელი – ქართველი ლირიკოსის სტროფებით ტებება, სინამდვილეში თავს იტყუებს. ვფიქრობ, ასეთი მკითხველი რუსთველისა და ვაჟა-ფშაველას დაკანონებულ კულტს, კონიუნქტურას ემორჩილება, რადგან შეუძლებელი მგონია, რომ სიყალებში შეყვარებულს, ამავე დროს, ნამდვილის აღქმა, გაგება და დაფასება შეეძლოს.

შეუძლებელია, კაცს ფიროსმანიც მოსწონდეს და გია ბულაძეც, ოთარიოსელიანის „გიორგობისთვეც“ და თენგიზ აბულაძის „მონანიებაც“, მოსწონდეს ქართული „ვისრამიანიც“, სულხან-საბა ორბელიანის „მოგზაურობა ევროპაში“ და ამავე დროს კონსტანტინე გამსახურდიას „დიდოსტატის მარჯვენა“. შეუძლებელია და დაუჯერებელი, რომ ადამიანს, ვისაც გულწრფელად მოსწონს ბუბა კიკაბიძისა და ლელა წურნუმიას სიმღერა, მართლა შეუძლია, რომ ესმოდეს და უყვარდეს „ნინწყარო“, „ურმული“ და ბახის მუსიკა.

ამით ვაფრთხილებ მას, ვისაც არ უნდა, რომ შეხმატებილებულ ბრძოში ჩაეწეროს თვალსა და ხელს შეა, ან არ უნდა, რომ იქ სამუდამოდ დარჩეს დაუდევრობის გამო. ვაფრთხილებ მას, ვისაც უნდა, რომ როგორმე თავი შორს დაიჭიროს ბრძოსგან, ანუ არ გახდეს ერთი მათგანი, ვინც დიდი ქართველი პოეტების – რომელთა შორის რუსთველსა და ვაჟა-ფშაველას ნურავინ გარევს – და მათი ძეელი თუ ახალთახალი მიდევრების გალე-

**ცუდი, მღარე, ანუ
მღაბით მაითხველი
ლექსი ეპებს
და კოულობს
სენციხენცებს,
ილებას, კოეტურობას,
პრიმიტივული
აგზების სკაციფიკურ
ცყაროს, რასაც,
ნათელია, მხოლოდ
ყალბ ლექსებში
შეიძლება
გადაიყაროს.**

ქსილი სიყალბითა და უნიჭობით ტკბება; ოლონდ მაინც არც ისე ხშირად და თავდავიწყებით, როგორც, ვთქვათ, ჭორაობით და ლაყბობით. ამ ახალთახალთაგან ორს ვახსენებ, რაკი პოლიტიკაში მაინც აღარ არიან კონფორმისტები, პიონერულად აღტყინებულ რატი ამაღლობელს, თავისი პუტუზნა პოეზიით და კომუკვშირულად ომაზან ჰიმნოგრაფ დავით მაღლაძეს, თანაც პენსიონერულ-დონ-უანური მანიფესტების გამლექსავს.

ბრძო სწორედ ისაა, რაც და ვინც კი არ მეტყველებს, არამედ ლაყბობს. ლაყბობა პოეზიის საპირისპიროა. შეიძლება ითქვას, რომ ენის გამოვლინების სფეროს ორი პოლუსი აქვს, პოეზიისა და ლაყბობის. ეს უკანასკნელი ენას მხოლოდ ხმარობს და ხარჯავს, ენის ნაკვთებს თანდათან ალბობს და მას სახეს უკარგავს. დაშაქრული, ან ვითომ ცხარედ შეკაზმული ლაყბობა ჩვენი საერო და სასულიერო ხელისუფლების მეთაურებისა და მათი ცუმშებების ბაგებიდან მოედინება და პირამდე ავსებს ხალხის გონებასა და გულს. პრესაში, ტელეეკრანებზე, ინტერნეტში და მიზინგებზე ენად გაკრეფილი და ქვეყნის თავდადებული ვინ გინდა რა ვიგინდარები მხოლოდ ლაყბობენ. და თუ ამ ნალაყბები აქა-იქ მოსწრებულ სიტყვას მოჰკრავ ყურს, ეს იმას ჰგავს, ჩაძირულის თავზე რომ ჰაერის უკანასკნელი ბუშტები ამოდის. მოლაყბები ბრძოს პირში ენა ლპება, იხრწნება.

არ იფიქროთ, რომ რაიმე არანორმატიულისა და უცენზუროს მოქარბებას ვგულისხმობდე. ერთ რომელიმე შეგინებაში ენა ბევრად უფრო ცოცხალი, საღი და ჯანსაღია, ვიდრე ზემოსხენებულთა მჭევრმეტყველებაში.

გ. ქატო იქა, ფქვილი აქა ზემოთ ვთქვი, რომ ენა მასალაა. ახლა კი, შევეცდები დავაზუსტო, თუ რა იგულისხმება ამაში.

რომან იაკობსონმა განსაზღვრა ენის ექვსი ფუნქცია, რომელთა შორისაა ენის პოეტური ფუნქცია. იგი, ლინგვისტის თანახმად, ემსახურება ენის მიერ თავად ენის წარმოჩენას

და ყურადღების შეჩერებას საკუთრივ ენაზე. იაკობსონის თანახმად, ტექსტისკენ მიმართულობა და ფოკუსირება ტექსტზე „თავად მისთვის და მისი ინტერესისთვის“ ენის პოეტური ფუნქცია. იგი ასევე შენიშნავს, რომ ნიშნების ხელშესახებობისა და თვალსაჩინობის წინ წამოწევითა და გამოაშერავებით პოეტური ფუნქცია აღრმავებს ნიშნებისა და ობიექტების ფუნდამენტურ დიქტომიას. პოეტური ფუნქციის განსასაზღვრად იაკობსონი ინგლისელი პოეტის, ჯერად მენტი პოპკინის გამოთქმას იშველიებს. ამის მიუხედავად, განსაზღვრება, ვფიქრობ, მაინც რამდენადმე დაუსრულებელი, ბუნდოვანი რჩება და უფრო წარმოსახვაზე მოქმედებს, ვიდრე გონებისთვისა გასაგები.

პოეტის სიტყვების მოშველიება შეიძლება იმაზე მეტყველებდეს, რომ პოეტური ფუნქციის განსაზღვრის გარევეულ სირთულეს იაკობსონიც ხედავს. პოეტის დამოწმება შეიძლება იმასაც ნიშნავდეს, რომ ამ საკითხში გასარკვევად ლინგვისტს სასარგებლოდ მიაჩინა პოეტის სპეციფიკური გამოცდილებისა და მასზე უშუალო დაკვირვებს, რეფლექსიის შედეგის გათვალისწინება. აქვე გავიხსენოთ, რომ იაკობსონი თუმცა პოეტი არ იყო, ახალგაზრდობაში ლექსებს წერდა.

ვფიქრობ, ენის პოეტური ფუნქციის შესახებ, პოეზიაში ენის ბედისა და თავგადასავლის შესახებ მართლაც შეიძლება ითქვას რაღაც, ვინ იცის, ასე თუ ისე გამოსადეგი, რაც წლების მანძილზე ლექსების კეთება-თხზვასა და ამ პროცესზე ნებით თუ უნებლიერ დაკვირვების შედეგად ხდება მეტ-ნაკლებად ნათელი და გასაგები.

მეჩვენება, რომ იაკობსონის მიერ ენის ექვსი ფუნქციის განსაზღვრა აშკარად მეტყველებს სრულიად გარკვეულ გენერალურ შეხედულებაზე, რომელიც იაკობსონს ენის თაობაზე აქვს. მართლაც, ექვსი ფუნქციის შემსრულებელი ენა სწორედ რომ შემსრულებელი ენაა, ანუ ესაა ენა, რომელიც პირველ რიგში, და, ალბათ, საბოლოოდაც თავისი ფუნქციების შემსრულებელია და, თუ შეიძლება ასე ითქვას,

ინსტრუმენტალური ბუნებისაა. ენა იაკობსონისთვის განსხვავებული ენობრივი ფუნქციების შესასრულებლად განკუთვნილი ინსტრუმენტების ერთობლიობაა, ინსტრუმენტალურია.

შეუძლებელია არ გაიზიარო იაკობსონის შესდებულება, რადგან ყველაზე და ყოველთვის, სადაც ენას ვხვდებით, ჩვენ ვეხდავთ ან მეტ-ნაკლებად დასრულებულ, ანუ გარკვეული ფუნქციის შესასრულებლად განკუთვნილ და გამზადებულ ინსტრუმენტს, ან ამა თუმციმი ნაწილს, დეტალს, ასეთი ინსტრუმენტის ასაწყობად.

მაგრამ სულ ცოტა ხნის წინ ვამბობდი, რომ ენა მასალაა. ახლა კი ვეთანხმები მოსაზრებას, რომლის თანახმად, ენა ინსტრუმენტალურია. ეს წინააღმდეგობა გაქრება, თუ დავუშვებთ, რომ ენას აქვს ორი მხარე მედლის, ან მონეტის მსგავსად. მგონია, რომ ასეც უნდა იყოს და რომ ენის ერთ მხარეს, ერთ ზედაპირზე, ენა არის მასალა, ენა-მასალა, ხოლო მეორე მხარეს, მეორე ზედაპირზე ენა ინსტრუმენტალურია. ენა-მასალა და ინსტრუმენტალური ენა ისე „შეადგენენ“ ენას, როგორც ავერსი და რევერსი მონეტას. ენის ამ მეორე ზედაპირის, ენა-მასალის შესახებ წარმოდგენა, მეტიც, ენა-მასალის იდეა, მგონი, მარტინ პაიდეგერის ფილოსოფიაში იქმნება, თუმცა მსგავსი ტერმინი, რამდენადაც ვიცი, მასთან არ ვხვდება.

ფილოსოფონის პარაფრაზირებას თუ გავპედავ, შემიძლია ვთქვა, რომ ენა-მასალა თვალსაჩინო და ხილული, პირველად და უპირატესად პოეზიაში ხდება. ხოლო ინსტრუმენტალური ენის იდეა, განმსაზღვრელი ჩანს იაკობსონის ნააზრევისთვის.

მაგრამ სად ხდება მათი შეკავშირება და გაერთიანება „ერთ მონეტაში“? ცალია, რომ სხვაგან არსად, თუ არა ენაში. თუ როგორ შეიძლება ენა-მასალისა და ინსტრუმენტალური ენის ერთმანეთთან დაკავშირება, უფრო ზუსტად კი მათი აპრიორული განუყრელობის დადგენა, ამაზე პასუხს მარტივი, თუმცა არცთუ ზედაპირული დაკვირვება იძლევა.

>>> გამოყენება გვ. 95

не ждать указаний!



ბოლშევიზმი და კონფორმიზმი

ავტორი: ლელა გაფრიცელაშვილი

პოსტსაბჭოთა პერიოდის საქართველოში რამდენჯერმე მოხდა სტალინის ფერომენის გახსნება, მაგრამ ძალიან ისვიათად ან ძალიან სუსტად – თავად „სტალინიზმის“ გააზრება. 1988 წლის ნოემბერში მნერალმა რევაზ მიშველაძემ ლამის ჰიმნოგრაფიული ტექსტი „მთავარი დანაბაშული, ანუ სტალინი საიქიოში“ მიუძღვნა. წერილში მე-20 საუკუნის ტირანი წარმოდგენილია, როგორც ისტორიული ხევდრით და პასუხისმგებლობით დადგასმული კეთილი „ულვაშა“, რომელსაც თურმე ქართველობის გამორჩეული უნარების გამო განიკითავენ. „ჰუმანისტი“ მნერლისთვის არაა საინტერესო და ანგარიშგასაწევი სისასტიკი, რომელსაც პირსისხლიანი დიქტატორი საუთარი ოჯახის წევრების მიმართ იჩენდა. აი, ზოგიერთი მათგანის ბედი:

1937 წელს დააპატიმრეს და 1942 წელს დახვრიტეს სტალინის პირველი ცოლისძმა ალექსანდრე სვანიძე, ხოლო მისი ცოლი, მარია, ამავე წელს ყაზახეთის საკონცენტრაციო ბანაჟში დაიღუპა. მათი შვილი, ჯონი, 1956 წლამდე პატიმრობაში იყო.

1937 წელს დააპატიმრეს და ციხეში გარდაიცვალა, აგრეთვე, პირველი ცოლისძმა, მარო.

მეორე ცოლმა ნადეჟდა ალილუევამ თავი მოიკლა 1932 წელს. ნადეჟდას სიძე, სტანისლავ რედენი, დახვრიტეს 1938 წელს, ხოლო თვითონ და, ანა, დააპატიმრეს 1948 წელს და 10 წლით გადაასახლეს.

1947 წელს დააპატიმრეს ნადეჟდას ძმის, პავლეს ცოლი ევგენია, ხოლო 1948 წელს მათი ქალიშვილი – კირა და ორთავეს 10-10 წელი მიუსაჯეს. 1941 წელს დააპატიმრეს გერმანელთა ტყველმაში მყოფი სტალინის შვილის, იაკობის, ცოლი იულია მელცერი, რომელიც გაათავისუფლეს მისი ქმრის სიკედილის შემდეგ. 1943 წელს გადაასახლეს სტალინის ქალიშვილის, სვეტლანას, საქმირო ალექსეი კაპლერი (ფფიციალური ბრალდება: ჯაშუშვილა

დიდი ბრიტანეთის სასარგებლოდ) და მხოლოდ სტალინის სიკედილის შემდეგ გაათავისუფლეს. სვეტლანამ არ მოინდობა არც მამის გვარი და არც მის აშენებულ ქვეყანაში ცხოვრება. მესამე შვილი კი ლოთობით მოკვდა.

30-იანი წლების საბჭოთა კანონმდებლობას, ფაქტობრივად, პარტიის გენერალური მდივანი და პოლიტიკურო წერდნენ. სტალინი ამ „რეფორმების“ სულისჩამდგმელია და საპროგრამო ხედვებს აყალიბებს: „ისმება კითხვა – რატომ უნდა იყვნენ სახელმწიფო უშიშროების სოციალისტური ორგანოები უფრო ჰუმანურები ბურჟუაზიის ცოფიანი აგენტების, მუშათა კლასისა და კოლმეურნების დაუძინებელი მტრების მიმართ?“

კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი თვლის, რომ ფიზიკური მოქმედების მეთოდები, როგორც გამონაკლისი, გამოყენებულ უნდა იქნას ხალხის ცრობილი და გამოუსწორებელი მტრების მიმართ...“ სასამართლო პროცესები მოწმების, ადვოკატებისა და ხშირად ბრალდებულების მონაწილების გარეშე იმართება, ხოლო „სამართლის“ და „სამართლიანობის“ კრიტერიუმებს „ტროიკები“, საგანგებო საბჭოები (OCO) ადგენენ. 1934 წლის სპეციალური დაგენილება კი ასეთ პუნქტებს შეიცავს: 1. საბრალდები დასკვნა ბრალდებულს გადაეცეს სასამართლომდე ერთი დღე-ლამით ადრე და 2. საქმეები მოსმენილ იქნას მხარეთა მონაწილეობის გარეშე. 3. არ იქნას დაშვებული განაჩენის საკასაციო გასაჩივრება და თხოვნა შეწყალების შესახებ 5. სასჯელის უმაღლესი ზომის (დახვრეტა) განაჩენი სისრულეში იქნას მოყვანილი დაუყოვნებლივ, განაჩენის გამოტანისთანავე.

1931 წლის 9 მაისის დადგენილებით, საქართველოს მნერალთა ფედერაციაში საკუთარი რიგების წმენდა დაიწყო:

„მნერალთა ფედერაცია შემავალი დაჯგუფებით და ორგანიზაციებით უნდა იძლეოდეს მთლიანათ საბჭოთა

სინამდვილის დამცველ და მის ინტერესებისთვის მებრძოლ მწერლობას.

სოციალისტური მშენებლობის მიმდინარე ეტაზზე მწერლების ამოცანები დიდია და მისი ჯანსაღი ორგანიზმი უნდა სჩანდეს ფედერაციის შემადგენლობაში.

ხსნებული დებულება იძულებულს გვხდის გადაესინჯოთ მნერალთა ფედერაციის შემადგენლობა და მისი საზოგადოებრივი საქმეები.

გადასინჯვის შედეგად ვიღებთ მნერალთა ფედერაციის მოდუნებულსა და ინერტულ ცხოვრებას, აპოლიტისტურ ტერდენციებს (რომელიც თავის ძირითადში რეაქციონური განწყობილება) და უკანას წელად „წითელ ხალტურის ნიმუშებსაც“.

„მართალია, ერთი მხრივ, დარაზმულია პროლეტარული მნერლობის ძლიერი ორგანიზაცია და მათთან შეთანხმებით იზრდება და მაგრდება თანამგზავრთა კადრები, მაგრამ მნერალთა ფედერაციაში შეკედლებული თითქოს აპოლიტიკური მწერლები ქმნიან მოდუნებულ ატმოსფეროს და ამით ხელს უშლიან რეკონსტრუქციული პერიოდისთვის საჭირო მნერლობის აღორძინებას. საუკეთესო გამომხატველი ფერი პოლიტიკური კონტროვოლუციისა არის ზედმეტი ესთეტიზმი, აპოლიტიზმი, რომელიც „დღიური“ საკითხებით დაინტერესების წინააღმდეგია და მნერლობას ჩვენთვის საჭირო პოლიტიკურ სიმახვილეს უკარგავს.

არ არის გარანტია, რომ ეს მნერლები გარდაიქმნებიან ახლო მომავალში და გახდებიან აქტიური მუშაკები პროლეტარიატის საქმიანობისა. „კანის ცვლა“, რომელიც გამოიარეს ბევრჯერ ხსნებულმა პირებმა, ვერ სცვლის მათ შინაგან ბუნებას და ისინი ხშირათ ეგრეთ წოდებული „პასიური წინააღმდეგობითაც“ იბრძვიან თანამედროვე მნერლობის პოზიციაზე.

მნერალთა ფედერაციაში შემავალი ორგანიზაციებიდან ყველაზე მეტად

ასეთი ძალებით დამძიმებულია აკა-
დემიურ მწერლების ორგანიზაცია,
რომლის ხელმძღვანელობა უმთა-
ვრესად მემარჯვენე და რეაქციონერ
მწერლობას უჭირავს ხელში. შემდეგ
მოდის მათი მიმყოლი და ახლობელი
ჯგუფები.

საჭიროა ამ ატმოსფერის გარკვე-
ვა და ფედერაციის შემადგროვნობის
ფილტრაციაში გატარება, საჭიროა
მწერალთა ფედერაციიდან ისეთი ხალ-
ხის მოშორება, რომელიც მწერლების
საერთო საქმიანობას ხელს უმდის და
რეაქციონურ ატმოსფეროს აფართოე-
ბს. საჭიროა ახალი ძალების ფედერა-
ციაში დაწინაურება და მწერალთა ფე-
დერაციის აკადემიური და კაბინეტური
საქმიანობიდან დაძვრა.

მწერალთა ფედერაციის არსებობა
და მნიშვნელობა კითხვის ქვეშ რომ არ
იყოს, მწერალთა ფედერაციამ უნდა
გაიწინონ თავის თრგანიზმი ყველა
მავნე ელემენტისაგან და მუშაობა გაა-
მდაფროს მასაში გადატანით.

მწერალთა ფედერაცია უნდა გახდეს
მიმდინარე სოციალისტურ მშენებლო-
ბაში საჭირო და უშუალო მონანილე
ორგანიზაცია.

დღეს მწერალთა ფედერაცია მოდუ-
ნებული ორგანიზმია და მის საბოლოო
დაავადებამდე საჭიროა სამკურნალო
წმინდის დაწყება.

თანამედროვე ქართველი მწერა-
ლი დუმს ამ ეპოქაში რეპრესირებულ
კოლეგებზე, რომელთა დევნა და შე-
ვიწროება სახელმწიფო პოლიტიკის
განუყოფელ ნაწილს ნარმალებიდა.
1935 წლიდან 1940 წლამდე მწერალთა
კავშირის 55 წევრი დააპატიმრეს და
მათი უმრავლესობა დახვრიტეს. არ
ახსენდება არც გრიგოლ რობაქიძე,
რომელმაც გერმანიაში გაასწრო ჯა-
ლათებს, ხოლო მის მეგობრებს სამარ-
ცხვინო ჩვენებები მიაცემინეს. აი, ამ
სხდომის სტენოგრაფიული ჩანაწერი:

„დაადგინეს – სრულიად საქართვე-
ლოს საბჭოთა მწერლების პრეზი-
დიუმმა განიხილა რა ფაშისტ გრიგოლ
რობაქიძის გამცემლური მუშაობის შე-
სახებ მწერალთა ერთი ჯგუფის – პ.
იაშვილის, ტ. ტაბიძის, ვ. გაფრინდაშ-
ვილის და ნ. მინიშვილის განცხადება,
რომელსაც ერთსულოვნად შეუერთდა

საქართველოს საბჭოთა კავშირის მთე-
ლი აქტივი, დაადგინა:

ეთხოვოს ს.ს.ს.რ. ცაკის პრეზიდიუ-
მს, რათა გრიგოლ რობაქიძე, როგორც
აშკარა მტერი ჩვენი ქვეყნის მშრომე-
ლი ხალხისა თვალითმაქცურად გადა-
სული კონტრევოლუციონურ, ფაშის-
ტურ ბანაქში, გამოცხადებულ იქნას
სოციალისტურ სამშობლოს მოღა-
ლატედ და ჩამოერთვას მას საბჭოთა
მოქალაქეობა, აქედან გამომდინარე,
ყველა შედეგების განხორციელებით“.

ნუთუ შეიძლება ვინმემ თქვას, რომ
გრიგოლ რობაქიძის საწინააღმდე-
გო ჩვენების მომცემთაგან რომელიმე
კონფორმისტია? როცა სიკედილ-სი-
ცოცხლეს შორის ირჩევ, მაშინ ასეთ
ფენომენზე საუბარი ნარმოუდგენე-
ლია. ნუთუ მარჯანიშვილის სახელო-
ბის თეატრის მსახიობებსა და ალპი-
ნისტებს კონფორმიზმის გამო მიაქვთ
ბერიას, სტალინისა და ვოროშილოვის
ბარელიეფები ყაზბეგის მწვერვალზე
და იქიდან რაიკომს უპატაკებენ?:

РАДИОГРАМА № 21

11 августа 1936 года

Из Казбека

Управлению по делам искусств -

Горделадзе

ЦК Союза рабис - ШАВГУЛИДЗЕ

Копия: Дирекции театра

МАРДЖАНИШВИЛИ

РАИКОМУ им СТАЛИНА - тов.

АРУТЮНОВУ.

Группа альпинистов им. тов.

Лаврентия БЕРИЯ, артисты театра

им. МАРДЖАНИШВИЛИ в составе 9

человек совершили поход на вершину

Казбека 10 Августа в 2 часа 50 минут

дня. Все поднялись и с собой взяли

барельеф товарища БЕРИЯ вместе с

бюстами СТАЛИНА и ВОРОШИЛОВА.

Все товарищи чувствуют себя бодро.

РУКОВОДИТЕЛЬ ГРУППЫ - ЧХЕЙДЗЕ.

Передал Начию Связи Зак. Аэрофлота
- БАРИНОВ

Приняла - Ананиашвили.

იქნებ თანამედროვე მწერლის ნაა-
ზრევსა და ნამოქმედარში თანაგრძნო-
ბის ამპუტაცია შიშის ბრალია? რისი
ეშინია რევაზ მიშველაძეს 1988 წელს?
დახვრეტის? ოჯახის ნევრებისა და ნა-
თესავების დასჯის? არა! ის კონფორ-
მისტია, მთვლემარე ზნების და ფხი-
ზელი მადის კონფორმისტი, რომელსაც
ესმის, რომ ხელუხლებული კერპის კრი-
ტიკა მტრებს შესძენს, „ულვაშა“ მიერ
გამობრძმედილ და დღემდე არსებულ
სისტემას პზარს გაუჩენს. ეს ყველა-
ფერი კი მწერლის წლიობით ნაშენებ და
ნალობლიავებ კეთილდღეობას დაემუ-
ქრება. ამიტომ არ „ამდვრევს წყალს“.

კონფორმისტია ყველა, ვინც დღეს
„ნულოვანი ტოლერანტობისა“ და „ეს-
როლეთ დამნაშავეს“ წინააღმდევ ხმას
არ იღებს, არაფერს უპირისპირებს ხე-
ლისუფლების თავგასულობას და სისას-
ტიკებს, მართვის ავტორიტარულ სტილს.
ეს „დუმილი“ არსებითადაა დაკავშირე-
ბული საბჭოთა პერიოდის რეპრესიების
ლაბირინთობთან, კრემლის მიერ საბჭო-
თა სივრცეში გაბმულ საიდუმლო ქსე-
ლებთან. დაციქერდეთ: იქნებ წელთა
სიმრავლემ ვერაფერი დააკლო ძმურ,
საბჭოურ კავშირებს? იქნებ რღვევის სა-
ფრთხემ უფრო შეადუდაბა ეს ერთობა?

ნარსულის ხელახალი ნაკითხვა-გა-
აზრების გზაზე ბევრი ჩვენთვის პა-
ტივსაცემი ადამიანი, შეიძლება, აღარ
მოგვეწონოს: ზოგი მათგანი დიდ კომ-
პრომისზე ნავიდა, ზოგი – მცირეზე,
ზოგმა ყველაფერს გაუძლო (უფრო
სწორად – შეეწირა რეპრესიებს),
ზოგმა – რეჟიმთან თანამშრომლობა
შეიტკო კიდეც. ჩვენ ყველა უნდა
ვიცოდეთ, უნდა ავიტანოთ და განვი-
ცადოთ ეს სიმართლე. მხოლოდ ამის
შემდეგ იქნება შესაძლებელი ლუს-
ტრაცია, ანუ განწმენდა.



OPEN SOCIETY GEORGIA FOUNDATION

ფუნდაცია საქართველოსა საქართველო

სტატია ქვეყნება პროექტის „განსაბჭოება“
ფარგლებში. პროექტის მხარეამჭერია ფონდი „ლი-
საზოგადოება – საქართველო“.

აუტორის მიერ სიმართლემც მასალაში
გამოიქვეული მოსაზრება არ გამოხატავს ფონდ
„ლისაზოგადოება – საქართველო“ პოზიციას.
შესაბამისად, ფონდი არ არის პასუხისმგებელი
მასალის შინაარსზე.





სხვები

ავტორი: თემ ხაჩიაშვილი

ქსენოფობია, რომელიც „უცხოელის ან უცხო კულტურის მიმართ შიშს“ ნიშნავს, ზოგადად, განსხვავებული ადამიანების მოუღებლობასა და მათ მიმართ ნეგატიურ დამოკიდებულებაში გამოიხატება. კინოს ისტორიაში ამ თემაზე უამრავი ფილმი შექმნილა, მე რა-მდენიმეს გაგახსნებთ: 1. ამერიკული დამოუკიდებელი კინოს საკულტო ფილმი, დენის პოპერის „უდარდელი მგზავრი“ – მისი პერსონაჟები უბრალოდ „სხვანაირები“ არიან, „სხვანაირად“ გა-მოიყენან, რასაც ემსხვერპლებიან კიდევაც; 2. იმავე „დამოუკიდებელი ამერიკელების“ უდავო ლიდერის ჯონ კასავეტესის „ქალი ზეგავლენის ქვეშ“ – მთავარი გმირი, მართალია, მზრუნველი დედა და მოსიყვარულე ცოლია, მაგრამ „სხვანაირად“ იქცევა, ამოვარდნილია საყოველთაოდ მიღებული ქცევის წეს-ბიძან, რისთვისაც მას გიუად შერაცხავენ და ფსიქიატრიულში მოათავსებენ; 3. 70-იანი წლების პოლივუდის ერთ-ერთი ყველაზე გამაურებული ფილმი, მილოშ ფორმანის „ვიღაცამ გუგულის ბუდეს გადაუფრინა“ – მთავარი გმირი „სხვანაირად“ ფიქრობს, უფრო სწორად, უბრალოდ, ფიქრობს; მის გარშემო არსებულ სტერილურ გარემოში კი ეს დაუშვებელია და ამიტომ, რასაკვირვე-

ლია, ის ისჯება.

ქსენოფობია ყველა საზოგადოებას მეტ-ნაკლებად ახასიათებს, თუმცა განსაკუთრებით მძაფრდება ტოტალიტარული რეჟიმების დროს, რომელიც მმართველობის მკვეთრ ვერტიკალსა და სისხისტესთან ერთად ადამიანთა უნიფიცირებას, კოლექტივისტური ცნობიერების ჩამოყალიბებასაც გულისხმობს. „ყველა, როგორც ერთი“ არის ტოტალიტარული საზოგადოების არსებობის პრინციპი, რასაც იდეოლოგიური მანქანა გულმოდგინედ ავრცელებს და ნერგას. ეს ატმოსფერო არაჩეულებრივად აქვს აღნერილი ჯორჯ ორუელს თავის ანტიუტოპიურ რომანში „1984“. საგულისხმოა, რომ „დიდი ძმა“, რომელიც აკინტროლებს ყველაფერს – არა მხოლოდ მუშაობის პროცესსა თუ პირად ცხოვრებას, არამედ ფიქრებსაც კი, მხოლოდ ვირტუალურად ჩნდება (შესაძლოა, ის სინამდვილეში არც არსებობს), ამიტომ ის მარადიული და ყოვლისმომცველია – არის ყველაგან და ყოველთვის; შეიძლება ითქვას, რომ ის არის ყველაშიც, როგორც თვითცენზურა და ყოვლისმომცველი შემში იმის მიმართ, რაც განსხვავებულია, უცხოა და რაც ამის გამო საფრთხედ და მტრად აღიქმება. თუმცა ისიც უნდა აღინიშ-

ნოს, რომ მტერიც ისევე ეფემერული და კონსტრუირებულია, როგორც „დიდი ძმა“ თუ მთლიანად ტოტალიტარული ოკეანია.

„დიდი ძმის“ ვირტუალური ხატი ამავე დროს იკითხება, როგორც მართული მასმედიის მხატვრული სახე, რომელიც რეჟიმის იდეოლოგიურ პროპაგანდას უზრუნველყოფს. საზოგადოების უნიფიცირებაზე მიმართული ყველაფერი – იქნება ეს უნიფორმების გამოყენები-საკენ მიდრეულება თუ საცხოვრებელი (პრივატული) სივრცის მიზანმიმართულად გასაჯაროება ე.წ. „კომუნალებსა“ თუ საერთო საცხოვრებლებში. ცხადია, აქ გასათვალისწინებელია ახალგაზრდა საბჭოების უმძიმესი ეკონომიკურ-სოციალური ფონი, მილიონობით უსახლური ადამიანი, რომელთა დასახლებისთვის რაღაც უნდა ელონა ღარიბ ქვეყანას, მაგრამ „ყველა, როგორც ერთის“ პრინციპი ამ შემთხვევაშიც განუხელად მოქმედებს.

ახალგაზრდა სახელმწიფო არა მხოლოდ ქვეყნის, არამედ ადამიანის მოდერნიზაციის პროექტსაც შეიმუშავებს, რომლის მიხედვითაც ინკუბაციურად გამოიყვანება საშუალო სტანდარტული მოქალაქე. ამ იდეის ერთ-ერთი ინიციატორი ალექსანდრა კოლონტაი ბაგშვის

BIG BROTHER



აღზრდას ოჯახური „კერძომესაკუთრული“ სივრციდან ბავშვთა სახლებისა და ბაგა-ბალების კოლექტიურ გარემოში გადაიტანს (ამ შემთხვევაშიც უნდა გავთვალისწინოთ ის ისტორიული კონტექსტი, სადაც გაჩინდა ამგვარი დანესებულებების აუცილებლობა – გარდა, ისევ და ისევ, უპატრონოდ და უსახლეაროდ მიგდებული ბავშვების მრავალრიცხოვანი არმიისა, ეს ქალთა ემანსიაციის, ოჯახზე მიჯაჭვულობიდან მისი გათავისუფლების ერთ-ერთი პირობაც იყო). „მას მერე, რაც ძეძუთი გამოკვებავს პატარას, ქალს, შრომითი კოლექტივის წევრს, აქეს უფლება თქეას, რომ ჩიყლთან დაკავშირებით თავისი სოციალური მოვალეობა მოიხადა. მოზარდ თაობაზე დანარჩენი ზრუნვა შეუძლია უკვე კოლექტივს გადაუღლოცოს“, – წერს ის და ცოტა ქვემოთ კმაყოფილებით საგვარეულოს: „მათში [ბალის აღსაზრდელები] მტკიცეა კოლექტივისტური ჩვევები, ისინი, უპირველეს ყოვლისა, „ჯგუფური“ აზროვნების ადამიანები არიან... სცენა ბავშვთა სახლიდან: ახალბედა უარს ამპობს, გააკეთოს ის, რასაც აკეთებს ჯგუფი. ჯგუფი ახალს გარს-შემოხვევია, უმტკიცებს, ნერვულობს. განა შეიძლება, არ ნავიდეთ სასეირნოდ, როცა „ჩვენი ჯგუფი“ მიდის? შეიძლება, არ დავალაგოთ სახლი, როცა „ჩვენი ჯგუფია“ მორიგე?.. საკუთრების განცდა მათ არ უფითარდებათ... სამაგიეროდ, ბავშვები თვითონ ადვენებენ თვალს მათ, ვინც აფუჭებს „ჩვენ“ სიკეთეს – საბავშვო სახლის სიკეთეს“. ანუ

„ჯგუფური აზროვნება“, გხდის რა ერთგვაროვანი მასის წევრად, ამავე დროს გულისხმობს ამ მასიდან ამოვარდნილზე თვალთვალს, მის „გამოსწორებას“, წინააღმდეგ შემთხვევაში მის უარყოფას.

„ჯგუფური აზროვნების“ პრინციპი არა მარტივ ყოფაში მკვიდრდება, არამედ საპქოური ხელოვნების იდეოლოგიური და ესთეტიკური საყრდენიც ხდება. 1932 წელს სტალინის ხელმძღვანელობით შემუშავდა სოციალისტური რეალიზმის მეთოდი, რომელიც ვრცელდებოდა ხელოვნების ყველა სფეროზე და რომელიც მიზნად ისახავდა მშრომელთა „სწორ“ იდეოლოგიურ აღზრდას. ამით, ორუელის ანტიუტოპისტური მოდელის მსგავსად, ხელისუფლება ხელოვანის ფიქრების მაკონტროლირებელიც ხდებოდა. სოცირეალიზმის მეთოდი ღენინის მიერ ლიტერატურის პარტიულობის შესახებ ჩამოყალიბებული იდეის ერთგვარი გაგრძელება იყო, რომლის მიხედვითაც მწერალი ადამიანის „სულის ინჟინერი“ (ტერმინი ლეინარდი და ვინჩის ეკუთხის) გახლდათ: „ლიტერატურა პარტიული უნდა იყოს. შორს უპარტიოლიტერატორები! შორს ზეადამიანი-ლიტერატორები! ლიტერატურული საქმე ზოგადპროლეტარიული საქმის ნაწილი, ერთიანი სოციალ-დემოკრატიული მექანიზმის „ქანჭიკი და ბორბალი“ უნდა გახდეს“, რომელიც მოძრაობაში მოჰყავს მთელი მუშათა კლასის შეგნებულ ავანგარდს“. „ზეადამიანი-ლიტერატორები“ ისინი იყვნენ, ვინც „ჩვენ ჯგუფში“ არ იყო, „კოსმოპოლიტი“, „უცხო“ – ის

ვინც, 10-20-იან წლების მრავალფეროვან მოდერნისტულ ხელოვნებას ქმნიდა, რომელიც მოინათლა, როგორც „მახინჯი“, „ავადმყოფური“, „უცხო კულტურის (მტრული და „გახრწნილი“ ბურუჟაზის) ხელოვნება და კატეგორიულად აიკრძალა (სიმპტომურია, რომ იგივე ხდება ნაცისტურ გერმანიაში).

ამგვარი უკიდურესად პომოგენური გარემო ასუსტებს უცხო კულტურის, ცხოვრების წესის, აზროვნებისა და გამოხატვის ფორმების გაგებისა და მიღების უნარს, სამაგიეროდ, ამძაფრებს მათზე, როგორც პომოგენურობის/კოლექტურობის/ „ჯგუფური აზროვნების“ მთლიანობის დამანგრეველზე, აგრესიულ რეაქციას; კოლექტიური მთლიანობის დანგრევის შიში, რომელიც ქსენოფობის საფუძველია, თავისუფალ სივრცესთან შეუჩეველობისა და ადაპტირების უუნარობიდან მოდის; თავისუფლებასთან, სადაც საკუთარში შეიძლება დაინახო სხვა და სხვაში კი – საკუთარი.



სტატუს ქვეყნება პროექტის „განსაპქოება“ ფარგლებში. პროექტის მხარდამჭერია ფონდი „ლა საზოგადოება - საქართველო“. აეტორის მიერ საინფორმაციო მასალაში გამოთქმული მოსაზრება არ გამოხატავს ფონდ „ლა საზოგადოება - საქართველოს“ პოზიციას. შესაბამისად, ფონდი არ არის პასუხისმგებელი მასალის შინაარსზე.

ჩანარები

ავტორი: ლადა ლომობერძიშვილი

SOLZHENITSYN
CHICHIGA

„მაგრამ თუ ერთხელ უნდა სოფელს ბოლო მოეღოს,

მაშინ ვიღამ თქვას მათი საქმე, ვინ სადღა იყოს“ – ამბობდა ბარათაშვილი.

და მართლაც, ყველა დროს თავისი მთქმელები სჭირდება. განსაკუთრებით, ასეთი კატაკლიზმებით დაღდას-მულ დროს.

ვეითხულობ რეზო ჭეიშვილის რომანს „კუდავი ვარსკვლავი“ და კიდევ ერთხელ ვრწმუნდები, რომ ქართულმა ლიტერატურამ ნამდვილად თქვა თავისი სიტყვა იმ კაცომოძულე საბჭოთა სისტემის შესახებ.

ქუთაისელების იუმორს კი მაინც ბადალი არა აქვს დედამინაზე! აპა, ქუთაისელის გარდა ვინ მოიფიქრებდა ასეთ ეპიზოდს (ვინ იცის, ის თვითონ მწერალმა მოიგონა, თუ მართლაც სხვამ – ოღონდ უსათუოდ ქუთაისელმა – უაბბო, ამას ხომ არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, ის ყველა შემთხვევაში – მოგონილი თუ გაგონილი – ამ თავისებური იუმორის გამომხატველ, ლიტერატურის ფაქტად იქცა):

„მოუვლელი სასაფლაო ძელქვიანში. ძეგვნარი, ჯაგრცხილები, კვრინჩხა, კუნელი – კურკანტელა. ზედა მხარე, შედარებითია ყველაფერი, მდიდრული, და, ცხადია, უგემოვნო საფლავსახლები, საფლავგალიები. ერთი სამარის გისასებთან შედგა ფოსტალიონი, მეგონა, გზას იმოკლებდა, შეჰვი ხელი გისასებში და შეყარა სიგრძივ გაკეცილი გაზეთები სამარე-გალიაში, ბეტონის მოზაიკიან მაგიდაზე გაადენინა ტყაპანი ფოსტას.

– რა ჰქენი, თუ კაცი ხარ, მითხარი?!

დაღლილ-დასიცხული ფოსტალიონია, ალარსად ეჩქარება, ეტყობა, მაინცდამაინც.

– გაზეთები მიუუტანე, ბატონო.

– ვის, კაცო, მკვდარს?

– გამონერილი აქვს და რა ვუყო?

– ვის, კაცო, მკვდარს?!

– მკვდარი უძახე შენ... მოვიტანე „კომუნისტი“, „საცეტსკი სპორტი“, „ლელო“ და „კომსომოლსკაია პრავდა“...

– ამოვლენ ჭირისუფლები და ნაიღებენ?

– არა, ბატონო, ოჯახში ცალკე აქვთ გამონერილი...“

ეს მახვილგონივრული ეპიზოდი ასე-თი, ხალასი ხალხური სიბრძნის გა-მომხატველი, სიტყვებით მთავრდება:

„– ის ძეგვნარი გაგენალდათ მაინც, კაცი ვერ გაივლის...“

– არ არსებობს, ბატონო, ალაგი, სა-დაც კაცისშვილი ვერ გეიარს...“

მე ასე ვიფიქრე, რომ იმ მდიდრული საფლავ-გალის პატრონი საბჭოთა ნო-მენელატურის ნარმომადგენელი უნდა ყოფილყო და ამიტომაც მკვდარიც კი პატივისცემას ალუძრავდა ფოსტა-ლიონს და აიძულებდა საფლავზე მის მიერ გამონერილი გაზეთები მიეტანა. თუმცა რეზო ჭეიშვილი, თავისი თხრო-ბის მანერიდან გამომდინარე, ამ კომენ-ტარს არ აკეთებს.

ან კიდევ, რომანში ერთ-ერთი პერსო-ნაჟის მონათხრობი იმის შესახებ, რო-გორ შეხვდა პირადად ძველი ბოლშევიკი ლენინს ოთხვერ: ერთხელ, რომელიდაც ყრილობაზე, ლენინს მოხსენება უნდა წაეკითხა და არ მოვიდა, შეუძლოდ არისო. მეორედ – სესიაზე უნდა მო-სულიყო, მაგრამ მაშინაც ვერ მოვიდა. „მესამეხელ“, კომინტერნის ყრილობაზე ვერ მოვიდა, ძველ ბოლშევიკს გული დასწყდა ძალიან. მეოთხედ ლენინს შემ-დეგნანირად „შეხვდა“: აქტიური კომიავ-შირლები გორგაში წაიყანეს ლენინთან შესახვედრად, იარეს მატარებლით, ფე-ხით, სასახლეში არ შეუშვეს, შეუძლოდ არისო, უკან რომ მოდიოდნენ, მატარე-ბლით, გამოაცხადეს, მოკვდაო. „მე ამას დავარქეო მეოთხე შეხვედრა ლენინ-თან“... ესეც ძველი (ქუთაისელი!) ბოლ-შევისი იუმორი.

ლენინი, თავისი შემზარავი ავადმყო-ფობით, სტალინი, მისი ღამის ფიქრები („არ თენდებოდა. საწოლი-ზე, ტახტიდან ტახტზე გადადიოდა ხელმიწის ადგილში, არ ეძინებოდა საგარეუბნო სასახლეში გამოკეტილ მარტოსულს. ღამე არა ძილისა... ღამე ღალატის, ლანდებისა და მოჩვენებები-საა, მათი როკვის და ზემის დროა... არ უნდა დაიძინო... არ უნდა დააძინო... მკვდრებისა და ჩინჩხების ქვეყა-ნას ღამე უნდა უთოო“)... და სტალინის დედა, რომელსაც ერჩია შეილი მღვდე-ლი ყოფილყო მაშინაც, როცა ის „ხელ-

მწიფის ადგილში იყო და მთელ ქვეყა-ნას მართავდა“, ბერია, ტროცკი და მასთან ერთად მისი თაყვანისმცემლები – მექანიკელი მოქანდაკე რიბერია და ფერმწერი – ფრიდა კალო, ტროცკის საზარელი მკვლელობა მექანიკში... დროის და პერსონაჟების შესაფერისი ულმობელი ხედვა და გროტესკი, და ავტორისთვის ბუნებრივი მასტებუ-რობა, და მათთან ერთად, იუმორით და სიყვარულით დაწერილი ქუთაისელე-ბი... „დონ კიხოტიო, სერვანტესმა ბრ-ძანა, ჩემთვის დაიბადა ისე, როგორც მისთვის გავრჩდი მე. ჩემთვის დაბადა ბესარიონ ერისთავი, ბუდუ ქვარიანი, ჟოზეფინა... და მათთვის გავრჩდი მეც!“ რა ნალი სიტყვებია! ალბათ, ყველა ნამდვილ მწერალს ჰყავს პერსონაჟები, რომლებისთვისაც დაიბადა ის და რომ-ლებიც მისთვის მოევლინენ ქვეყნიერე-ბას.

იმ დროის ამზების აღნიშვნისას – ულ-მობელი, ცინიზმამდე მისული ინტო-ნაცია და გვერდით – იმ დროის ადა-მიანის მიმართ თანაგრძნობით სავსე, ტკივილიანი სტრიქონები... „ერთმა-ნეთს გვანან იმდროინდელი ფოტოე-ბი, – არაოდენ ფოტოტექნიკოლოგით, იმდროინდელი დამლით, საფოსტო გრიფით ან სხვა აქსესუარებით, არამედ ადამიანებით, მათი გამომეტყველებით, თვალებით, შიგ ჩაბუდებული სევდით... რა საიდუმლოებებს ინახავენ დროის ეს უტყვი ხატები, ამოუცნობია... ბე-ვრი იმდროინდელი ფოტოსურათი გადამიმორჩინება ამ თვალსაზრისით. ჟგუფური სურათიდან გამომირჩევია და თითო დამიდევს: აი, ეს, ეს, ეს! არ შევმცდარვარ: დაჭერილია, დახვრე-ტილია, გაციმბირებულია. აი, ეს! გა-მხდარი, ყვრიმალებჩამონეული, ბუდე-ში ჩაქვეთებული თვალის კაკლები... თვალებში, თვალმზერაში, ჩამჯდარი, გაქვავებული, შიშგარეული სევდაა შენახული...“ ეს ნამდვილად მწერლის მიგნებაა, მწერლის ხედვის სიმძაფრე – ჯგუფურ პორტრეტებზეც ამოსაცნო-ბი – მომავალში გასაციმბირებელი თუ დასახვრეტი – ადამიანების შიშნარევი სევდა. ბედისწერა, რომელსაც ადამია-ნები თან ატარებენ...“

1956 წლის 9 მარტი... რა შემზარავია ეს, ქართველებისათვის დამახასიათე-

ბელი მიამიტობით, უგუნურებით, ჯუ-
დეს უაზრო ყვირილით და მოედანზე
მიყვანით, და ჯამში, უცნაური აბსურ-
დულობით და ტრაგიზმით გაჯერებუ-
ლი ეპიზოდ!

და საბოლოოდ, ამ დაფლეთილი,
ნაწყვეტ-ნაწყვეტი თხრობით, სხვა-
დასხვა, შეთხზული თუ ისტორიული
პერსონაჟების მიერ ნააპობის, თითქოს
ერთმანეთთან დაუკავშირებელი ამბე-
ბით, დროსა და სივრცეში მოულოდნე-
ლი გადახტომებით, „უკიდურესობამდე
დოკუმენტური და ჭეშმარიტად მხა-
ტვრული მანერით იქმნება სულ სხვა-
დასხვაგვარი ქვებით მოჭედილი მოზაი-
კა – ეპოქის ძალიან თავისებური და,
ამავე დროს, ნალიდი ხატი.

მე პირადად კი, განსაკუთრებით
გულზე მომხვდა ერთი ეპიზოდი რეზო
ჭეშვილის რომანიდან: როგორ აგდებს
პატიმარი მატარებლიდან წერილს იმ
იმედით, რომ იქნებ ვრნები ლეთისიერ-
მა მითითებულ მისამართზე გადაგზა-
ვნოს და როგორ ეშინა, რომ ვიღაცამ
დაინახა ეს მისი „მტრული“ აქტი და
ადგილზე ჩასვლისას დაპატიმრებენ...
გულზე მომხვდა იმიტომ, რომ თვითოონ
მაქვს განცდილი: როცა დედაჩემი პოტ-
მას ქალთა ბანაკიდან ჩრდილოეთისკენ
წაიყვანეს „ეტაპით“, ის უცეპ დაიკარგა
ჩვენთვის – იშვიათი „შტამპიანი“ წერი-
ლებიც აღარ მოდიოდა – შესაბამისად,
აღარაფერი ვიცოდით მის შესახებ, სად
იყო, ცოცხალი იყო თუ არა... მახსოვს,
როგორ მიფრთხილდებოდნენ რაუდენ
ბიძა და დეიდა მარო, როგორ ჩუმდე-
ბოდნენ, თუ მოულოდნელად შევიდოდი
ოთახში, რაუდენ ბიძა უდარდელი ხმით
რაღაცას შემეკითხებოდა, მეც, თუმცა
ვხვდებოდი ამ უხერხული გარემობის
მიზეზს, მხარს ვუბამდი და ისეთივე კი-
ლოთი ვპასუხობდა; მშიშ კი სულ უფრო
და უფრო მძიმდებოდა, რადგანაც უკვე
მეც, ჩემი ცხოვრების გამოცდილები-
დან გამომდინარე, დიდებთან ერთად,
მშენიერად ვიცოდი, რას მოასანვებდა,
უფრო ხშირად, პატიმრის ასეთი უცა-
რი გაჩუმება. და აი, ერთ დღეს მოვიდა
წერილი, ის არ იყო დედაჩემის მიერ ბა-
ნაკიდან გამოგზავნილი სამკუთხა ბარა-
თი, რომელსაც ზემოთ და ქვემოთ ერტყა
შტამპი – „პროვერენი“, ის ჩვეულებრი-
ვი წერილი იყო და ბური ხელში ხელი

შეუჩეველი ადამიანის ხელით, რუსუ-
ლად, ჩვენი მისამართი ეწერა. ამჯარად
შეშინებული რაუდენ ბიძა ჯერ შუბლ-
შექმუხნილი ატრიალებდა ხელში ხელი-
თნაკეთებ კონვერტს, მერე ფრთხილდდ,
ძალიან ფრთხილად გახსნა... იქიდან კი
ამოვარდა დედაჩემის სამკუთხა წერილი
(„პროვერენის“ გარეშე) და ქალალდის
ნაგლეჯზე მიწერილი: „ეტო ვიპროსილი
იზ პოეზია. დრუგ“ არასდროს სიტყვა
„დრუგ“ ასე მნიშვნელოვად არ გაუდე-
რებულა ჩემთვის! ამ „დრუგზე“ ხშირად
ვფიქრობდი, ვხედავდი მარად თოვლში
ჩაფლული ქვენის მკვიდრს, რომელ-
საც სულ სცივა, თავზე ჩამოფხატული
უშანკით და „ვალენკებით“, ვხედავდი,
როგორ მილასლასებს ორმოცგრადუსან
ყინვაში რეინგზის გასწრივ, როგორ
ჩაუქროლებს რკინებაკრული მატარებე-
ლი და როგორ დაინახავს მის თვალწინ
მატარებლიდან გადმოგდებულ და თო-
ვლში ჩავარდნილ წერილს, როგორ კი-
თხულობს მინაწერს, შეშინებული იყურე-
ბა აქტი-იქტი, – როგორც მოგვიანებით
დედმ მიამბო, იქ ეწერა: „დოროგო
დრუგ, უმოლიაუ, პოშლიტე ეტო პისმო
მოერ მაღლენი დოჩერი პო ადრესუ“...

– როგორ მოქმედებს კაცზე ეს უბრა-
ლო და ასეთი გასაგები სიტყვები, (იქნებ
მასაც ჰყავს სახლში პატარა გოგო), რო-
გორ ერევა შიშს, წერილს უბეში ინახავს,
შეიპარება იზბაში ჩუმად, რომ არავინ ნა-
ასწროს ამ საშინელ დააშაულზე, აკანკა-
ლებული ხელებით, მალულად აკეთებს
კონვერტს, აწერს მისამართს, და ასევე
ჩუმად, როგორც დამნაშავე და „ხალხის
მტერი“, ლამით მიდის მიყრუებული სტა-
ნიცის ერთადერთ ფოსტაში და წერილს
საფოსტო ყუთში აგდებს... ალბათ, ის ბე-
ვრად უფრო გვიან გახდებოდა მისთვის
საამაყოდ გასახსენებელი და შვილიშვი-
ლებისთვის მოსაყოლი საგმირო საქმე!

დედა კი, ათი წლის ციხის და გა-
დასახლების, „ეტაპით“ – ხმელეთზე
ცხოვრებისთვის განკუთვნილი მატა-
რებლით, ჩრდილოეთ ყინულოვან იკე-
ანებში – საბარგო გემით, აძვა-ვომიდან
კოჩმასამდე, მუხლამდე თოვლში, გაუ-
საძლის ყინვაში, ფეხით – უთავბოლო
ხეტიალის, ტრიალ თოვლიან მინდოოში
დასახლების და ქალაქ ვორუტას „შე-
ნების“, ტაიგასა და ტუნდრაში ჩაყი-
ნული ბუჩქების ამომძირკველად და

ველავდი, როგორ

მილასლასებს

ორმოცხრადუსიან

ზოვანი რაინიგზის

გასცვრივ, როგორ

ჩაუქროლებას

რაინიგზაპრული

მატარებელი და

როგორ დაინასავს

მის თვალინი

მატარებელი და

გალოგზებულ და

თოვლში ჩავარდილ

ნირის: „დოროგომი

დრუგ, უმოლიაუ,

კომლიტე ეტო კისმ

მოეი გალენერი

დორეარი კო ადრესუ“...



ველი ყვავილის, იაშურუნასი, რომელიც ქალთა ბარაკის ქვიშიან ეზოში ამოვიდა, დედას მან რაღაცით – „თვალებს თუ მივამსგავსე მისი იისფერი ფოთლები მუქი წერტილებით ძირში“ – თავისი შვილი გახსენა, ამის მერე დილაობით ჩუმად მიიპარებოდა და რწყავდა... ერთ დილას იმ ადგილას რუსი ქალი დახვდა ჩაჩიქილი და მიწაც ახალი მორწყული. და ქალმა დარცხვენით უთხრა: ეს ყვავილი რაღაცით ჩემს მარინას მაგონებსო... „მე არ ვუთხარი, რომ მე კი ლანას მაგონებდა იაშურუნა. შემეშინდა, რომ ორივე ავტირდებოდით და სიხარული ჩაგვიქრებოდა“ – დაწერა მოგვიანებით დედამ თავის მოთხოვნაში. ამის მერე დედა სხვა ამბებსაც მიამობდა, – მისი მეხსიერება „იმ ცხოვრების“ უმრავ „სატირალ“, შემზარავ და ადამიანურ ისტორიებს იტევდა. მე ძალიან ვთხოვდი, რომ დაწერა ყველაფერი, რაც გულში ჰქონდა ჩაჭედილი, რადგანაც მშვენივრად მესმოდა ამ აქტის მნიშვნელობა, და არა მარტო ჩემთვის. და დედამ მართლაც დაწყო წერა, წერდა ნელა, დიდი ინტერვალებით. პირველი მოთხოვნები

სტალინის სიკვდილამდე დაწერა, როცა მათი გახმაურება ნამდვილ საფრთხეს-თან იყო დაკავშირებული. სამწუხაროდ, ჩანაფიქრის მხოლოდ პატარა ნაწილის ხორციელად შესძლო, რადგანაც დადნანს მძიმედ იავადმყოფა და 62 წლისა გარდაიცვალა.

და აი, მე ხელთა მაქეს ეს მოთხოვნები. ისინი ერთხელ, დედას სიკვდილიდან 20 წლის მერე, პერესტროიკის ხანაში, როცა ეს შესაძლებელი გახდა, დაიბეჭდა „ლიტერატურულ გაზეთში“. მერე მე გამოვაქვეყნე ნაწყვეტები ჩემს წიგნში „რაც მაგონდება და როგორც მაგონდება“. და თუ დღეს ვუპრუნდები ამ თემაზე საუბარს, ეს ისევ მათ-თან შინაგანი პოლემიკის გამოა, ვინც თვლის, რომ იმ დროის შესახებ არც მაშინ და არც მერე საქართველოში არაფერი დაწერილა!

„იაშურუნა“, „ბედნიერების მატარებლები“, „ორი მეტამორფოზა“, „გალ-სი პერიოზე“, „ფეხით აძვა-ვომიდან კოჩმასამდე“, „ორი სიმღერა“... ამ მოთხოვნებში ჩატეულია იმ აბსურდულ ცხოვრების ამსახველი ყოფითი დეტა-

ლები და მხატვრული განზოგადოებები, რომლებიც მოვლენის არსა სწვდება და აშიშვლებს აბსურდს...

არქიპელაგი გულაგი – ეს სიტყვათა-წყობა იმ გენიალურ მიგნებად მიმაჩინია, რომელიც მეოცე საუკუნის ერთ-ერთ ნიშანსვეტად იქცა. არქიპელაგი – განმარტებითი ლექსიკონის თანახმად, ერთმანეთთან ახლოს მდებარე კუნძულების ჯგუფი, ხოლო გულაგი? საბჭოთა სისტემისთვის ასეთი ბუნებრივი აბრევალტურა: „გოსუდარსტვენიო უპრავლენი ლაგერეი“... როდესაც თავისუფალ სამყაროში პირველად გაიგეს ეს სათაური, ბევრი საბჭოთა კაუშირის რუკაზე ეძებდა არქიპელაგ „გულაგს“, ეძებდა და, რა თქმა უნდა, ვერ პოულობდა, რადგანაც ასეთი სახელნოდების არქიპელაგი არ არსებობდა ბუნებაში, ის ერთდროულად აბსტრაქციაც იყო და საზარელი რეალობაც, მწერლის ნარმოსახვით შექმნილი და ამავე დროს საბჭოთა რეალობის ყველაზე შემზარავი მხარის ამსახველი.

>>> გაგრძელება გვ. 99



ერთი ლამის ამბავი

<< დასაწყისი გვ. 38

თავდაჯერებულად მისულს კურიოზით პირველსაც დღეს დაემართა, როცა ერთ-ერთმა ლექტორმა, ნუგზარ ბაგრატიონმა ჰქითხა:

„რამდენი წლის ხარ?“

ლაშამ მშვიდად უპასუხა:

„თუთხმეტის!“ – და ვერაფრით მიხვდა, რატომ იცინოდა ასე გულიანად ხალხი.

სწავლის პერიოდში ცოტნე ნაკაშიძემ, რომელიც სამეფო უბნის თეატრში „მოკეთილისა“ და „სტუმარ-მასპინძლის“ გაერთიანებულ ვერსიას დგამდა, ეპიზოდურ როლზე მიიწვია. სპექტაკლში კოსტიუმებს პირობით დეკორაციის ფუნქცია ჰქონდა და ნაბეჭდით შემოსილი მსახიობები ხან მთები იყვნენ, ხანაც – ცხენები. მთელი სირთულე იმაში მდგომარეობდა, რომ რეპეტიციები ზაფხულში მიმდინარეობდა და ივლისის შუა რიცხვებში გამართული პრემიერის შემდეგ ლაშა მიხვდა, რომ შვიდი კილოგრამი ჰქონდა დაკლებული. სამეფო უბნის თეატრში კიდევ ერთი, ბერის ეპიზოდური როლი შეასრულა „შუანიკის ნამებაში“, ამ როლის გამო ხმის დასაბორებელი სავარჯიშოები ისნავლა და ხანგრძლივი შრომის შემდეგ მიზანსაც მიაღწია – გამოუვიდა!

„მებარდე ურია“

2000 წელს ლაშამ თეატრალურ უნივერსიტეტში ჩაბარება გადაწყვიტა. საბუთებიც შეიტანა, მაგრამ სიცხისა და ნერვიულობისგან დაბნეულს დრო აერია, გამოცდაზე მაშინ მივიდა, როცა ბიჭების ჯგუფი უკვე სახლში იყო წასული. უნდა ითქვას, რომ აქაც ორიგინალურად გამოიყურებოდა: დეიდშვილის ნათხოვარი, სამი ზომით დიდი პერანგი ეცვა, როგორც თავად აბიბს, იეზუიტის ვარცხნილობა ჰქონდა და დაგვიანების გამო მომავალი თანაკურსელი გოგონას სამი ზომით პატარა ცეკვის ჩუსტებით მოუწია კომისიის წინაშე გამოსვლა. ახლაც ვერ ხვდება, რატომ მიიღეს.

ერთი წლის შემდეგ სარეჟისორო ფაკულტეტზე გადავიდა, ქალბატონმა ლილი იოსელიანმა გარკვეული პირობით მიიღო: „ერთი წელი თავისუფალ მსმენელად იარე, თუ მომენტნები, ჩემს სახელოსნოში აგიყვანო“.

ისევ გაუმართლა. პირველ წელს გიფუას „მამის მონოლოგი“ დადგა – პიესა 70-იანი წლების ჰიპეტზე. ძირითადი სათქმელი იმაში მდგომარეობდა, რომ მშობლები ხშირად შვილებს ადანაშაულებრივ მათსავე ნარუმატებლობაში. ლაშამ პიესა ირიგინალურად გადაწყვიტა: ფინალურ სცენაში „უძლები შვილის დაბრუნების“ ფონზე მამა მიდის შვილთან

პატივების სათხოვნელად და არა პირიეთ. როცა ვეკითხები, რა არის ასეთი გადაწყვეტის მიზეზი, მპასუხობს, რომ, ალბათ, მშობლების მიმართ გულში ჩარჩუნილი წყვნა, რომ მისი პატარაობისას დედ-მამაც პატარები იყვნენ, სწავლობდნენ, მუშაობდნენ და შვილისთვის არ ეცალათ. სპექტაკლს ცხარე კრიტიკა მოპყვა, თუმცა კომისიის ერთ-ერთმა წევრმა, რეჟისორმა ნინო ლიპარტელიანმა ლაშას საქციელი მოუწონა და მეორე კურსიდან თეატრალურ სარდაფუში ასისტენტად აიყვანა.

შემდეგ კურსზე ქალბატონმა ლილი იოსელიანმა „შობის მეთორმეტე დამე“ დადგა და ლაშას, ბერის როლის შესრულებასთან ერთად, კოსტიუმების მხატვრის ფუნქციაც დააკისრა. ჩვენი გმირი ამ საქმინობისგან შორის არ იდგა, რადგან ბავშვობაში, ოჩამჩირეში, აქტიურად უდგამდა მეზობლებს სპექტაკლებს და წარმოდგენებისთვის კოსტიუმებსაც თავად ქმნიდა. ტანსაცმლის გადარჩევისას მეზობლის ქალები ყოველთვის ეძახდნენ, ძველმანებს აჩვენებდნენ და ეკითხებოდნენ, მათგან რამე ხომ არ გამოადგიბოდა.

მაშინ ბაბუა ხედავდა, რომ მისი შვილიშვილი საოჯახო საქმეებში მიხმარების ნაცვლად ფერად-ფერადი ქსოვილებით ხელში აქეთ-იქით დაქროდა, და ძალიან ბრაზობდა, მეტსახელიც კი შეარქვა – „მებურდლე ურია“. ბაბუა ვერაფრით ხედებოდა, ვისგან შეიძლებოდა გამომჰყოლოდა მის სენიას ასეთი საქმინობისადმი სიყვარული, სანამ არ გაახსენდა, რომ მისი ძმა პირველი მსოფლიო ომის დროს, პოლონეთში ჯარისკაცებს სკეტჩებს უდგამდა. ბაბუამ აზრი შეიცვალა და მეზობლებს სიამყით უცნებოდა: „მიშას ჰგავს, მისი ნიჭი გამოჰყევა“.

მემკვიდრეობით მიღებული ნიჭი ლაშამ თეატრის მეერავთან, ქალბატონ ციცოსთან გამოავლინა, რომელიც იმხანად ჩინებულად კერავდა, მაგალითად, შარვალს: ქსოვილს შუაზე ჭრიდა და ორი მხრიდან ლამბავდა, და მსახიობებს კოსტუმი პირველივე წარმოდგენაზე ეხეოდთ.

ლაშა ქალბატონ ციცოსთან „ბურდას“ თარგებით ხელდაშვენებული მივიდა, და ისინი ახალი მეთოდით შეუდგნენ მუ-

შაობას.

საბედნიეროდ, სამკერვალო სცენის გვერდით მდებარეობდა. ლაშა ბერის ეპიზოდებს სცენაზე გადიოდა, დანარჩენ დროს კი გულმოდგინედ კერავდა. დატვირთული დღის შემდეგ ოსტატი და შეგირდი საგანგებოდ მოტანილ საფერავს შეექცეოდნენ. დამამთავრებელ კურსზე, წინასაღიძლომოდ, ლაშამ პაროლდ მიუღერის „ჩუმი ღამე“ დადგა. მოქმედება მოხუცთა თავშესაფარში შობის წინა დღეებში ვითარდება, სადაც ტელევიზორით ხელდამშვენებული შეილი დედასთან მხოლოდ იმიტომ მიდის, რომ უძრავი ქონების გასაყიდად მისი ხელმიწერა სჭირდება. სპექტაკლი ძალიან სევდიანი გამოვიდა, უფრო სევდიანი კი ის იყო, რომ პრემიერამდე რამდენიმე დღით ადრე მთავარი როლის შემსრულებელმა ლაშა დააღალატა და რეჟისორს თავად მოუხდა ამ როლის თამაში. პირველი

წარმოდგენის შემდეგ (სპექტაკლი ორჯერ ითამაშეს) ლაშას დედა ტიროდა, ვაითუ მეც ასეთი სიბერე მელისო, მაგრამ პიესის გმირისგან განსხვავებით, მას გაუმართლა.

უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ლაშა ადაპტაციისა და ინტეგრაციის ცენტრ „აისი“-ში მინვიეს. მას განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვებთან და მოზარდებთან უნდა ემუშავა და მათვის სპექტაკლები დაედგა.

პირველი სპექტაკლი „პატარა უფლისნული“ ბავშვებმა პროფესიონალ მსახიობებთან ერთად თეატრში „თეატრი ათონელზე“ ითამაშეს. მაყურებელთან ურთიერთობა, სცენაზე მუშაობა და პლოდისმენტები მოტივაციაც იყო და დიდი სიხარულიც.

შემდეგი წარმოდგენა, შარდენის ქუჩაზე, ლვინის ფესტივალთან იყო დაკავშირებული. დიონისე (გიგო) თავის

მეგობრებთან ერთად ბუტაფორიულ ყურძენს კრეფდა, წერავდა და ლვინოს მაყურებელს სთავაზობდა.

მერე „ათონელზე“ მუსიკალური სპექტაკლი დადგეს, „მანატუნა“, მერე – ილიას უნივერსიტეტის სტუდენტების, სპეცებდაგოგებთან და „აისის“ ბერეფიციარებთან ერთად – „ინგლისის ვარდები“, ვაკის თეატრალურ სარდაფში ითამაშეს.

შალას აივაზი

„მანატუნადან“, „ინგლისის ვარდებამდე“ მოგზაურობის, უცხო ქვეყნების ხანა ჰქონდა.

ჯერ იყო და, ლაშა როსტოკანა იზმირის ალტერნატიულ ბანაკში მოხალისედ მუშაობდა – დილის შეიძიდან საღამოს თერთმეტ სათამდე ჯარისკაცებს, განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვებს და იქ დამსვენებელ მოზარ-

ლაფიქეი, ვის ანეობ შენს წბილებს!



ცაი ლინი

გაგრძელება

დებს დრამისა და იოგას გაკვეთილებს უტარებდა. დღის განმავლობაში იღლებოდა, სალამის კი ჩვეულ გასართობს უპრუნდებოდა და სასტუმრო „აფა-ჯან მოტელის“ ფანჯრიდან ეგეოსის ზღვას გაჰქიცებდა.

შემდეგ ლაშა „ევროპელი მოხალისე-ების სერვისის“ ფარგლებში ლიტვაში გაიგზავრა. ათი თვეს მანძილზე ის ვილნიუსში ცხოვრობდა და დღის სარეაბი-ლიტაციო ცენტრ „Viltis“ არტ-აქტივობების პედაგოგის ასისტენტად მუშაობდა.

ერთი კვირის შემდეგ მას გაზეთიდან და ტელევიზიიდან დაურეკეს და ინტერ-ვიუ სთხოვეს. ლაშა ასეთმა ინტერესმა ძალიან გააკირქვა, თუმცა უურნალის-ტები უფრო გაკვირვებულები იყვნენ აქტოდასახმარებელი საქართველოს მოქალაქე რატომ ეხმარებოდა ხალისით ლიტველებს. საკვირველი და სასაცილო იყო ტელევიზიის წარმომადგენლის მო-თხოვნებიც, რისი შედეგიც -20 გრადუსში აიგანზე შესრულებული „შალახო“ და სუფრასთან მარტოდმარტო მდგარი ლაშას მიერ შესტელი სამშობლოს სა-დღეგრძელო იყო. უურნალისტმა ლაშას მოხდენილად გავლაც სთხოვა, თუმცა ქუდისმოუხდელად, რათა მისი შედები-ლი თმა არ გამოჩენილიყო. ტელევიზიაშ ლაშა სამსახურებრივ გარემოშიც გა-დაიღო, როცა ის ინვალიდის სავარქელ-ში მსხდომ ბავშვებს „ტანგოს“ ცეკვას ასწავლიდა.

აი, ასე!

აი, ასეთი, ბეპილას ბიზი

ამჟერად ჩვენი გმირი ილიას უნივერ-სიტეტის იდენტობის კვლევების ფაკულ-ტეტის ძოეტორანტია. ცოტა ხნის წინ მეგობრებთან ერთად არასამთავრობო ორგანიზაცია „არტ-იერა“ დააარსა, რომლის მიზანი ინტეგრირებული ხელო-ვნების განვითარებაა.

პოდა, ერთ-ერთმა მოსწავლემ ლაშას ნახატი აჩუქა: სამსართულიანი, ლამაზი სახლი, რომლისკენაც თავად ავტორი საწურებით დატვირთული ჩანთით მი-დის.

ლაშა ამბობს, რომ ეს ოცნების სა-ხლია.

დღეს ლაშა ბავშვთა პოლიკლინიკის მიმდებარე ტერიტორიაზე, ყოფილი სტომატოლოგიური სასწავლებლის შე-

ნობაში ცხოვრობს, რომელსაც, რო-გორც სპეციალისტები ამბობენ, ოთხი მხრიდან წყალი აქვს შემდგარი. მაგრამ ჩვენი გმირი ამაზე ასეთ წერილმანებზე საფიქრად დროს არ კარგავს.

...გაკვეთილებით და რეპეტიციებით დაღლილი ბავშვები სახლში მიდიან. ლა-შაც სახლში მიდის, თუმცა არა, გატყუე-ბთ, ლაშას მეგობრის მისალებ თასში სამკერვალო აქვს მოწყობილი და საქმეს იქ აგრძელებს.

მთელი ოთახი ფერადი ქსოვილებით, ბუმბულებით, პარიკებით, ნილებითაა მოფენილი. ლაშა საკერავ მანქანას უზის და ოცდამეათე კოსტიუმს კერავს. აქვე ანუგია უკვე გამზადებული ნამიას, კა-ტის, ქალბატონი ბუს, ვარსკვლავის, პა-რიქმახერის ულამაზესი და ორიგინალუ-რი კოსტიუმები - „მებურდლე ურიას“ ნიჭის ნამდვილი დასტური.

ზის ლაშა, კერავს და სევდიან ამბავს მიყვება:

ბებიის და გულნარა ჩიტაია პოლიომე-ლიტიო იყო დაავადებული. მისი მდგო-მარეობის გართულებას ხელი იმანაც შეუწყო, რომ მას სათანადოდ ვერ მოუ-არეს.

თურმე, სულ ახალგაზრდა როცა იყო, ბებიდას ბიჭი შეუყვარდა და რადგან სახლიდან გასვლა არ შეეძლო, მის ყო-ველ მოძრაობას ფანჯრიდან ადევნებდა თვალს.

თურმე, ბებიდა უსაქმოდ არასდროს ყოფილა. თუკი ბავშვებმა სოფელ დო-დღანიში წერა-კითხვა იცოდნენ, სწორედ ამ ქალბატონის დამსახურება იყო.

თურმე, ბებიდას თხილის ორ ჯოხს შორის თოკი ჰქონდა გაბმული, ჯოხის ბოლოზე პინცეტს ამაგრებდა და წარბე-ბს ისე იკეთებდა.

თურმე, ბებიდა ლაშას ბაბუანვერას, გვირილას და სხვა მცენარეების მო-სატანად აგზავნიდა, რომლებისგანაც ღლოსინებს ამზადებდა, ლაშას კი შორს წასვლა ეზარებოდა და მცენარეები სა-საფლაოდან მოჰქონდა.

გულნარა ჩიტაია 41 წლისა გარდაი-ცვალა.

მერე კიდევ რაღაცას მოყვა და - ღმერთო, მაპატიი! - ძალიან ვიცინე. როგორი კარგი ქალი ყოფილა გულნარა ჩიტაია!

ლაშაც ცოტა ასეთია: კაცი რომელიც

არ დარდობს, არც ჩივის, რომელმაც ყველაფერი იცის, ყველაფერი შეუძლია და ყველასი ყველაფერი ესმის.

და ბოლოს:

ტერესა ვილარდელის პიესის მიხედ-ვით დადგმული სპექტაკლის „ერთი ლა-მის ამბავი“ პრემიერა შედგა 21 აპრილს. წარმოდგენაში განსაკუთრებული საჭი-როების მქონე ბავშვებთან და თბილისის № 21 სკოლის მოსწავლეებთან ერთად პროფესიონალი მსახიობები - მაა ლო-მიძე და ლეო ანთაძე თამაშობენ.

ერთ-ერთ რეპეტიციაზე მისულს ბა-ვშვები ეჭვის თვალით მიყურებდნენ. ათიოდე წუთის შემდეგ მაშიკო მოვიდა, გამზადარი, დიდთვალება გოგო, და მკი-თხა:

„თქვენ ვინ ხართ?“

მე ვუპასუხე, რომ მათ მასწავლებელ-ზე ვწერ. როგორი კაცია?

„კარგია, კეთილი,“ - ერთხმად მიპა-სუხეს. - „თუმცა ხანდახან, როცა ვა-ბრაზებთ, მკაცრია“.

ჩემი დაკვირვებით, ეს „ხანდახან“ ხშირად ხდება. ბავშვები გაუთავებლად დარბიან, ბიჭები შუქს აქრობენ და უკუ-ნეთ საბნელები გოგონების გამაყრუ-ებელი კივილი ისმის, მიზარდებს თავზე მუყაოს ყუთით აქვთ ჩამოცმული და ისე დადინან, გოგონები ბოძებზე არიან შე-მოხეული და ხმამალა იცრიან. ლაშა მოთმინებით ელოდება მათ დაშრმშმინე-ბას და რეპეტიციას იწყებს. მეათასედ, მაგრამ, უნდა ითქვას, შესაბური სიიშვი-დით ხსნის მიზანსცენებს, კატის როლის შემსრულებლებს ყოველ წუთს ახსენებს, რომ აუცილებლად უნდა იქნავლონ, ბა-ვშვებთან ერთად იმეორებს ტექსტს და მოძრაობებს. მაშიკო ოდნავ მოშორებით ზის და თვალს არ მაცილებს, რამდენიმე წუთში ველარ ითმენს, მოღის და მეკი-თხება:

„სად დაწერ ჩვენზე?“

„ცხელ შოკოლადში!“

მაშიკოს ეცინება და ისევ მეკითხება:

„კი მაგრამ, ეგ რომ „ილევა?“

ახლა მე მეცნიება და ვუხსნი, რომ უურნალში ვწერ და არა პატარების საყარელ სასუსნავში, და ვპირდები, რომ მასზე აუცილებლად დაგნერ.

ვფიქრობ, პირობა შევასრულე.

ვადური სილი

ასე ჯო დასტინგური მობასესენტ, რომ

ავთორი: გამარჯვებული

როგორ ანდროიდ, ლეპკიაშვილი

(თავი წიგნიდან: „დასტინგური ძალა და დანარჩენ მსოფლიოში“)



„წესისმიზირ ტექსტები ენის ქვეთ
ფუნქციურად ერთ-ერთ დამსტრიქტის“
როგორ იარგები

„ყველა ფაქტურისთვის ბრუნვის
აღნიშვნის უმნიშვნელეს დამსახურებულ
ნიშანი ფასიანის“
ვარდი ვაზავები

„მე კუთხის შემსყირობს ხოლო და
არა ნაკუთხობს“
კველი ხალილი

„ჯო დასტინგური გასტრიზონა“
ვარა ლავაზაძე

„არ რამეს არ ეშველება მატერიალ
არაერთი, სიკუდილოს და უნიჭიანისა
საცხოვი“
საცხოვი

„ტრიქტიდა დასტინგური?“
ნინო ნინო

<< დასახული გვ. 78

იმისთვის, რომ ენამ თავისი ექვ-
სი ფუნქცია შეასრულოს, ანუ იმის-
თვის, რომ ენა ფლობდეს სათანადო
ინსტრუმენტებს ექვსივე ფუნქციის
შესასრულებლად, ეს ინსტრუმენტე-
ბი რაღაცისგან უნდა იყოს დამზადე-
ბული. ეს რაღაც, ცხადია, ინსტრუ-
მენტების ასაწყობად გამოსადევი და
განკუთვნილი დეტალებია. მაგრამ ეს
დეტალებიც ხომ სრულიად ენობრი-
ვია. ამიტომ ისმის ახალი კითხვა იმის
თაობაზე, თუ რისგანაა გაკეთებული
ისინი. პასუხისმომავლი შორს წასვლა არ
გვჭირდება, რადგან აქვე, ენის მეორე
მხარეს, პაიდეგერის ენა-მასალა საბა-
დოსავით გვეგულება. ასე მივადექით
მორიგ თავსატეხს: მაინც რით, რის
მეშვეობით შზადდება ენაში ენობრივი
ინსტრუმენტები? ანუ, თუ პერსონი-

ფიკაციას მიემართავთ, როგორ და რა
იარალის საშუალებით ამზადებს ენა
ინსტრუმენტებს ექვსი ფუნქციის შე-
სასრულებლად?

თითქოს აშკარაა, რომ ენა უნდა
ფლობდეს სპეციალურ იარალს ან ხელ-
საწყოს ფუნქციების შესასრულებლად
გამოსადევი ექვსი სახის ინსტრუმენ-
ტის შესაქმნელად. თუ ეს მართლაც
ასეა, აღმოჩნდება, რომ ენას იაკოპიო-
ნის მიერ დადგენილი ექვსი ფუნქციის
გარდა, ჰქონია მეშვიდე, ასე ვთქვათ,
მეტაფუნქცია, რომლის დანიშნულებაა
საკუთრივი ენობრივი ინსტრუმენტების
დამზადება.

მაგრამ რომელი სპეციალური იარა-
ლებით ახერხებს ენა ამ პირველი ინს-
ტრუმენტების გამოჩარხვას? რა მანქა-
ნებით ამზადებს მათ, რით გამოთლის
და რით ჩამოასაშს, რით გარანდავს
და გაქლიბავს, რით ალესავს?

აქ ჩიხსა და გამოუვალ მდგომარეო-
ბას ის დაინახავს, ვისაც ენაში ჩალრ-
მავება, უკეთ რომ ვთქვათ, ენაში შეს-
ვლა და იქ დასახლება, ენის მოსმენა
და გაგება არ სურს, ან არ ძალუდს.
მე კი გავკადნიერდები და მოგახსენე-
ბთ, რომ ენის რამდენადმე სტატიკურ
ორ მხარეს, ენა-მასალასა და ინსტრუ-
მენტალურ ენას, ერთმანეთთან უნდა
აკავშირებდეს „ენის ღერძი“, რომელიც
უწყვეტი პროცესია. ეს „მინისქვეშა“
პროცესი ენა-მასალას ინსტრუმენტა-
ლურ ენად გარდაქმნის, აყალიბებს და
ინარჩუნებს მას. თვითონ პროცესი კი
ენის ორ მოპირისპირე ზედაპირს შო-
რის არსებული დაპირისპირებისა და
დაძაბულობის ველში წარმოიქმნება.

ამგვარად, ენის ინსტრუმენტალურ-
მა მეტაფუნქციამ ენის სილომეში, ენის
ზედაპირებს შორის გადაინაცვლა და
იაკოპსონისეული ექვსი ფუნქციისგა-
ნაც განცალკევდა. ამით ლინგვისტის
მიერ დადგენილი ექვსეულის უნაკლო-
ბა თუ ამომწურავობა, ჩემდა სასიხა-
რულოდ, ხელუხლებლად გადარჩა.

ვიზიარებ ასევე პაიდეგერის მო-
საზრებას, რომ ენა (ენა-მასალა ჩემი
სახელდებით) პირველად და აშკარად
გამოვლინდება პიეტურ ნაწარმოებ-
ში. ამიტომ მგონია, რომ იაკოპსონი
აჩქარდა, როდესაც ენის ერთ-ერთ
ფუნქციას პიეტური უწოდა. პოზია-
ში, ვფიქრობ, ენა მართლაც პირვე-
ლად ხდება თვალსაჩინო, მაგრამ არა
ინსტრუმენტალური ენა, რომელსაც
იაკოპსონი იცნობს, არამედ ენის მეო-
რე მხარე, ენა-მასალა, რომელიც პაი-
დეგერის მიგნებაა.

სახელდახელო დრამატიზაციისთვის
რომ მიმემართა, ენის ირგვლივ შექმ-
ნილ ვითარებას ასე წარმოვადგენდი:
ენის ერთ, ინსტრუმენტალურ მხარეს,
დგას ლინგვისტი რომან იაკოპსონი,
ხოლო ენის მეორე, ენა-მასალის მხა-
რეს, დგას ფილოსოფონის მარტინ პაი-
დეგერი. ისინი ერთმანეთისკენ ზურგ-
შექცეული დგანან და საერთოდ ვერ
თუ არ ამჩნევენ ერთმანეთის არსებო-
ბას. მაგრამ გვერდიდან თუ შევხდა-
ვთ, ნათელია, რომ ისინი უერთმანე-
თოდ დიდხანს ვერ გაჩერდებიან და
ადრე თუ გვიან მათი შეხვედრაც გარ-
დაუვალია.

გაგრძელება

პროცესი, რომელიც ენას განმსჭვალავს და რომელსაც ზემოთ პირობითად ენის ლერძი დაგარქვი, თავს იჩენს და გამომჟღავნდება პოეზიაში, პირველ ყოვლისა, ლექსში. ცხადია, ნამდვილ, და არა ყალბ ლექსში, რომელიც გარეგნულად ვერსიფიცირებული ტექსტია და სხვა არაფერი. ეს კიდევ ერთი და თითქმის საბოლოო დაზუსტება იმისა, თუ რა არის ნამდვილი ლექსი და რომელი არსებითი თვისება, უნარი განასხვავებს მას ყალბი ლექსისგან. ნამდვილი ლექსის საქმე და დანიშნულება არის ენის თავმოყრა და გამომჟღავნება, უფრო ზუსტად კი ინსტრუმენტალურ ენაში მისივე მეშვეობით ენა-მასალის კონცენტრაცია და რელიეფური გამოკვეთა, გამოქანდაკება. ოღონდ დავამატებ, რომ ამგვარი თავმოყრა-გამოკვეთა თანაბრად მოიცავს და ეხება ენის ფონოლოგიურ, მორფოლოგიურ, სინტაქსურ და სემანტიკურ დონეებს. აქ, ვინ იცის, ნამდვილ ლექსებს შორის უკეთესისა და უარესის გარჩევის თეორიულ კრიტერიუმსაც მივადექით.

ამასთანავე, იმასაც შევნიშნავ, რომ სახელგანთქმული და საყოველთაოდ გავრცელებული ფიგურა, მეტაფორა, სხვა არაფერია, თუ არა ენის შემჭიდროება, შედედება, ოღონდ მირითადად სემანტიკურ დონეზე. ამიტომ მეტაფორა გარკვეული აზრით არის ნაკლული ლექსი, ანუ ლექსი, რომელიც ენის ჩამოთვლილ დონეზაგან, ძირითადად და ახლებურადაა შესრულებული, ანუ რამდენადა თხივე ფერის ძაფი გამოყენებული და მიღწეული ჯერ ერთი ფერის თვლების ერთმნეთთან, შემდეგ კი ყველა სხვა ფერის თვალთან შეხამება, ეს თითქმის მთლიანადა დამოკიდებული ლექსის ავტორზე და იმაზეც, თუ როგორ უმართლებს, როგორ სწყალობს მას ბედი ქსოვის, ანუ თხზვის დროს.

ბარემ იმასაც მოახსენებთ, რომ ლექსის მოსაქსოვი თხი ძაფის, ანუ ენის ზემოხსენებული თხი დონის შესახებ „ცოდნა“ და მათი ერთმანეთისაგან გარჩევის, განსხვავების, შემდეგ კი ერთმანეთთან დაკავშირების უნარი პოეტს ლამის თანდაყოლილი უნდა ჰქონდეს. ამავე დროს, არც ამ უნარის განაფვა ზედმეტი, ოღონდ ეს თითქმის თავისთავად ხდება ლექსის კეთების, თხზვის ხანმოკლე და ინტენსიურ პროცესში. ლექსებს შორის ამაზე ზრუნვა კი რატომდაც ზედმეტი მგონია. შეიძლება იმიტომ, რომ, ჩემი აზრით, უკეთესი იქნება, თუკი პოეტი ლექსიდან ლექსამდე მოკეტვასა და თავშეკავებაში წაივარჯიშებს ხოლმე, რადგან მთავარი საქმე, რაც მას ლექსების თხზვას შორის აქვს გასაკეთებელი, ჩასაფრება და ყურადღებით ყოფნაა. სხვა რამეზე დროისა და ძალის დახარჯვა კი მე მათი გაფლანგვა მგონია.

მეტაფორის მოქმედება ნაკლებად ეხება ენის ფონოლოგიურ, მორფოლოგიურ და სინტაქსურ დონეებს და თითქმის შეუმჭიდროებელს, შეუდედებელს ტოვებს მათ. მეტაფორა რომ ნაკლული ლექსია, ამაზე ისიც მეტყველებს და ამით ისიც აიხსნება, რომ ახალი მეტაფორა, როგორმე წესი, კარგი ლექსივით მოულოდნელია, მომხსიბლავი და თვალსაჩინო.

მეტაფორა, ძირითადად, სემანტიკის ძაფისგან ქსოვს ახალ და მჭიდრო ქსოვილს, მაშინ როცა ლექსი ერთდროულად სემანტიკის, სინტაქსის, მორფოლოგისა და ფონოლოგის შესაბამისი

თხი ფერის ძაფისგან ქსოვს ერთიან და მჭიდრო ქსოვილს. ამიტომ ლექსის ქსოვილს, გინდა თუ არა, აუცილებლად თხი ფერისგან შეთხზული ზედაპირი აქვს, რომელზეც თითოეული ფერის ძაფის ყოველი თვალი ცდილობს შეეხამოს ამავე ფერის ყველა სხვა თვალს, ხოლო ყოველი ფერის ნაქსოვი - დაანარჩენი სამივე ფერის ნაქსოვს. ლექსის ზედაპირი ითხოვერვანი კომპოზიცია და ნაგებობას უფრო მოგვაგონებს, ვიდრე ბრტყელ ქსოვილს.

თუ რამდენად სრულად და ძალდაუტანებლად, ზედმინევნით ზუსტად, ანუ ახლებურადაა ეს პირობები შესრულებული, ანუ რამდენადა თხივე ფერის ძაფი გამოყენებული და მიღწეული ჯერ ერთი ფერის თვლების ერთმნეთთან, შემდეგ კი ყველა სხვა ფერის თვალთან შეხამება, ეს თითქმის მთლიანადა დამოკიდებული ლექსის ავტორზე და იმაზეც, თუ როგორ უმართლებს, როგორ სწყალობს მას ბედი ქსოვის, ანუ თხზვის დროს.

ბარემ იმასაც მოახსენებთ, რომ ლექსის მოსაქსოვი თხი ძაფის, ანუ ენის ზემოხსენებული თხი დონის შესახებ „ცოდნა“ და მათი ერთმანეთისაგან გარჩევის, განსხვავების, შემდეგ კი ერთმანეთთან დაკავშირების უნარი პოეტს ლამის თანდაყოლილი უნდა ჰქონდეს. ამავე დროს, არც ამ უნარის განაფვა ზედმეტი, ოღონდ ეს თითქმის თავისთავად ხდება ლექსის კეთების, თხზვის ხანმოკლე და ინტენსიურ პროცესში. ლექსებს შორის ამაზე ზრუნვა კი რატომდაც ზედმეტი მგონია. შეიძლება იმიტომ, რომ, ჩემი აზრით, უკეთესი იქნება, თუკი პოეტი ლექსიდან ლექსამდე მოკეტვასა და თავშეკავებაში წაივარჯიშებს ხოლმე, რადგან მთავარი საქმე, რაც მას ლექსების თხზვას შორის აქვს გასაკეთებელი, ჩასაფრება და ყურადღებით ყოფნაა. სხვა რამეზე დროისა და ძალის დახარჯვა კი მე მათი გაფლანგვა მგონია.

გადამწყვეტია, ალბათ, ის, თუ რამდენად ახერხებს პოეტი თავის შეკავებას, რამდენად შეუძლია, რომ მოკეტოს, ანუ თავს არ მოახვიოს, ან პირიქით, არ წაართვას ლექსის ქსოვილსა და ქსოვას არაფერი, რაც პო-

ეტის გემოვნებით, შეხედულებებით ან სურვილებით არის ნაკარანახევი. პოეტი მთლიანად უნდა მიჰყევს ქსოვილის ქსოვას და ყური დაუგდოს, მიუხვდეს ლექსის, თუ სად, როდის და რას საჭიროებს და რას მოითხოვს მისგან. პოეტი არავითარ შემთხვევაში, არასოდეს არ უნდა აჩქარდეს. მან არ უნდა იჩქარის არც ლექსის დაწყება და არც დასრულება, ლექსის ძალა არსად არ უნდა დაატანოს. ამასთანავე, პოეტმა ფეხი არ უნდა აითრიოს, არსად არ უნდა შეყოვნდეს არც ერთი ზედმეტი წამით. მან უნდა მოკეტოს, ის უნდა დაელოდოს, და როცა დრო მოვა, ელვისებურად იმოქმედოს.

ლექსის თხზვის დროს პოეტი საეჭვოდ ემსახვება ძენობის ცნობილი პარადოქსს პერსონაჟს, ისარს, რომელიც ერთი წერტილიდან მეორემდე როცა მიფრინავს, უნყვეტად, შეუჩერებლად მოძრაობს და, ამავე დროს, გაჩერებულია ფრენის ტრაექტორიის ყოველ წერტილში. ალბათ, ამიტომ აქვს და, რას იზამ, უნდა ჰქონდეს კიდეც პოეტს უცნაური, პარადოქსული ბუნება, რომელსაც ვერსად წაუვა.

პოეტს სულ უნდა ახსოვდეს, რომ ლექსი აუცილებლად თავისით და თავის ნებაზე უნდა მომწიფდეს ველური ხილივით. მომწიფებული ლექსი კი ან სრულიად გაუფრთხოლებლად დაიწყება, ან პირიქით, შორიდან მოუვლის და შემპარავად, ნაწილ-ნაწილ და ნაბიჯ-ნაბიჯ მოუხალოვდება. ლექსის დაწყებიდან მოყოლებული დასრულებამდე პოეტის მთელი ყურადღება თავისთავად იქნება მოკრებილი და კონცენტრირებული ერთდროულად თხივე ფერის ძაფზე, პოეტს კი მხოლოდ ის მოეთხოვება, ეს უკიდურესად მოკრებილი ყურადღება როგორმე თავისი ხელით არ გაფანტოს.

ერთი შეხედვით დაუჯერებელია, მაგრამ ამის გაკეთებას თავისი საქმიანობის ადრეულ წლებში და დრო-დადრო შემდეგაც შეიძლება შეეცადოს ხოლმე პოეტი იმისთვის, რომ თავი დაალწიოს ლექსების ქსოვას ერთობლივ დაუკავშირებებით არა უნდა აჩქარდეს. მან არ უნდა იჩქარის არც ლექსის დაწყება და არც დასრულება, ლექსის ძალა არსად არ უნდა დაატანოს. ამასთანავე, პოეტმა ფეხი არ უნდა აითრიოს, არსად არ უნდა შეყოვნდეს არც ერთი ზედმეტი წამით. მან უნდა მოკეტოს, ის უნდა დაელოდოს, და როცა დრო მოვა, ელვისებურად იმოქმედოს.

ნავს, რომ სულ მზად უნდა იყოს, ანუ სულ ჩასაფრებული, სულ მოკეტილი, მაგრამ ფხიზლად, თავშეკავებული, აწყვეტილი და აღირახახსნილი.

კარგი პოეტი იმასაც უნდა შეურიგდეს და მიერგიოს, რომელიმე დარტყმული ასკეტივით, რომ არც ერთი საკუთარი ლექსი, და არც ამ ლექსების არც ერთი ნიგნად დაბეჭდილი კრებული, მისი, პოეტის, თავდაჯერებულობისა და თავმოყვარეობის საკვებად და საზრდოდ არ გამოადგება. ასეთი რამ მხოლოდ მაშინ ხდება, როცა პოეტი უნიჭოა, მისი ლექსები კი, ცხადია, უვარგისი. ამის დასტური უთვალავია ქართული პოეზიის ნარსულსა და ანმყოში.

რას იზამს, თუ უნდა, რომ კარგი ლექსები გამოუვიდეს, პოეტი უნდა შეურიგდეს და მიერგიოს, რომ ლექსი, რომელიც საკუთარი ნაშერი თუ არა, ნახელავი მაინც ჰქონია, არც ისე იშვიათად თვითონ მას, პოეტს, დაჯაბნის და დაჩაგრავს კიდეც. ლექსი ხან მთელ ძალ-ღონეს გამოაცლის, დაუკითხავად და დაუნდობლად, ხან კი – თუნდაც მოკლე დროით – ჭუუდან შეშლილს დატოვებს. მაგრამ განსაკუთრებით სასაცილო მდგომარეობაში პოეტი მაშინ აღმოჩნდება, როცა მხოლოდ ლექსის დამთავრების შემდეგ და ისიც გაჭირვებით მოახერხებს მის დანხევას, აღქმასა და გაგებას. ზოგჯერ კი ამის-თვის პოეტს ხელის შეშველებაც შეიძლება დასჭირდეს.

ასეთი რამ რომ ემართება ხოლმე, ყოველთვის მხოლოდ პოეტის ბრალი არ უნდა იყოს. ლექსის თხზვისას პოეტი ცნობიერების რამდენადმე შეცვლილ მდგომარეობაში იმყოფება, ანუ მეტ-ნაკლებად ღრმა ტრანსში. ამ მდგომარეობიდან გამოსულს კი ყვალაფერი შეიძლება აღარც ახსოვდეს, ზოგი რამ წესირად ვეღარ იცნოს. ამიტომ ახლად დამთავრებულ ლექსს იგი თითქოს პირველად ხედავს და კი-თხულობს, თანაც გასავათებული და დაბინდული გონებით. ცნობიერების ამგვარ მდგომარეობას ხელოვნურად ვერ გამოინვევ, თუმცა მისთვის გარკვეული მზადყოფნის მიღწევა, რატომაც არა, შესაძლებელია.

ცნობიერების შეცვლილ მდგომარე-

ობაზე, რომელშიც ლექსი იქსოვება, თითქმის უდავოდ მეტყველებს რამდენიმე აშკარა სიმპტომი: ცნობიერების მკვეთრი და შეუდარებელი, უმაგალითო აჩქარება, რომლის შესახებ საჯაროდაც უთქვამთ, ურვეულოდ ძლიერი და სპონტანური კონცენტრაცია, რომელიც ერთდროულად და მთლიანადა მიმართული რამდენიმე ობიექტისკენ, კერძოდ, ლექსის ქსოვილის შემადგენელი ითხო ფერის, მაგრამ უამრავი ტონის მქონე ძაფებისკენ და ქსოვილის ერთიანი სტრუქტურისკენ. ამგვარი კონცენტრაცია რამდენიმე საქმის ერთდროულად და ერთნაირად ზედმინევნით კეთების საშუალებას იძლევა. თუმცა საუბარი საშუალების შესახებ, რომლითაც შეგიძლია ისარგებლო ან არ ისარგებლო, აქ უადგილოა, რადგან ცნობიერების აჩქარებაც, ყურადღების ურვეულო კონცენტრაციაც და რამდენიმე „არხზე“ გონების ერთდროული მოქმედებაც, სრულიად სპონტანურად იწყება და მიმდინარეობს. ეს სიმპტომები, ჩვეულებრივ, საკმაოდ მოკლე დროით, ლექსის კეთების განმავლობაში, იმორჩილებენ სუბიექტს, პოეტს და განკარგავენ მის ნებას, სხვადასხვაუნარსა და გამძაფრებულ აღქმას. აღქმას, რომელშიც სიტყვები თითქმის დამოუკიდებელ, იზოლირებულ მოცულობას იძნენ და ხმოვნ, ფორეტიკურ პორელიეფებს ემსგავსებიან.

ეს მოვლენა შეიძლება განპირობებული იყოს იმით, რომ „ლოკალურ“ დეფორმაციას განიცდის სიტყვის ფონოლოგიური აგებულება, რაც სიტყვის „აკუსტიკური პოტენციალის“ გაზრდას იწვევს. სტრუქტურული დეფორმაციის შედეგად გაზრდილი აკუსტიკური პოტენციალი ლექსში ინახება.

ამ საკითხის თაობაზე მეტი უნდა ითქვას. აქ მხოლოდ იმით შემოვიფარგლები, რომ, როგორც ჩანს, უნდა ვილაპარაკოთ არა მხოლოდ სიტყვის, არამედ ლექსის აკუსტიკურ პოტენციალსა და აკუსტიკაზე. ლექსის აკუსტიკური ავ-კარგიანობა იმაში გამოიხატება, თუ რამდენად ისმის მასში ბგერები, მარცვლები, სიტყვები და შესიტყვებები. ამ თვალსაზრისით ევფონია, ანუ კეთილმოვნება, სხვა არაფერია, თუ არა ლექსის აკუსტიკუ-

რი პოტენციალის შექმნისა და ათვისების ერთ-ერთი ხერხი. ლექსის გარდა, აკუსტიკა და აკუსტიკური პოტენციალი აქვს ნებისმიერ ტექსტს, რადგან ლექსის აკუსტიკა ენის პოეტური ფუნქციის გამოვლინებაა ტექსტის ფონოლოგიურ სტრუქტურაში. მაგრამ მხოლოდ ლექსისთვის, პოეტური ტექსტისთვისაა იგი არსებითი. საკონცერტო, ან საკონფერენციო დარბაზს, პირველ რიგში, აკუსტიკის მიხედვით აფასებენ, ხოლო, ვთქვათ, სადარბაზოს, ან მინისქება გადასასვლელის აკუსტიკაზე კი ყურადღებას არავინ ამახვილებს.

საგარაუდოდ, ტექსტის აკუსტიკურ პოტენციალს აქვს წმინდა ენობრივი, ფონოლოგიური საფუძველი, კერძოდ, ტექსტში კონკრეტული ხმოვნებისა და თანხმოვნების მონაწილეობა, მათი ინდივიდუალური ძალა, მათი კომპონიცია და, რაც განსაკუთრებით სანტერესო მგონია, ხმოვნებისა და თანხმოვნების შორის პროპორცია, რომელსაც ტექსტი თავის თავში დაადგენს. ესაა თავისისტური ფონოლოგიური ჩარჩო, რომელშიც ტექსტის აკუსტიკური პოტენციალი საფუძველი კონცერტის აკუსტიკური პოტენციალის გენერირება, აკუმულირება და კონსერვაცია ხდება. ვფიქრობ, რომ ასეთი უნდა იყოს ენის პოეტური ფუნქციის მექანიზმი ფონოლოგიის პლანში. ამას-თანავე, ყურადღება მინდა გავამახვილო ხმოვნებისა და თანხმოვნების ზემოხსენებულ პროპორციაზე. ბუნებრივ ენას ლექსიკურ დონეზე ახასიათებს თანხმოვნების დაჯგუფების, კონსონანტური ჯგუფების წარმოქმნის გარევეული სიშირე. ასეთი კონსონანტური ჯგუფები, ცხადია, მეტ-ნაკლებად ავინრეტენ ხმოვნებს და ტექსტში თითქმის ამცირებენ, ჩრდილავნ მათ ფუნქციას.

ხმოვნებისა და თანხმოვნების შორის განსხვავება, რაც მხოლოდ ინტუიციურად არის გასაგები ლინგვისტისთვისაც, იქნებ შეიძლება რომ ალინერის იმ განსხვავების გარეულების წარმოქმნის გარევეულზე, რომლებსაც ისინი ტექსტის აკუსტიკური პოტენციალის შექმნისას ასრულებენ. მეტაფორას მოვიშევლიერ: ხმოვნები ტექსტში არიან ანჯამები, რომლებზეც დაკიდებულია თანხმოვნებისა და მათი ჯგუფების კარები. როცა ანჯამები

გაგრძელება

სუსტია, ანუ ხმოვნები მეჩერადაა განანილებული, კარგი, ანუ თანხმოვანთა ჯგუფები კი ზედმეტად მძიმე, მათი ფუნქციონირება შეფერხებულია, ან თითქმის შეუძლებელი.

ასე ვუახლოვდებით ენის პოეტური ფუნქციის გარდა და მის გერდით ენის პოეტური უნარის დაშვებას. ენის პოეტური უნარი მით უფრო ძლიერია, რაც უფრო „პარმონიულია“ ზემოხსენებული პროპორცია, არც თანხმოვანთა ჯგუფები ჯაბინან ზედმეტად ხმოვნებს და არც თანხმოვნება ხმოვნებში ჩაკარგული. ამ უნარზე უნდა იყოს დამოკიდებული ენის პოეტური ფუნქციის შესრულება და საბოლოოდ კონკრეტულ ენაში პოეზიის შექმნის შესაძლებლობა.

ეს განსაკუთრებით ნათელი ხდება ქართულ ენში, რომელშიც უხვადაა მასიური კონსონანტური ჯგუფები, მაგრამ მათი მასა უმეტეს შემთხვევაში, თითქოს არ აღმატება ხმოვნების უნარს, თავისუფლად ზიდონ ისინი. ადვილი წარმოსადგენია ისეთი ენები, რომლებშიც პოეზიის სპონტანური წარმოშობა აპრილი ნაცეპად მოსალოდნელია კონსონანტური ან სონანტური გადაჭარბების, გადატვირთვის გამო. იმასაც შევიწნავ, რომ თანხმოვანთა ჯგუფები თანხმოვანთა უბრალო შეკრება არაა, ასეთ ჯგუფებში, ჩემი სუბიექტური დაკირებით, ცალკეული თანხმოვნების ინდივიდუალური ფონეტიკური ძალა, თითქოს იზრდება, უფრო მყაფიო ხდება.

ზემოთქმულის ნათელსაყოფად მოვიტან რამდენიმე მაგალითს ქართული პოეზიიდან. პოეტური ტექსტის აკუსტიკას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს რუსთველი და იმდენად სრულყოფს მას, რამდენადც გრძელი პოეტური ტექსტი, პოემა იძლევა ამის საშუალებას. რუსთველს პოემაში, თუ შეიძლება ასე ითქვას, შეაქვს აკუსტიკური ერთეულები, „დარბაზები“, რასაც პოემის ტექსტში გაფანტული მყაფიო აკუსტიკური პასაჟები შეესაბამება. არ გამოვრიცხავ, რომ „ვეფხისტისნის“ ავთენტური ტექსტის აღდგენისა და დაფენისთვის მომავალში მაინც უნდა იქნას გათვალისწინებული ამგვარი, აკუსტიკური ერთეულების არსებობა პოემის შენობაში.

ასევე გამორჩეულად მაღალია ვაჟა-ფშაველას პოემების ფრაგმენტების აკუსტიკური პოტენციალი. სხვა ცნობილ ქართველ პოეტებს კი ან საერთოდ არ გააჩნიათ სათანადო სმენა, ან ისინი ისე პრიმიტიულად, უგერგილოდ და უხეშად იყენებენ ლექსის აკუსტიკურ პოტენციალს, როგორც მომღერალი, რომელიც მეგაფონით შეიარაღებული წარდგება აუდიტორიის ნინაშე და დაუნდობლად აყრუებს მას.

პოეტური ტექსტისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე აკუსტიკური ბის სრული უგულებელყოფის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ნიმუშია დიდ პოეტად შერაცხული ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედება. ნიშანდობლივია აქ ისიც, რომ ნიკოლოზ ბარათაშვილი აღმოჩნდა და პოეტად შერაცხა ილია ჭავჭავაძემ. ამ უკანასკნელს კი თვითონ იმდენად დახმული პეტრი პოეტური სმენა, რომ „თამარინას“ სიტყვების რახა-რუსს უნდებდა, თვითონ კი ეგონა, რომ ლექსებს წერდა.

არადა პოეზიის ადეკვატურ აღქმასა და პოეტურ გემოვნებას, პირველ რიგში, განსაზღვრავს ლექსის აკუსტიკური პოტენციალის აღქმისა და შეფასების, გაცნობიერების უნარი, სმენა.

სიტყვამ მოიტანა და ბარემ ერთ მეტაფორულ პარალელსაც გავავლებ. მეონია, რომ მეტაფორაში, თუ შეიძლება ასე ითქვას, სიტყვის „ცნობიერება“ იცვლება. სიტყვა მეტაფორაში თავისი ცნობიერების შეცვლილ მდგომარეობაში ჩავარდნილი, ოღონდ პოეტისგან განსხვავებით, არა დროის გარკვეული მონაცემის, არამედ ახალი კონტექსტის ჩარჩოში.

მაგრამ ახლასან ნათქვამსაც დაზუსტება სჭირდება. პოეზიაში, უფრო ზუსტად, ლექსში, პირველად მუღავნდება და თვალსაჩინო შეიქნება არა მარტო ენა-მასალა, არამედ, როგორც ვთქვი, მისი გარდაქმნა და ჩამოყალიბება ინსტრუმენტალური ენის მეშვეობით თავად ამ ენად. ენის პოეტური ფუნქცია ნებისმიერი სხვა სახის ტექსტშიც აუცილებლად ვლინდება; პირველ რიგში, ცხადია, პოემაში, მხატვრულ პროზასა და დრამატურგიაში. მაგრამ რაც უფრო მორდება ლექსს, პოეტური ფუნქცია მით უფრო დაქვე-

მდებარებული, თანმხლები და უმნიშვნელო ხდება. გარკვეული ტიპის ტექსტებში კი, უბრალოდ, არასასურველი და ზედმეტი ჩანს, თუმცა მისი სრული გაქრობა და, შესაბამისად, უგულებელყოფა, შეუძლებელია.

გამოქანდაკების მეტაფორაზე უფრო ხელსაყრელი და ადეკვატური კი შეიძლება იყოს სხვა მეტაფორა, რომლის თანახმად, ლექსი სინათლეს მოჰვენს ინსტრუმენტალური ენის მიერ ენა-მასალის გარდაქმნის მანამდე ფარულ პროცესს, ენის გამჭოლი ლერძის უხილავ მოქმედებას და ჩასვამს მას მკაფიო ჩარჩოში, რომელსაც, როგორც წესი, მთლიანად, ერთიანად შეგვიძლია შევავლოთ თვალი.


ამ თვალსაზრისით, რატომ არ ითქვას, რომ ცალკეული ლექსი არის და აუცილებლად უნდა იყოს კიდეც მთლიანი ენის – ენა-მასალის, ინსტრუმენტალური ენისა და მათ შორის აღძრული ფარული, იდუმალი პროცესის – წამიერი, ანუ ფრაგმენტული, მაგრამ მკაფიო და თვალსაჩინო გამოვლინება. და რომ ლექსში, ამავე დროს, ამ გამოვლინების ფიქსაცია, შენახვა-შენარჩუნება ხდება. თუ იმასაც გავიხსენებთ, რომ სიტყვა „ჭეშმარიტის“ თავდაპირველი, ეტიმოლოგიური მნიშვნელობაა „თვალით ნანაზი“, გასაგები გახდება, რომ ლექსი არის ენის ჭეშმარიტების ფრაგმენტი და მისი წამიერი ფოტოსურათი. სწორედ ამიტომ არის და უნდა იყოს კიდეც ყოველი ნამდვილი ლექსი ახალი, განუმეორებელი და შეუცვლელი.

ამრიგად, პოეზია სხვა არაფრია, თუ არა ჩასაფრების ხელოვნება.

ენის ორ მხარეს, ენა-მასალასა და ინსტრუმენტალურ ენას შორის ურთიერთვაგშირის უკეთ გასაგებად და ნარმოსადგენად, ახლა კი დროა, რომ შეცვალოთ საკმაოდ ბრტყელი მონეტის ანალოგია: ენა-მასალა ენის ონტოლოგიური ჭერია. ამ ჭერქვეში იჭედება და ინრთობა ენის ექვსნაირი იარაღი და ყოველი ნაწილი მისთვის.

დაბოლოს, მოგახსენებთ, რომ მე, ჯო დასტინგერი, ლექსებს ქართულად ვთხზავ.

გადი, გამოდი, გუთანო, გუთანო, ჩემო რკინა.



ჩანაწერები

<< დასახული გვ. 88

მახსოვს, როცა პირველად „სამიზდატით“ გამოქვეყნებული სოლუსიონის ეს ნანარმოები ნავიკოთხეთ, დედამიწის ლიმილით მითხრა: არქიპელაგი გულაგი ჩემი ქვეყნაა, მე იქ ათი წელი ვიცხოვრეო...

აი, ამ „თავისი ქვეყნის“, „თავისი არქიპელაგის“ შესახებ წერდა დედა. (ამჟამად გამომცემლობა „ნიჭელე-ქტში“ მზადდება გამოსაცემად დედას მოთხოვნები სათაურით „ბეჭნიერების მატარებელი“).

იმ დროს საყოველთაოდ ცნობილი ქალთა საკონცენტრაციო ბანაკი „პოტ-მა“, სადაც თავშეყრილი იყო ათასობით ქალი, სახელწოდებით „ჩესეირი“,

აბრევიატურა, რომელიც ასე იშიფრებოდა: ჩლენ სემი იზმენნიკა როდინი, – სიტყვების ამგვარი შეთანხმებაც კი საკამარისია იმ დროზე ნარმოდენის შესაქმნელად! ჩესეირები, ანუ ისინი, ვინც უბრალოდ, მილიონობით „ხალხის მტრებად“ წოდებულთა ცოლები იყვნენ და სასამართლოს განსჯის გარეშე ექვემდებარებოდნენ დაპატიმრებას (არა მგონია, რომ ოდესმე, მსოფლიოს რომელიმე ქვეყნის მართლმასჯულებაში, ყოფილიყო ამგვარი დაკანონებული უკანონობა იჯახის წერის სასამართლოს – თუნდაც ფორმალურის – გარეშე პასუხისმგებლობაში მიცემის შესახებ).

„იყო დიდი, შემოღობილი ქვიშიანი ეზო და ბევრი ქალი. ცხოვრების

მთელი ავ-კარგი ქალებს გარეთ დარჩენოდათ და შეგნით ეზოში დარდილა შემოჰყოლოდათ. დარდი მძიმედ იყო ჩამონილი ჰაერში, ცრემლად იღვრებოდა მიწაზე და ქვიშიანი ნიადაგი რომ არა, ეზოში ტბორად დაგუბდებოდა“. იმ პირველ წლებში სახელმწიფოს ისიც ვერ მოეგვარებინა, რომ ეს უფასო მუშახელი დაესაქტებინათ, და ქალებმა თვითონ მოიგონეს საქმე. „და ჩვენ დავიწყეთ რღვევა. ვარღვევდით ყველაფერს, რაც იმ ცხოვრებიდან გვქონდა გამოყოლილი და რაც დაირღვეოდა – საცვლებს, პერანგებს, კაბებს. ვარღვევდით და ვქსოვდით. კბილის ჯაგრისებიდან ყაისნალები გამოვთალეთ და ვქსოვდით, გამარარებით ვქსოვდით შეიღებისთვის კაბებს, პერანგებს, ქუდებს. მერე ზენრებსა და ბალიშისპირებს მივადექით და ახლა ქარგვა დავიწყეთ. ვქარგავდით შეიღებისთვის კაბებს, პერანგებს, ქუდებს. ვქსოვდით, ვქარგავდით და საგულდაგულოდ ვინახავდით, ვინაიდან გაგზავნაზე ფიქრიც კი ნარმოუდენელი იყო“. იმ დროს დედაჩემის შესახებ მხოლოდ ის ვიცოდი, რომ ცოცხალი იყო და პოტმას ბანაკში იხდიდა 10 წლის სასჯელს. წერილების მოწერის უფლება უფრო გვიან მიიღო, მაგრამ სისტემაზ იზრუნა, რომ ისიც არ გამხდარიყო ნამდვილი ბეჭნიერების მომტანი, რადგან ის იშვიათი წერილებიც – წელიწადში ორი – უსათუოდ რუსულად უნდა ყოფილიყო დაწერილი და ათასი ცენზორის მიერ შემონებული; და იღებდნენ შეიღები დედების გულებიდან ამოგლეჯილ, უცხო ენაზე დაწერილ, ყველა გვერდზე ბეჭედდას-მულ ბარათებს, რომლებმიც ბეჭედთან ერთად უცხო კაცების მტრული სულიც იყო ჩასხლებული და უნებურად გაუცხოების დამთრგუნველი გრძნობა ეუფლებოდათ. და კიდევ რამდენიმე წლის მერე, როცა დედამ ამანათის გამოგზავნა შეძლო, მისგან მართლაც ძალიან ლამაზი, თეთრი, ნაცრისფერი და ვარდისფერი ძაფებისგან მოქსოვილი კაბა მივიღე... მე ის გაუხდელად მეცვა და მაშინაც კი ვერ შევეღიე, როცა რეცხვისგან დაპატარავებული, ბლუზადაც გაჭირვებით მაღვებოდა (ციტატა ჩემი წიგნიდან „რაც მაგონ-

გაგრძელება

დება და როგორც მაგონდება"). ახლა ვხვდები – ის კაბა ჩემთვის ქვეცნობიერად იქცა სიმბოლოდ იმისა, რომ მეც (მეც!) მყავდა დედა, მერე რა, რომ ყოველდღიურ ცხოვრებაში ის ჩემს გვერდით არ იყო! დედა იყო, არსებობდა და თავის შვილზე, ანუ ჩემზე ზრუნავდა კიდეც! ალბათ, ეს განცდა მოზარდის შემეცნებაში თავისებურად არყოფნის, ანუ სიკვდილის გადალახვასაც ნიშნავდა.

მისი მოთხოვნებიდან იქმნება ერთი საოცარი ხატი: „პოტმას“ უკვე შეჩვეული ბანაკიდან აყრილი, ცხოველებისთვის განკუთვნილი მატარებლით არხანგელსკი გადასროლილი, მერე იქიდან – იმიერპოლარეთში და იქ, უგზო-უკვლოდ მოხეტიალე სამასიოდ ქალი... ჯერ – ჩრდილო ყინულოვან ოქანებში პატარა საბარევო გემით, სადაც განრისხებული ოქეანე შემზარავი გრუზუნით ისვრის ზევით ტალღებს თითქოს იმისთვის, რომ გაავებულ ცას დაეძეროს და ფიცრულზე ულონოდ მიყრილ ქალებს გული გაუხეთქოს, მერე შედარებით უფრო ასატან თეთრ ზღვაში, მერე კიდევ უფრო პატარა საბარევო გემით, ერთმანეთს მიჭყლეტილები, მდინარე პერიოდი – აღმა. შერე ფეხით, მუხლამდე თოვლში, აძვა-ვო-მიდან კოჩმასამდე,... და რაც მთავარია, არავინ იცის სად და როდის დადგება მათი მოგზაურობის ბოლო, რადგანაც არსად და არავის, არქიპელაგი გულაგის არცერთ ბანაკს არ უნდა მათი მიღება!

„გაჩერდებოდა გემი რომელიმე ნავსადგურში, იმედიანად ჩაირწენდა ნაპირზე ჩვენი პრანქია უფროსი, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ ყურებჩამოყრილი მოგვიბრუნდებოდა უკან და ჩვენვე შემოგვირიდა: არ უნდათ, არ გიღებენ.“

– ქალბატონები მოჰყავთო, – თურმენინ გვისწრებდა ხმა და არცერთი ბანაკი არ თანხმდებოდა ჩვენს მიღებას. მათ უხეში მუშახელი სქირდებოდათ და არა განებივრებული ქალბატონები, როგორც თვითონ მიაჩნდათ. ის კი არ იცოდნენ, რომ ჩვენ უკვე ყველანაირი გაჭირვება გვქონდა გამოვლილი, ყველა სამუშაო შესრულებული და ერთადერთი, რაც გაგვიჭირდა, უბარმაზარი ხების ჭრა იყო.

ასე უშედეგო ხვეწნა-მუდარით მიუცურავდით და მივცურავდით აღმა პერიოდით სამასი ქალი. პატი კი დღითიდლე სულ უფრო სუსტიანი ხდებოდა, ცა შავად იღრუბლებოდა და მდინარის დინებაც თითქოს მძიმდებოდა. ბეუნდი სიზმარივით გვასენდებოდა ხანდახან, რომ ახლა მხოლოდ ოქტომბრის დასაწყისია და იქ, სადაც შენ ოდესალაც ცხოვრობდი, ახლა თბილი მზე, ლურჯი ცა და რთველია.

ისევ მივუყვებოდით პერიოდს აღმა და ისევ ყველა ბანაკი უარს ამბობდა ჩვენს მიღებაზე. აღარც გვქონდა იმედი, რომ ოდესმე სადმე გავჩერდებოდით, მიწას დავადგამდით ფეხს, ბარაქში დაბინავება ხომ მთლად მიუწვდომელ ოცნებად გვექცა“.

რა აბსურდია, არა, ჩვეულებრივი ქალების ასეთი აუხდენელი ოცნება, როგორმე რომელიმე საკონცენტრაციო ბანაკში შეაღწიონ! მაგრამ ეს ოცნება მაინც იქცევა რეალობად, ვინაიდან ქალების ბედისწერის განკარგვაში თვით ბუნება ჩაერთვება:

„და ბოლოს, მაინც ბუნებამ გვიშველა. ერთ საღამოს პატარა ნავსადგურს – აძვა ვომის მივადექით, ჩვენმა უფროსმა ისევ – მერამდენედ – ჩაირბინა ნაპირზე და ისევ გაბილებული დაბრუნდა. აღარც კი შემოგვჩივლა, ისევ არ მიგვიღეს. მეორე დიღას მეზღაურებმა რის ვაივაგლახით აამუშავეს ძრავა, მაგრამ გემი კი ვერა და ვერ დაძრეს ადგილიდან. თურმე ლამე გემი პერიორაში ჩაყინულიყო. ასე თავისთავად დამთავრდა ჩვენი უგზო-უკვლო ხეტიალი მდინარით, რომელმაც თვითონ, თავისი გაყინვით, გადაწყვიტა ჩვენი ბედი, – ვინ იცის, იქნებ მოსხინდა კიდეც ეს უთაბოლო ცოცხალი ტვირთი, ან იქნებ შევეცილეთ?“

ასე, განგების და ბუნების კანონზომიერების ძალით, ჩაიყინა გემი პერიორაში და აძვა ვომის ბანაკი იძულებული გახდა მიეღო და ბოსტნეულის საცავ მიწურში მოეთავსებინა ის უსარგებლო ცოცხალი ტვირთი.

და კიდევ ერთი ხატი დედას მოთხოვნებიდან, ჩემთვის განსაკუთრებით მტკიცებული: აძვა ვომიდან კიდევ ერთხელ აყრილი ქალები ახლა უკვე ფეხით მიიკვლევენ გზას დათოვლილ

ტყეში და დედა მთელი გზა შეიიღ ელაპარაკება, იმისათვის, რომ გაძლოს, რომ დავარდნილმა, ადგომა და გზის გაგრძელება შეძლოს... თან ეჭვი არ ეპარება, რომ სხვა ქალებიც მთელი გზა შეიღებს ელაპარაკებიან. „აგერ, იმ ქალსაც მოყვება უჩინრად შეილი, ხედავ, იმასაც, იმასაც, უბმოდ, მძიმედ რომ მოაბიჯებენ თოვლში, თან გულისყრი სხვაგანა აქვთ და ვილაცას მალულად ესასტრებიან... მე ზღაპრებს გაიმბობ, შენ ხომ ძალიან გიყვარდა ზღაპრები, აქ კი, შეხედე, რამდენი ზღაპარია...“

რა გაყუჩებულია ეს დათოვლილი ტყე, რა სიმალეზე ამართულან ხები, რა სიგანეზე გაუწვდიათ ტოტები. და ყოველ ტოტზე, ყოველ დეროზე სამი იმ სისქე თოვლი დევს, დევს და დევს თავისთვის, ყველგან, ნიადაგზე, წაქცეულ ხეზე, გადამტყდარი ხის კუნძზე. მაგრამ ქარი რომ დაუბრავს, ქარი კი არა, ქარიშმალი, პურგა, ის უცბად გააშშვლებს ხებს, თოვლს ტოტებიდან ჩამობერტყავს, მიწიდანაც ახვეტს და ხებშუა გააქროლებს. აქ კიდევ ისე არა, ტყეზი ხები მაინც ეპრძეიან, გზას უღლობავენ, აი, როცა მდინარეზე, გაშლილ სივრცეზე გაითარეშებს, თოვლი ზეინებად მიერის, ტრიალებს, ბრუნაგს გადათეთრებულ უსასრულ სივრცეში. იქნებ ჩვენც ასე ქარმა აგვიტაცა და მიგვაქროლებს, მიგვაქროლებს სადლაც, უგზოუკვლიდიდა...“

ესეც „არქიპელაგის“ ერთ-ერთი საოცარი ხატი: სიცივისგან თავის დასაფარად შედუჯული, ჯოვოებად ქცეული ახალგაზრდა ქალები, რომლებიც აიტაცა პურგამ და სადღაც, უგზოუკვლიდ, აღაბათ, უსასრულობაში მიაქროლებს... ისინი კი, საკუთარი თავის გადასარჩნად, ფეხის გადადგმისთვის ძალის საპონელად, შვილებს გზადაგზა ზღა-პრებს „უამბობენ, ზღაპრებს, რომელთა ბოლო ყოველთვის „სატირალია“.“

აი, ერთი ზღაპარი: საკანში ერთი სულ ახალგაზრდა გოგო იყო, ხევსური, სახელად ივლიტა, მას „ახალი მსოფლიხედველობა პირად მრნამსაც მიეღო და თავდადებით ერწმუნა.“ არავის ეკარებიდა, ქალებს მგლის ლევივით უბლვერდა, ხალხის მტრები ხართ და იმიტომა ხართ აქაო. როცა ეკითხებოდნენ,

შენ რატომდა ხარო, პასუხობდა, ერთი წირვა მღვდელსაც შეეშლებისო. დედას ქირომანგის ერთი-ორი წიგნი ჰქონდა წაკითხული და პატიმარ ქალებს ხელის გულის ხაზებით მომავალს უწინასწარ-მეტყველებდა, თან ყოველთვის მათ-თვის სასიამოვნო მომავალს „ხედავდა“. ერთხელ ივლიტამაც ვერ გაუძლო ცოტუნებას, თავს ძალა დაატანა და დე-დას ხელი გაუწოდა, აბა, მეც მითხარი რამეო. „მის ხელს რომ დავხედე, გაგშრი. სუფთა, გადატყეცილ ხელისგულზე ოდნავ ისახებოდა და იქვე წყდებოდა ე.ნ. სიცოცხლის ხაზი. – რისი შეგეშინდა, ადრე სიკვდილი მიწერია? – მკითხა ლიმილით. თავს დავძლიე და მეც გავულიმე: – რას აბიბობ, აბა, მოკუჭე ხელი, აგერ სამი ნაოჭი გაგიჩნდა, ეგ სამ შეილს ნიშნავს. – შევლი საიდან, ჯერ გათხოვილიც არა ვარ. – მერე რა, გათხოვებას ველარ მოასწრებ? – გოგო დაფიქრდა და ხელი წაიღო. რამდენმე დღის მერე ის გაიძახეს და მერე ალარც გვინახავს“.

ამგარ „ზღაპრებს“ უამბობდნენ გაუკვალავ თოვლში უმიზნოდ მიმავა-

ლი დედები თავიანთ შვილებს. „აგერ, ის ქალი დაეცა, რბილად, მოწყვეტილი-ვით დაეცა თოვლში. ალბათ, შვილმა გაუშვა ხელი. აგერ, მეორეც დაეცა, მესამეც, ხედავ? იცი რა, ცოტა ხნით მეც დავწვები ასე თოვლში, ცოტას და-ვისვენებ, თვალებსაც დავხუჭავ. ცოტა ხნით შეგიძლია შემმშვა ხელი“...


ასე მესაუბრებოდა თურმე იმიერ-პოლარებში გადასროლილი დედაჩემი, მაგრამ ჩემამდე მისი ხმა ვერ აღწევდა. არც ის მესმოდა, რომ დედასთვის თვით ჩემი არსებობა იყო ის ერთადერთი ძაფი, რომელიც მას სიცოცხლეს-თან აკავშირებდა...

გავიდა წლები და დედა დაბრუნდა. 1978 წელს, ბევრი ცენტურული დაბრკოლების გადალახვის შედეგად, შევძლი გადმიელო ფილმი „რამდენიმე ინტერვიუ პირად საკითხებზე“, რომლის ერთ-ერთი სიუჟეტური ხაზი – დედის გადასახლებიდან დაბრუნდაა (პოლოტიკური გადასახლების თემა მაშინ პირველად გაუღერდა საბჭოთა კავშირში)... ხოლო საბჭოთა კავშირის დამხობის მერე გადავიღე ფილმი „ვალ-

სი პეჩორაზე“, სადაც გადასახლებული დედის და თბილისში მარტო დარჩენილი შვილის პარალელური ცხოვრებაა მოთხოვნილი (ამ ფილმში ბერლინის კინოფესტივალზე საერთაშორისო ეკუ-მენისტური ჟიურის პრიზი მიიღო, რა-საც მე მის თემატიკას ვუკავშირებ).

ამით ვასრულებ საუბარს თემაზე – როგორ აისახა საბჭოთა სისტემა ქარ-თულ მხატვრულ ლიტერატურასა და ხელოვნებაში. თუმცა აქვე სახსენებელია მემუარული ლიტერატურაც: ბაბო დადიანის შევენიერი, დროისთვის და-მახასიათებელი საკვირველი, აბსურდული დეტალებით დატვირთული „მოგონებების დღიური“; ლიზიკ ქავთარაძის ვრცელი, უამრავი ტრაგიკული ფა-ქტის შემცველი ნაამბობი – „28 წელი გულაგში“; ჩემი: „რაც მაგონდება და როგორც მაგონდება“, რომლის დიდი ნაწილი ბავშვის თვალით დანახულ იმ ავბედით წლებს ასახავს.

არაერთხელ მიფიქრია: საბას განმარტებითი ლექსიკონი მარტო სიტყვების



**“KNOWING I LOV'D MY BOOKS,
HE FURNISH'D ME FROM MINE
OWN LIBRARY WITH VOLUMES”**

*Prospero... - The Tempest,
William Shakespeare*

გამომცემლობა „ემ ფაბლიშინგის“ შურნალები – „ლიბერალი“, „ცხელი შოკოლადი“, „ბიზნესი: ადამიანები, მეთოდები, სტრატეგიები“ უკვე Prospero's Books & Caliban's Coffee-ს წიგნის მაღაზიასა და კაფეში იყიდება!

აუგაობს ყოველ დღე: 9:30 – 20:00
ბავშვთა სათო: კვირა, 12:00

მისამართი: თბილისი, რუსთაველის 34
ტელეფონი: (995 32) 92 35 92



გაგრძელება

ახსნა-განმარტება არ არის, არამედ ერთგვარი, შეფარული და თავისებურად გამოთქმული, მორალური კოდექსიცაა. ამ კონკრეტულ შემთხვევაშიც ასეა. ნახეთ, როგორია მისი განმარტებები სიტყვებისა „ქველი“ და „ქველის მოქმედი“: ქველი – მოწყალე, გინა კეთილი. ქველის მოქმედი – მოწყალების მოქმედი. და ამას მოსდევს ვრცელი განმარტება:

„მადლი ესე არს, რომელმან არა ნაცვლის-გებისთვის, არცა მოყვრობისთვის, არცა შიშისთვის, არცა სიყვარულისთვის ქველი საქმე ქნას...“

ხოლო მადლიერი იგი არს, რომელმან დაიხსოვონს კეთილმოქმედება მისზედა ქმნილი.

ხოლო მადლის გარდახდა ესე არს, რაუამს კეთილი ვინმე ქმნას ჩვენ ზედა, ანუ საქმითა, ანუ სიტყვითა კეთილითა ვახსენეთ კაცნი იგინი, ანუ თაყვანისცემითა, უკეთუ სხვა არარა ძალ-გვედვას“.

ჰოდა, არის საქართველოში ასეთი კაცი – ერთი ვინმე ბიძინა ივანიშვილი, რომელიც უამრავი ადამიანის მიმართ მოიმოქმედებს ქველ საქმეს არა ნაცვლის-გებისთვის, არცა მოყვრობისთვის, არცა შიშისთვის, არცა სიყვარულისთვის, ანუ ჩვენი გამარტივებული თანამედროვე ლექსიკით რომ ვთქვათ, უანგარიფ, ჩუმად, რეკლამის გარეშე და არა იმისათვის, რომ ვინმემ იმავეთი უპასუხოს. საბას განმარტებით, ეს ადამიანი პასუხად არაფერს არ ელოდება, თვით სიყვარულსაც კი, სამაგიეროდ ის, ვისტედაც ხორციელდება ქველმოქმედება, მადლიერი უნდა გადაიხადოს სიკეთე საქმით, და თუ საქმე არ ხელეწიფების, კეთილი სიტყვით ახსენოს მისი ქველმოქმედი!

მოდი, ჩვენც ნუ დავიშურებთ კეთილ სიტყვებს, ისიც გავიხსენოთ, რომ ქველის მოქმედებას ორონიული ქილიკი და სკეფისი (ჩვენთვის ესოდენ დამახსიათებელი) არც შეეფერება და არც არაფერს აკლებს, მადლიერების გამოხატვა კი ფრიად სასარგებლო ქმედებაა თვითონ ადამიანისთვის და მხოლოდ ამდიდრებს მის შინაგან სამყაროს.

ამ დასკენამდე – რომ მადლიერების აშკარად გამოხატვას თვითონ ადამია-

ნისთვის მოაქვს სიკეთე – ცხოვრების გამოცდილების შედეგად მივედი და მერე აღმოვაჩინე, რომ ის თანამედროვე ევროპული „პოზიტიური ფსიქოლოგის“ ერთ-ერთი პოსტულატია. ამ მიმდინარეობით ბოლო წლებში, პარიზში ყოფნისას დავინტერესდი და ერთხელ უკვე დავწერე მის შესახებ „პარიზულ ჩანაწერებში“, დღეს მინდა კიდევ ერთხელ მივუბრუნდე ზოგიერთ დებულებას, რომელიც განსაკუთრებით აქტუალურად მიმართია ჩვენთვის.

„პოზიტიური ფსიქოლოგის“ ამპიცია არის „ბედნიერების მეცნიერების“ შექმნა. მიმდინარეობის ერთერთი ფუძემდებელი – სელიგმანი – ამტკიცებს: დადგა დრო, ყურადღება გავამახვილოთ იმაზე, რაც „ცხოვრებას ცხოვრების ღირსად აქცეცეს“, დავინტერესდეთ მოულოდნელი თემებით, ისეთით, როგორიც არის ხასიათის ძალა, ალტრუიზმი, მადლიერების განცდა, სიბრალულის და თანაგრძნობის უნარი. ადამიანს ძალუძს განავითაროს საკუთარ თავში ეს თვისებები და ამით „ბედნიერების კაპიტალი“ დააგროვოს. ჩემთვის რალაცნაირად მიმზიდველია მეცნიერულად გააზრებული ეს ცნება – ბედნიერების კაპიტალი, რომელიც შენ თვითონ უნდა აგროვო მთელი ცხოვრების მანძილზე. თითქოს მეცნიერულად დამტკიცებულია ისიც, რომ ზოგს ბედნიერების მეტი ნიჭი აქვს, ზოგს ნაკლები. „პოზიტიური ფსიქოლოგის“ ადეპტები ამტკიცებენ: 4000 წყვილი ტყუპის გამოკვლევის შედეგად დადგინდა, რომ არსებობს წინასწარი განწყობა სიხარულისა და დეპრესიისადმი. ჩემი აზრით, გამოკვლევის ყველაზე საინტერესო შედეგი ასეთია: სხვადასხვაგვარ გარეგან ფაქტორებს, ანუ ლამაზი ხარ თუ უშნო, მდიდარი თუ ღარიბი, ახალგაზრდა თუ მოხუცი, ძლიერი თუ სუსტი, ძალიან მცირე გავლენა აქვთ პიროვნებაზე, ვინაიდან ისინი განსაზღვრავენ „ბედნიერების კაპიტალის“ მხოლოდ 10 პროცენტს, კიდევ 50 პროცენტი ასე თუ ისე უკავშირდება გენეტიკას, დანარჩენ 40 პროცენტს კი ჩვენი აზროვნების და მოქმედების ხასიათი განაპირობებს. თუ გინდა გააძლიერო შენი „ბედნიე-

რების კაპიტალი“, სწორედ შენ თავზე უნდა იმუშავო. უნდა შეწყვიტო ფიქრი იმაზე, რომ ბედნიერება არის იღბალი და ბედნიერება. არ ეძებო ის იქ, სადაც ნამდვილად ვერ იქნება – ახალ მანქანაში, ახალ სამუშაოში, ახალ ბინაში. რადგანაც ყველა სიკეთე, რაც თავს დაგვატყდება, თავიდანვე განწირულია დაემორჩილოს „პედონისტური ადაპტაციის“ ფენომენს, რაც იმას ნიშნავს, რომ ჩვენ ეღვის სისწავით ვერჩევით ჩვენი არსებობის გაუმჯობესებას და პირველი თავგრუდახვევის მერე ვუბრუნდებით პირვანდელ მდგომარეობას. ხანგრძლივი ბედნიერების პოვნის ერთადერთი შესაძლებლობა არის შემდეგი: შეიმუშავო შენს პიროვნებასა და ცხოვრების წესარი მისადაგებული სტრატეგია, გაიგო შენი ხსიათის ის მთავარი ძალები, რომლებიც შეგიძლია განავითარო და გააუმჯობესო; ანუ: ლიად გამოხატო მადლიერება, დაკმაყოფილდე იმით, რაც გაქვს, გაიხარო იმით, როგორც ცხოვრობ. გარდა ამისა: ნუ ეცდები შეადარო შენი თავი სხვას, განახორციელე პატარ-პატარა კეთილი საქმეები, ისწავლე პატიება, შეგნებულად განავითარე და მოუფრთხილდი მეგობრობას, გაუგე შენგან განსხვავებულ ადამიანს და პატივი ეცი მას.

ასეთია „პოზიტიური ფსიქოლოგის“ მიერ შემოთავაზებული ბედნიერების კოდექსი, რომელიც, ჩემი აზრით, ერთ მარტივ ჭეშმარიტებამდე დაიყვანება: ალტრუიზმი, ანუ სხვის სიყვარული და პატივისცემა შენი პირადი ბედნიერების მასაზრდოებელია. რაც უფრო გახსნილი ხარ სხვისთვის, მით უფრო კარგად გრძნობ თავს თვითონ. ამგვარი ოპტიმიზმი უსათუოდ ღიმილს მოპერირის ყველა სკეპტიკოსს, ვინც ფრთიდან ერთად დარწმუნებულია, რომ „ბედნიერება არ შედის „სამყაროს შექმნის“ გეგმაში“. მაგრამ რეალურ ცხოვრებაში ეს ხომ ისეთი ბუნებრივი რამ არის – სწრაფვა ბედნიერებისაკენ. და საგულისხმოა ისიც, რომ ამ კოდექსის ავტორები ერთ-ერთ პირველ ადგილს ბედნიერების მოპოვების გზაზე მადლიერების განცდას და მის გამოხატვას ანიჭებენ!



მირადიო

თელავი, ქვარელი, ლაგოდევი

FM 105.5

გორი, ქარელი, ხაშური

FM 103.0

ზესტაფონი, ქუთაისი, სამტრედია

FM 104.5

ურევი, ქობულეთი, გათუღი

FM 101.0

ვოთი, სენაკი, ზუგდიდი

FM 101.9

UCNOBI FM 98.0

